# ლელო

№280
(12 350)
30 ნოემბერი პარასკევი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი



ყაზბეგი
ეროვნული ბიბლიოთეკა




– თვალები რომ გავახილე, პირველად... მიხეილ სააკაშვილი დავინახე! ვიფიქრე, რაღაც მელანდება-მეთქი. ვერაფრით ვერ მივხვდი, რა მინდოდა სააკაშვილთან. თურმე საავადმყოფოში ვიყავი და მითხრეს კიდეც, რაც შემემთხვა.

ინტერვიუ დავით სირაძესთან 2

## რატომ გარბიან ხოლმე საქართველოს ნაკრებიდან?

რატომ არ შეეცადა ნაკრების რომელიმე წამყვანი ფეხბურთელი ზურაბ ხიზანიშვილის შეჩერებას? როცა ფეხბურთელი გულმოსული ტოვებს გუნდს, მის კონკურენტს ეს სიამოვნებს. ასეა, ეშმაკი ყველა ადამიანს ჰყავს შეჩენილი, მათ შორის საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებსაც. სხვა საქმეა, ვის როგორ შეუძლია მისი დამარცხება.

დავით თავართქილაძე მე-4 გვერდზე

## ზაზა ფაჩულიას საუეთესო მატჩი 13



## ზვიადაური ცირეკიძის წინაალმდეგ 11

ძიუდო. სეზონი 2008. ირაკლი თავაძე მე-11 გვერდზე

# ფეხბურთელები საარჩევნო კამპანიაში

2-3




საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახა კალაძე მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერია

www.kazbegi.com

გახსენი...
# ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავით სირაძე

# ფეხბურთელები პოლიტიკაში

რამდენიმე წლის წინათ მთელი კიევის „დინამო" სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაწევრიანდა და უკრაინის არჩევნებში ამ პარტიას დაუჭირა მხარი.

დაახლოებით მსგავსი რამ ხდება 5 იანვრის საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნებში. „ევროსპორტმა" იტალიელი მენეჯერის **დევიდე ტორკიას** სიტყვებზე დაყრდნობით ინფორმაცია გაავრცელა.

### მჭედლიძე პოლიტიკურ კამპანიაში

*„საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ლევან მჭედლიძე თავის წინასაარჩევნო სახედ აირჩია. ეს ქართველი თავდამსხმელის მენეჯერმა, დევიდე ტორკიამ განაცხადა. ლევანმა შოტლანდიის ნაკრებთან გოლი გაიტანა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩში და ეროვნულ გმირად ითვლება.*

*მან სააკაშვილთან ერთად სურათი გადაიღო ხუთნომრიანი მაისურით, რა ნომრითაც სააკაშვილი არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას"*, - იუწყება „ევროსპორტი".

როგორც შევიტყვეთ, ინფორმაცია დაუზუსტებელია. რეალურად, სააკაშვილის წინასაარჩევნო კამპანიაში ეროვნული ნაკრების ხუთ წევრს სთხოვეს მონაწილეობა - **კახა კალაძეს, ლევან მჭედლიძეს, ლევან ყენიას, გიორგი მაკარიძესა** და **დავით სირაძეს**.

ფეხბურთელებს პოლიტიკურ თამაშებში მონაწილეობის სურვილი არასდროს ჰკლავთ, მაგრამ სააკაშვილის წინადადებას დათანხმდნენ.

დავით სირაძემ საარჩევნო კამპანიაში თავისი მონაწილეობა დაგვიდასტურა: *„დიახ, შემოგვთავაზეს ხუთ მოთამაშეს და როგორც ვიცი, მალე თბილისში და მთელ საქართველოში ჩვენს ფოტოებს ბილბორდებზე გამოფენენ"*.

თუკი ნაკრების ფეხბურთელთა ნაწილი სააკაშვილის ჯგუფმა დაითანხმა, ბადრი პატარკაციშვილის მხარდამჭერთა ჯგუფში მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, მოჭადრაკე **ნონა გაფრინდაშვილია**.

**მერაბ მამულაშვილი**



კახა კალაძე



ლევან მჭედლიძე

ინტერვიუ დავით სირაძესთან

# პირველად სააკაშვილი დავინახე

## დავით სირაძე მომხდარს ვერ იხსენებს

21 ნოემბერს საქართველოს ნაკრები და **დავით სირაძე** ბედმა არ გაწირა - ფორვარდი ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს. ოთხი წუთი საქართველოს ნაკრების თავდამსხმელი მოედანზე უგონოდ ეგდო, სახეზე სიცოცხლის ნატამალი არ ეტყობოდა.

- ლევანმა (მჭედლიძემ) ივაჟკაცა. მიკვირს კაცო, ამ პატარა ბიჭმა როგორ ივაჟკაცა. უცებ მივარდა და ენა რომ არ გადაყლაპოდა, პირში თითები ჩაუყო. მერე თუ გახსოვთ, ლევანი წაიქცა და ვერავინ მიხვდა, რა მოუვიდა, თურმე, დათომ თითებზე უკბინა და ლამის ორი თითი მოაჭამა. მან გადამირჩინა შვილი, - ამბობს **სოსო სირაძე**, თავდამსხმელის მამა, - კახა კალაძემ მითხრა, არ ვიცოდი, რა მექნა, კაცი კი სტადიონზე კინაღამ მოკვდა. მადლობა ღმერთს, გადავრჩით.

...დათო ახლა მომჯობინდა, მკურნალობის პირველი ეტაპისთვის საჭირო ათი დღე უმთავრდება. მას სახლში ვესტუმრეთ და როგორც გვითხრა, თავს გაცილებით უკეთ გრძნობს.

- ის მომენტი არც მახსოვს, ვინ ჩამომაწოდა ბურთი, ვინ დამეჯახა და რა დროს დავეცი. ერთი ეს მახსოვს, თვალები გავახილე, მიხეილ სააკაშვილი დავინახე და ვიფიქრე, რაღაც მელანდება-მეთქი, - იცინის დათო. რახან გადარჩა, ახლა უკვე ხუმრობის ხასიათზეც დადგა, - ვერ მივხვდი, რა მინდოდა სააკაშვილთან. მერე მივხვდი, საავადმყოფოში ვიყავი და ბოლოს მითხრეს, რაც შემემთხვა.

დათო მკაცრ წოლით რეჟიმს იცავს. მისთვის მოძრაობა არ შეიძლება. წევს და ნელ-ნელა იაზრებს, რაც შეემთხვა. ჩვენი ყოფნის დროს პირველად ჩაურთეს ტელევიზორი და ლიტვასთან მატჩი ნახა. ყველაფერი აინტერესებდა, რა თქმა უნდა, უპირველესად, ის ეპიზოდი, როდესაც სტუმართა მცველი პაულაუსკასი დაეჯახა. ბედის ირონიაა, ეს ლიტველი 13-ნომრიანი მაისურით თამაშობდა. ის კადრებიც გამოჩნდა, დათოს სახეზე შეეტყო, რომ კადრებმა შეზარა, განსაკუთრებით იმან, მოედანზე უგონოდ რომ დავარდა.

- ნაღდად არ მახსოვდა, - მძიმედ წარმოთქვა. ახლა პირველად მიხვდა და საკუთარი თვალით დაინახა, რას გადაურჩა.

**- დაახლოებით, რამდენ ხანში წამოდგები?**

- რა გითხრათ, ჯერ კიდევ არ ვიცი, ექიმები რას მეტყვიან. შეიძლება, უკეთესობაცაა და დეკემბრის ბოლოსთვის მოვმჯობინდე.

**- კადრებში ახლა დავაკვირდი და ლიტველმა თავი კეფაში კი არა, თურმე ყბაში მოგარტყა.**

- სადაც მომარტყა, იმ ადგილს ბოქსიორების წერტილს ეძახიან, იქ თუ დაარტყეს, თიშავენ.

**- სხვათა შორის, ლიტველს ვერ დავადანაშაულებთ, შეგნებულად არ დაურტყამს.**

- კი, ასეა. სათამაშო ეპიზოდი იყო.

**- დათო, როდის დაიწყებ ვარჯიშს?**

- რა ვიცი, წესით, იანვრიან უკვე უნდა დავწყო. ვნახოთ, ექიმი რას მეტყვის.

საუბარში ისევ ბატონი სოსო გვერთვება.

- მადლობელი ვარ რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმების. ისეთი გულისხმიერება გამოიჩინეს, მეტი რომ არ შეიძლება. მარტო იმიტომ კი არა, რომ სააკაშვილი გამოჩნდა.

ახლა სირაძეების სახლს მნახველი არ აკლდება, მეგობრები, ნათესავები, ფეხბურთელები მოდიან და მოდიან.

- ყველა მათგანის მადლიერი ვარ. თურმე რამდენმა განიცადა ჩემი ამბავი. იმედია, მოედანს მალე დავუბრუნდები და სანერვიულო არც მე მექნება და არც ჩემს კეთილმოსურნეებს, - გვითხრა დათომ.

**მერაბ მამულაშვილი**



გიორგი მარიძე



ლევან ყენია

# კალაძე არჩევანს მილანში გააკეთებს

## და კარიერასაც იქვე დაასრულებს

მოახლოებული საპრეზიდენტო არჩევნების თაობაზე უკვე რამდენიმე ფეხბურთელმა ისაუბრა და გამონაკლისი არც **კახა კალაძე** ყოფილა. მით უმეტეს პრაქტიკა, რომ ცნობადი სახეები სახალხოდ აფიქსირებენ თავიანთ პოზიციას, ევროპაში დიდად გავრცელებულია. პოლიტიკოსები მუდმივად ცდილობენ მხარდამჭერთა შორის იყოლიონ ისეთები, ვინც საზოგადოებაში ავტორიტეტით სარგებლობს და შესაბამისად შეუძლიათ გარკვეული გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში.

კალაძისა და **მიხეილ სააკაშვილის** ურთიერთობა ჯერ კიდევ "ვარდების რევოლუციამდე" დაიწყო. კახა პრეზიდენტის მხარდაჭერას ბოლო პერიოდშიც ხშირად აფიქსირებდა, თუმცა გუშინ ეს „რუსთავი 2"-ის პირდაპირ ეთერში ღიად არ დაუფიქსირებია. 5 იანვრისთვის "მილანის" მცველი საქართველოში ვერ ჩამოვა, მაგრამ ქართული სათვისტომოსთვის იტალიაში საარჩევნო უბანი გაიხსნება და იგი თავის რჩეულ კანდიდატს იქ მისცემს ხმას.

კალაძემ საქართველოს მოსახლეობას არჩევნებზე მისვლისკენაც მოუწოდა: *"ყველამ უნდა გაითავისოს, რომ 5 იანვარი ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი დღეა. ხალხი ითხოვდა არჩევნებს და კარგია, რომ მათი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. იმედია, ჩვენი თანამემამულეები არჩევნებზე მრავლად მივლენ და საკუთარი გადაწყვეტილებით საქართველოს სწორ განვითარებას შეუწყობენ ხელს".*

მოქმედი ხელისუფლების განვლილი მუშაობა კი კახამ დადებითად შეაფასა. *"წინსვლა აშკარად იგრძნობა. რა თქმა უნდა, არის სოციალური პრობლემები, მაგრამ ყველაფერს მოევლება. შეცდომებიც იყო, თუმცა ამისგან არავინაა დაზღვეული. მთავარი ისაა, რომ ქვეყანა სწორი კუთხით მიდის წინ, დროთა განმავლობაში საქართველოში კიდევ უფრო მეტი ინვესტიცია ჩაიდება და ხალხი გაცილებით უკეთ იცხოვრებს. დღეს კი მთავარი ისაა, რომ ჩვენს ქვეყანაში მტრულად განწყობილმა ძალებმა არ მოიკიდოს ფეხი. არსებობს გარკვეული მომენტები, რა დროსაც საკუთარი ამბიციები ყველამ გვერდზე უნდა გადავდოთ"*, - განაცხადა კალაძემ.

ბოლოს კი მან **რაფაელ ბენიტესის** სიტყვებს გაუკეთა კომენტარი. შეგახსენებთ, "ლივერპულის" თავკაცი მის გადაბირებას აპირებს. *"მეც გავიგე ამ ინტერესის შესახებ, მაგრამ "მილანიდან" წასვლას არ ვაპირებ. ჩემს კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე მაქვს გაფორმებული და ალბათ, იანვარში ხელშეკრულებას გავახანგრძლივებ. მილანი ჩემი მეორე სახლია და საფეხბურთო კარიერის დასრულებას აქ ვაპირებ"*, - თქვა კალაძემ.

ინტერვიუ დავით მუჯირთან

# სამარაში ჩავალ და პასუხსაც იქ ვეტყვი



**დავით მუჯირი საქართველოს ნაკრების ბოლო ორი მატჩისთვის გამოძახებული არ ყოფილა. ის ჯანმრთელად და კარგ ფორმაში იყო, მაგრამ მწვრთნელმა მისი გამოძახება საჭიროდ არ ჩათვალა. ნახევარმცველს ნაკრების გარდა კლუბზეც გავესაუბრეთ, სადაც არაერთი სიახლე მოხდა...**

- რამდენადაც ვიცი საკმაოდ სერიოზული კომპანია გახდა „კრილიას" მფლობელი. მიზანი ერთია, გუნდი ჩემპიონატის ფავორიტი იყოს. 2004 წელს კლუბი ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. მაშინ პრეზიდენტი ტკაჩენკო იყო. ის ახლა კლუბის გენერალური მენეჯერია და საქმეც კარგად ესმის.

**- მწრთნელი ვინ იქნება?**

- როგორც თქვეს 99 პროცენტით გადაწყვეტილია, გუნდს სლუცკი ჩაიბარებს. ის აქამდე "მოსკვას" წვრთნიდა, გუნდი მეოთხე ადგილზე გაიყვანა. იმედია სლუცკი "კრილიას" კარგ გუნდად აქცევს. უკვე 20 თვეა, რაც ამ გუნდში ვარ და სლუცკი მე-4 მწვრთნელი, ვინც ჩემს აქ ყოფნაში გაწვრთნა გუნდი.

**- როგორც ამბობენ "კრილიას" ახალი მფლობელის უკან რომან აბრამოვიჩი დგას...**

- არ ვიცი. ჩემი ინფორმაციით ამ კომპანიის უკან სამარის მხარის გუბერნატორია.

**- კლუბის შეცვლას აპირებდი. ეს უკვე აღარ შედის შენს გეგმებში?**

- რაღა დაგიმალოთ და კლუბის ახალმა ხელმძღვანელობამ დამირეკა. მითხრეს, რომ დაინტერესებულები არიან "კრილიაში" ჩემი დარჩენით. ვისაუბრეთ და შევთანხმდით, რომ 5-6 იანვარს სამარაში ჩავალ და ადგილზე დავილაპარაკებთ.

**- ახლა სანაკრებო თემაზე გადავერთოთ. განვლილ შესარჩევ ციკლში ჩვენი ეროვნული გუნდის ასპარეზობას როგორ შეაფასებდი?**

- როცა გუნდი 7 გუნდიდან მე-6 ადგილზე გავა და 12 თამაშიდან მხოლოდ 10 ქულას აიღებს, ძნელია მისი გამოსვლა დადებითად შეაფასო. ყოველ საკვალიფიკაციო ეტაპამდე იმედიანად ვართ, მაგრამ მისი დასრულების შემდეგ ცუდ პოზიციაზე ვიმყოფებით. იქნებ 2 წლის მერე ასე აღარ იყოს.

**- მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრის შედეგებით რამდენად კმაყოფილი ხარ?**

- მეორე ადგილზე ბრძოლის შანსი ყველა გუნდს აქვს. საკმაოდ თანაბარი ჯგუფია. ვფიქრობ ათივე თამაში რთული იქნება. იტალია მეოთხედაა ჩვენი მეტოქე და იმედი მაქვს საფეხბურთო მსოფლიოს ამჯერად მაინც შევთავაზებთ სიურპრიზს.

**- კლაუს ტოპმნიოლერს კალენდრის საკუთარი ვარიანტი აქვს. მას სურს შესარჩევი ციკლი იტალიასთან გასვლითი მატჩით დავიწყოთ და იტალიასასთან საშინაო შეხვედრით დავასრულოთ. ამ ვარიანტზე რას იტყოდი?**

- მართალი გითხრათ ამაზე არ მიფიქრია. ისე კი კარგი იქნება თუ შემოდგომაზე იტალიასთან ქულას ავიღებთ. ლიტვამ სწორედ შემოდგომაზე აიღო ქულა იტალიაში.

**- ქულებს თავი რომ დავანებოთ კლაუს ტოპმიოლერის მიერ ნაკრებში გაწეულ მუშაობას როგორ შეაფასებდი?**

- მან ახალგაზრდებს თავის გამოჩენის შანსი მისცა და ეს ძალიან კარგია.

**- ხიზანიშვილის პოზიციის შესახებ გაიგებდი. რას იტყოდი?**

- ეროვნული ნაკრები მთელი ერის საკუთრება და თუ ვინმესთან კონფლიქტური ვითარება ან რაიმე მსგავსია, აუცილებელია ვითარების გარკვევა. საქართველოს ნაკრებს არ აქვს იმისი ფუფუნება, რომ ხიზანიშვილის დარი ფეხბურთელი დაკარგოს.

**- ბოლო მატჩებში ნაკრებში არც შენ ყოფიუილხარ გამოძახებული...**

- ტრავმა არ მქონია, პირიქით, რუსეთში ბოლო სამ თამაშში სამი გოლი გავიტანე და მართლაც კარგ ფორმაში ვიყავი. ჩემი აზრით ნაკრებში სწორედ ის ფეხბურთელები უნდა გამოიძახონ, რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტული მატჩისთვის ოპტიმალურ ფორმაში არიან. ვერაფრით ავხსენი თუ რატომ არ გამომიძახეს ნაკრებში... შევეცდები მომავალშიც კარგ ფორმაში ვიყო და ჩემი შედეგიანი, წარმატებული თამაშით ნაკრების ხელმძღვანელობა "ვაიძულო" ეროვნულ გუნდში ვითამაშო.

დავით ცაბაძე



# პროფლიგამ სასჯელები ჩამოარიგა

ორი დღის წინათ უკვე გაცნობეთ, რომ საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის მატჩი "მალაროელსა" და "ვიტ ჯორჯიას" შორის შეხლა-შემოხლით დასრულდა. ის თამაში ფრედ, 1:1 დასრულდა და მეოთხედფინალის საგზური "მალაროელმა" მოიპოვა. გუშინ პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო კომიტეტის წევრებმა ინციდენტი დაწვრილებით განიხილეს და შესაბამისი სასჯელებიც ჩამოარიგეს.

ჭიათურის "მალაროელი", რომელსაც შეხვედრის ვიდეოგადაღება არ უწარმოებია, 1 000 ლარით დაჯარიმდა. ამავე გუნდის მთავარი მწვრთნელი **ბადრი ბრეგვაძე** შეუფერებელი საქციელისთვის ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს და 300 ლარით დააჯარიმეს. "მალაროელის" კიდევ ერთ წარმომადგენელს არასპორტული ქცევისთვის 500-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა.

სასჯელებს ვერც ვეტერინარები გადაურჩნენ. "ვიტ ჯორჯიას" ჭიათურაში ორი ფეხბურთელი გაუძევეს. **გიორგი ბერიაშვილს** ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია და 300-ლარიანი ჯარიმა მიუსაჯეს, მეკარე **არდალიონ მიქაბერიძე** კი ხულიგნური საქციელისთვის 4 შეხვედრას გამოტოვებს და 500 ლარს გადაიხდის.

"ბორჯომის" მცველი **ლევან აკობია** "მერანთან" სათასო მატჩში მსაჯის გინებისთვის გააძევეს. იგი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა და 200 ლარით დაჯარიმდა.

აქვე იმასაც გეტყვით, რომ პფლ-ის წამახალისებელი ლატარიის ჯეკპოტი, 2 750 ლარი, თბილისელმა **კახა გვათუამ** მოიგო. მან ბილეთი "ოლიმპი"-"მერანის" მატჩისას შეიძინა და 11 თამაშის შედეგი გამოიცნო. ეროვნული ჩემპიონატის მომავალი ტურიდან ჯეკპოტი 250 ლარი იქნება.

ლევან ჯანეზაშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# კალენდარში ისევ შეფერხებებია

გუშინ საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის მატჩები უნდა გამართულიყო, მაგრამ დიდთოვლობის გამო, ყველა მათგანი გაურკვეველი ვადით გადაიდო. არაა გამორიცხული, ეს შეხვედრები (ჩიხურა-დინამო 2, მეშაქრე-ამერი 2, მეშახტე-ფაზისი რაჭა, ზესტაფონი 2-სამტრედია, უნივერსიტეტი ქ.-კოლხეთი ფ.) სულაც 2008 წლისთვის გადაიტანონ. დღეისათვის პირველ ლიგაში კიდევ ხუთი მატჩია დანიშნული: ვიტ ჯორჯია 2-ოლიმპი 2, ნ. დინამო/მერანი 2-გაგრა, კახეთი-ოლიმპიკი, კოლხეთი (ხობი)-ტორპედო და მალაროელი-მერანი (მარტვილი). სავარაუდოდ, თბილისში გასამართი თამაშების ჩატარება მოხერხდება, დანარჩენები კი საეჭვოა.

არც ისაა გამორიცხული, უამინდობამ უმაღლესი ლიგის რამდენიმე მატჩიც გადადოს.

ლევან ჯანეზაშვილი

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA CARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



გახსენი...
ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

# არა, არა და არა!

## რატომ მიდიან ნაკრებიდან წარამარა



ერთი კვირის
ათასი წვრილმანი



ზურაბ ხიზანიშვილი



შოთა არველაძე

ზურაბ ხიზანიშვილი ლიტვასთან მატჩისთვის სასტარტოში არ დააყენეს. ზურამ ტრავმა მოიმიზეზა და სანაკრებო შეკრებიდან წავიდა. ბალტიისპირელებთან მარცხიდან რამდენიმე დღეში კი განაცხადა, მითხრას კლაუს ტოპმიოლერმა რა მიზეზით არ გამამწესა სასტარტოში და ისიც თქვას, ეს მხოლოდ მისი გადაწყვეტილება იყო, თუ სხვამ ჩაანვეთა რამეო.

მწვრთნელი არ არის ვალდებული ფეხბურთელს ახსნა-განმარტება ჩააბაროს ამა თუ იმ გადაწყვეტილების გამო, მაგრამ ტოპი საკმაოდ კომუნიკაბელური, არაპედანტური, შეიძლება ითქვას, მეგობრული მწვრთნელიც კი არის ფეხბურთელებისთვის. ალბათ ამიტომაც გაუჩნდა ეჭვები ხიზანიშვილს, მწვრთნელს ჩემზე ვინმემ რამე აუგი ხომ არ უთხრაო. ხიზანიშვილი არ მოელოდა არც სასტარტოში არდაყენებას და არც იმას, რომ ტოპმიოლერი მას მეგობრულად, შინაურულად არ აუხსნიდა, თუ რატომ უპირებდა მას სათადარიგოთა სკამზე დასმას.

ხიზანიშვილს ეჭვი კიდევ ალბათ იმიტომ გაუჩნდა, რომ კარგად იცის, რა გემოვნების მწვრთნელია ტოპმიოლერი.

განა ვინმე დაიჯერებს, რომ ჰერ კლაუსი ლაშა სალუქვაძეზე უფრო მაღალი აზრისაა, ვიდრე ხიზანიშვილზე?

შესაძლოა, ლიტვასთან მატჩისთვის სალუქვაძე ხიზანიშვილზე უკეთ იყო მზად, მაგრამ ეჭვი ეჭვად რჩება.

ეს ის შემთხვეაა, როცა კატეგორიული ვერ იქნები. შესაძლოა, ტოპის გადაწყვეტილება მცდარი იყო, მაგრამ არც ის არის მოსაწონი, როცა ფეხბურთელი სანაკრებო შეკრებიდან მიდის.

საყურადღებოა ისიც, რომ ეს პირველად არ ხდება საქართველოს ნაკრებში. ჩვენს უპირველეს გუნდში რამდენჯერმე მომხდარა მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის ისეთი დაპირისპირება, რომელიც შიდა სამზარეულოს გარეთ გამოსულა და ქვეყნის სალაყბო გამხდარა.

ჩვენს ნაკრებში პირველად არც ის მომხდარა, ფეხბურთელი სანაკრებო შეკრებიდან წასულიყო იმის გამო, რომ ის თერთმეტეულში არ გაამწესეს - ასეთი შემთხვევა ძალიან იშვიათია ფეხბურთში, შესაძლოა, ეს მხოლოდ საქართველოს ნაკრებშიც კი ხდებოდეს, თორემ მწვრთნელ-ფეხბურთელის სხვანაირი უსიამოვნება სად არ მომხდარა, მათ შორის ჩვენს ეროვნულ გუნდშიც.

...საფრანგეთი-98-ის შესარჩევში ინგლისი-საქართველოს მეორე ტაიმში დავით ყიფიანმა შეცვლაზე შესული გოჩა გოგრიჭიანი გამოცვალა, გოგრიჭიანმა მაშინვე გამოთქვა უკმაყოფილება და ამის შემდეგ ის ნაკრებში არ მიუწვევიათ.

...მომდევნო შესარჩევში საქართველოს ნაკრებს მისი ლიდერი თემურ ქეცბაია გამოაკლდა გუნდის თავკაც ვლადიმერ გუცაევთან კონფლიქტის გამო. ქეცბაიამ თვითონ თქვა უარი ნაკრებში თამაშზე. იყო მისი და მწვრთნელის შერიგების მცდელობა, მაგრამ ამაში არ მონაწილეობდნენ ნაკრების ფეხბურთელები, რამეთუ ბევრ მათგანს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა გუცაევთან.

...ევრო 2004-ის შესარჩევის ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ნაკრების დროებითი მწვრთნელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია შეიქნა. ნაკრებს ორი გადაბმული მატჩი ჰქონდა ალბანეთთან, რომელთა შორის პაუზა ოთხი დღე იყო. ჟორდანიამ გოგა გახოკიძე არც ერთ შეხვედრაში არ ათამაშა და ტირანაში, როცა მატჩი ჯერ დასრულებული არ იყო, გახოკიძესა და ჟორდანიას შორის ჩხუბიც კი ატყდა.

...იმავე შესარჩევში, როცა ჩვენს ნაკრებს ჟორდანიამდე კიდევ ერთი დროებითი მწვრთნელი ჰყავდა, უკვე ხიზანიშვილი-ტოპმიოლერის მსგავსი ამბავის პირველი პრეცედენტი მოხდა. რუსეთთან მატჩის დღეს სანაკრებო შეკრებიდან შოთა არველაძე წავიდა - ივო შუშაკმა ის თერთმეტეულში არ გაამწესა და ამის შესახებ მასთან არ უსაუბრია. მანამდეც მომხდარა, შოთა ნაკრების სასტარტოში რომ არ გაუმწესებიათ, თუმცა ალექსანდრე ჩივაძე და დავით ყიფიანი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ ნაკრების წამყვან ფეხბურთელებთან ურთიერთობას და მათდროინდელ საქართველოს ნაკრებში ვინძლო ცოტა განსხვავებული, შეიძლება ითქვას, შედარებით მეგობრული სიტუაცია იყო.

...გერმანია 2006-ის შესარჩევის ბოლოს საქართველოს ნაკრები გაიოზ დარსაძემ ჩაიბარა და მეორე მსგავსი ინციდენტიც მოხდა. ალექსანდრე იაშვილს უთხრეს, არც ამ შეხვედრაში ითამაშებ და არც მომდევნოშიო. იაშვილმა სანაკრებო შეკრება დატოვა.

გასამება კი ტოპმიოლერსა და ხიზანიშვილს შორის მოხდა. ამით დაგვირგვინდა ტოპის გაწვრთნილი გუნდის ჩაფლავება გასულ შესარჩევში, მაგრამ არა გვგონია, საქართველოს ნაკრების უწყვეტი წარუმატებლობების მიზეზი ის იყოს, რომ მწვრთნელ-ფეხბურთელებს კონფლიქტი მოსდით, რომ ფეხბურთელები სასტარტოში არდაყენების გამო სანაკრებო შეკრებიდან მიდიან...

ფეხბურთში რა არ მომხდარა, მათ შორის დიდ ნაკრებებშიც.

80-იანი წლების დასაწყისში გერმანიას ძალიან სიმპათიური, ვარსკვლავური, წარმატებული ნაკრები ჰყავდა - ევროპული ოქრო მოინაგრა და ზეიზედ ორ მუნდიალზე ვერცხლი მოიხვეჭა. ჰოდა,სწორედ იმ დროს, გერმანელთა ჯანმაგარმა მარცხენაფლანგელმა ჰანს-პიტერ ბრიგელმა სენსაციური განცხადება გააკეთა - კალე რუმენიგე დიდი ფეხბურთელი კი არის, მაგრამ კაცად არ ვარგა, 5 000 მარკა შემომთავაზა, თუ ლაზათიანად მივბეგვავდი ული შტილიკეს, ვინც მას ხშირად სიტყვას უბრუნებსო.

ბრიგელს ზოგმა დაუჯერა, ზოგმა არა, მაგრამ ის კი იყო დასაჯერებელი, რომ გერმანიის ნაკრებში ანგელოზები არ თამაშობდნენ, მოედანზე კი ისინი მართლაც კაცები იყვნენ, მოედანზე კაცი იყო მათი კაპიტანი კალე რუმენიგეც.

არც ჩვენთან ითხოვს ქომაგი იმაზე მეტს, რომ ნაკრების ხალხმა მოედანზე კაცურად იბრძოლოს, ხოლო თუ გუნდის სამზარეულოში რალაც რიგზე ვერ არის, ეს მხოლოდ ფეხბურთელების და მწვრთნელის გასარჩევია.

ზოგს იმის სჯერა, რომ ქართველებმა განსაკუთრებული ძმაკაცობა და ურთიერთგატანა ვიცით, რომ ქართველი იმას არ იკადრებს, რასაც სხვა.

თუმცა ადამიანი ყველგან ადამიანია, საქართველოშიც, გერმანიაშიც და გვატემალაშიც, მაგრამ ზოგი წინ იხედება, ზოგი კი - ვერა. სწორედ ეს უნდა იყოს საქართველოს ნაკრების ფეხბურთელების ერთ-ერთი პრობლემა.

...როცა არველაძე რუსეთის თამაშის წინ სანაკრებო შეკრებიდან მიდიოდა, მასთან მივიდა ნაკრების რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი და უთხრა, რომ მოიცადე, რას აკეთებ, ნუ წახვალ, თუ გინდა ერთად შევიდეთ მწვრთნელთა და დავილაპარაკოთო?

....როცა დარსაძეზე განაწყენებული იაშვილი მიდიოდა ნაკრებიდან, ნუთუ არც მაშინ სცადეს თანაგუნდელებმა მისი შეკრებაზე დატოვება?

...და, როცა ხიზანიშვილი წავიდა შეკრებიდან ლიტვასთან თამაშის წინ, მას ნაკრების წამყვანმა ფეხბურთელებმა არაფერი ურჩიეს, არ შეეცადნენ მისთვის წასვლა გადაეთქმევინებინათ?

სამივე კითხვაზე პასუხი ასეთია - არა.

როცა წამყვანი ფეხბურთელი გულმოსული ტოვებს გუნდს, მის კონკურენტს ეს სიამოვნებს. კონკურენტში არ იგულისხმება მხოლოდ ის ფეხბურთელი, ვინც მის პოზიციაზე თამაშობს. წამყვანი ფეხბურთელის კონკურენტი გუნდში ყველა ის ფეხბურთელია, ვისაც აქვს იმის ამბიცია, რომ არის წამყვანი ფეხბურთელი ან უნდა გახდეს ასეთი.

ასეა, ეშმაკი ყველა ადამიანს ჰყავს შეჩენილი, მათ შორის საქართველოს ნაკრების ყველა ფეხბურთელს. სხვა საქმეა, ვის როგორ შეუძლია მისი დამარცხება.

ეჭვი ალბათ, არავის ეპარება იმაში, რომ გულის სიღრმეში არველაძის, იაშვილის თუ ხიზანიშვილის სანაკრებო შეკრებიდან წასვლა მის რამდენიმე თანაგუნდელს ესიამოვნა და თუ ეს ასე არ არის, მაშინ რატომ არ შეეცადა ნაკრების რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი მათ შეჩერებას?



ალექსანდრე იაშვილი

საქართველოს ნაკრებს ხიზანიშვილის გარდა ახლაც ჰყავს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი. არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე მატჩისთვის მწვრთნელმა კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი, ლევან ცქიტიშვილი ან ლევან კობიაშვილი სათადარიგოთა სკამზე დასვას. ძნელია, როცა კარგ ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელს მწვრთნელი სმოლენსკის „ისკრაში" მობურთალს გამჯობინებს და ასეთ დროს რას გააკეთებ, წინასწარ შენ თვითონ არ იცი. მაგრამ ის კარგად უნდა იცოდე, რომ საქართველოს ნაკრებში შენთან შენი თანაგუნდელები არ მოვლენ, არ გაგამხნევებენ და სახეიროს არაფერს გირჩევენ.

ვინ იცის, იქნებ, გასამების შემდეგ რამე შეიცვალოს.

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ასათიანი და პენალტი

მოსკოვის ლოკომოტივმა უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ნათამაშებ ორ ფრეს გუშინ მარცხი მიაყოლა. რკინიგზელები შინ დანიურ "კოპენჰაგენთან" 0:1 დამარცხდნენ. სტუმრებმა გამარჯვების გოლი 62-ე წუთზე პენალტით გაიტანეს. თერთმეტმეტრიანი კი მას შემდეგ დაინიშნა, რაც მალხაზ ასათიანმა საკუთარ საჯარიმოში შვედეთის ნაკრების ფორვარდი მარკუს ოლბაკი წააქცია. ამ ეპიზოდამდე ერთი წუთით ადრე კი ჩვენმა თანამემამულემ ყვითელი ბარათი მიიღო. "ლოკომოტივს" მეთექვსმეტედფინალში გასვლის შანსი ჯერ არ დაუკარგავს. ასათიანსა და მის თანაგუნდელებს მომდევნო ტურში სტუმრად ბერძნული "პანიონიოსის" დამარცხება დასჭირდებათ.

თამაშამდე მალხაზმა უკმაყოფილება გამოთქვა მოედნის მდგომარეობით: „ორი დღის წინათ ამ მოედანზე ცსკამ ითამაშა. რას ვიზამთ, მოედნები მოსკოვში არვარგა და ცსკამ იქირავა ის სტადიონი, სადაც შედარებით უკეთესი საფარია. დიდი განსხვავებაა, მოედანსა და ხელოვნურ საფარს შორის. ახლა ჩვენი სტადიონის გრუნტი ისეთი დამძიმებულია, მგონი, აჯობებს კარტოფილის ყანაში ვითამაშოთ. იქ მაინც ახტება ბურთი".

ასათიანმა ახალ პრეზიდენტთან ურთიერთობაზეც ისაუბრა: „კლუბის ახლო პრეზიდენტი გავიცანი და საინტერესო ადამიანი ჩანს. ჩვენ შემდეგი სეზონის შესახებ ვისაუბრეთ, მაგრამ რაზე, ეს ჩვენს საიდუმლოდ დარჩება".



მალხაზ ასათიანი

# სანდრო მსოფლიო ბომბარდირებში

ფეხბურთის სტატისტიკისა და ისტორიის საერთაშორისო ფედერაცია (IFFHS) სისტემატურად აქვეყნებს სხვადასხვა სახის რეიტინგებს. ამათგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ის რეიტინგია, რომლებშიც ეროვნული ჩემპიონატების ბომბარდირები შედიან.

ამ ნომინაციის ლიდერთა შორის ხშირად იყო **შოთა არველაძე**, მაგრამ ტრავმის შემდეგ ვეტერან ქართველ მეგოლეს კონკურენტებმა საგრძნობლად გაუსწრეს და არველაძის გვარი სიიდან გაქრა. სამაგიეროდ, რეიტინგშია **სანდრო იაშვილი**, რომელიც იქ თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში გატანილი 21 გოლითაა შეყვანილი (შვეიცარიული "თუნის" რიგებში მან ჯერ მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა).

სანდრო 22-ე ადგილზეა და ისეთ ცნობილ ფორვარდებს უსწრებს, როგორებიც **ჯეფერსონ ფარფანი, კლას იან ჰუნტელაარი, ფრედერიკ კანუტე, კრისტიანო ლუკარელი** და **დიდიე დროგბა** არიან. საუკეთესო ათეული კი ასე გამოიყურება.

**აფონსო ალვეში** (ბრაზილია, ჰერენვენი)
**ედუარდო და სილვა** (ხორვატია, დინამო ზ.)
**დმიტრი ლიპარტოვი** (ესტონეთი, ნარვა)
**ცვეტან გენოვი** (ბულგარეთი, ლოკომოტივი ს.)
**ისრაელ სილვა** (ბრაზილია, ჟუვენტუდე)
**ბობან იანჩევსკი** (მაკედონია, ბაშკიმი)
**პოლივას ლუკსისი** (ლიტვა, ეკრანასი)
**ფრანჩესკო ტოტი** (იტალია, რომა)
**გარი ჰემილტონი** (ჩრდ. ირლანდია, გლენტორანი)
**რუუდ ვან ნისტელროი** (ჰოლანდია, რეალი)

**ლევან ჯანეზაშვილი**



სანდრო იაშვილი

# მუჯირისთვის მსოფლიო ჩემპიონატი დეკემბერში იწყება

7-16 დეკემბერს იაპონიაში მსოფლოს საკლუბო ჩემპიონატი გაიმართება, რომელშიც ორი ქართველი ითამაშებს - მილანელი **კახა კალაძე** და სეპაჰანელი **ჯაბა მუჯირი**.

ტურნირში შვიდი გუნდია და გათამაშების პრინციპი ასეთია. მუჯირის ისპაჰანის „სეპაჰანი" ოკეანეთის საუკეთესო გუნდს გაეჯიბრება და თუ მოუგებს, მეოთხედფინალში გავა.

მეოთხედფინალში ორი წყვილი იქნება. „სეპეჰანისა" და ოკეანეთის ჩემპიონს შორის გამარჯვებული იაპონურ „ურავას" გაეჯიბრება. მეორე წყვილში ურთიერთობას კონკაკაფის და კაფის საუკეთესო კლუბები გაარკვევენ.

„მილანი" და ლიბერტადორესის თასის მფლობელი „ბოკა ხუნიორსი" კი ტურნირში ნახევარფინალიდან ჩაერთვებიან. ნახევარფინალში ისინი ერთმანეთს არ შეხვდებიან.

შეგახსენებთ, „სეპაჰანი" ამ ტურნირში მონაწილეობს, როგორც აზიის ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი. ირანელებმა ფინალის პირველ შეხვედრაში შინ, „ურავასთან" 1:1 ითამაშა, სტუმრად კი 0:2 წააგო.

„იაპონიაში მეტოქემ ჩვენზე უკეთ ითამაშა, თუმცა პირველი გოლი თამაშგარედან გაგვიტანა. გაშვებული გოლის შემდეგ შეტევაში დიდი ძალებით წავედით და მეორე გოლი კონტრშეტევაზე გაგვიტანეს. ახლა ირანის ჩემპიონატზე ვართ გადართულები. აზიის ჩემპიონთა ლიგაზე თამაშის გამო ეროვნულ ჩემპიონატში რამდენიმე მატჩი გამოვტოვეთ და ახლა კვირაში სამი თამაშის ჩატარებაც კი გვიწევს", - გვითხრა ჯაბამ.

ირანულ პრემიერლიგაში (ოფიციალურად სპარსეთის ყურის ლიგა ეწოდება) დღეს მე-15 ტურის მატჩები გაიმართება, მანამდე კი წინა ტურის შესახებ მოგითხრობთ. ამ საკმაოდ ძლიერ ლიგაში მუჯირის გარდა კიდევ ერთი ქართველი თამაშობს - **აქვსენტი გილაური**, ირანელთა ყველაზე პოპულარული გუნდის „ესტეღლალის" ყოფილი ნახევარმცველი, ახლა „პეგაშია". მე-14 ტურში მუჯირის „სეპაჰანმა" შინ 4:0 გაანადგურა „ბარღი". ჯაბა სასტარტო შემადგენლობაში იყო და90 წუთი დაჰყო მოედანზე. „პეგა" შინ „შირინფარაზს" დაუზავდა - 0:0. თანამემამულის მსგავსად აქვსენტი გილაურიც 90 წუთი მოედანზე იყო. მუჯირის გუნდი 29 ქულით მეორე ადგილზეა და ლიდერ „პერსეპოლისს" 6 ქულით ჩამორჩება, თუმცა „სეპაჰანს" ლიდერზე 3 მატჩით ნაკლები აქვს ნათამაშები. ასე რომ დაკარგული ქულებით ქართველის კლუბი ლიდერია. თავის მხრივ „სეპაჰანი" მესამეადგილოსან „საბას" 4 ქულით უსწრებს. სამწუხაროდ, „პეგა" პრემიერლიგის მაჩანჩალაა 7 ქულით.

**დავით თავართქილაძე**



გიორგი ონიანი - ივანაუსკასის ერთ-ერთი იმედი

# ივანაუსკასის იმედი

ბოლო პერიოდში "კარლ ცაისის" ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად ორო ქართველი, **გიორგი ონიანი** და **ილია კანდელაკი** დამკვიდრდა. მართალია, ამით იენელთა სატურნირო მდგომარეობა არ გამოსწორებულა, მაგრამ გუნდის მთავარი მწვრთნელი **ვალდას ივანაუსკასი** იმედოვნებს, რომ უახლოეს პერიოდში "კარლ ცაისი" უფრო შედეგიანად ათამაშდება.

*"მართალია, დღეისათვის სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე ვართ, მაგრამ ჯერ არაფერია დაკარგული, მომდევნო მატჩებში გამარჯვებისთვის მაქსიმუმს გავაკეთებთ, მეორე წრიდან კი ვფიქრობ, უკვე რეალურ ბრძოლას დავიწყებთ სახიფათო ზონისთვის თავის დასაღწევად"*, - ამბობს ლიტველი სპეციალისტი.

მან იქვე ფეხბურთელები დაახასიათა და ონიანისა და კანდელაკის თამაში ნორმალურად შეაფასა. შეგახსენებთ, "კარლ ცაისს" კიდევ ორი ქართველი ჰყავს – **რევაზ ბარაბაძე** ჯერჯერობით, ახალგაზრდულ გუნდში თამაშობს, **გიორგი სეთურიძე** კი ტრავმირებულია.

დღეისათვის, იენურ კლუბს 14 ტურის შემდეგ, მხოლოდ 7 ქულა აქვს და "აუგსბურგს", რომელიც მეორე ბუნდესლიგაში დამრჩენ მე-15 პოზიციაზეა, 7 ქულით ჩამორჩება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## ალკმაარი და ლარისა

უეფას თასზე ქართველი მსაჯებიც დასაქმდნენ. გუშინ ჰოლანდიური "ალკმაარისა" და ბერძნული "ლარისას" მატჩი ჩვენმა ბრიგადამ განსაჯა. არბიტრი ლევან ფანიაშვილი იყო, ასისტენტები - ზაზა მენთეშაშვილი და ლევან მიქელაძე, მეოთხე მსაჯის ფუნქციები კი დავით ხარიტონაშვილმა შეასრულა.

# მაღრაძის ფრე, ქებაძის მარცხი

კვიპროსში ქვეყნის თასის გათამაშების მატჩები გაიმართა. კუნძულზე თასი მეორე ეტაპიდან ჯგუფური სისტემით იმართება (დაახლოებით საქართველოს თასის პრინციპით), ჯერ A ჯგუფის მატჩები გაიმართა. **ლევან ქებაძის** „ეთნიკოსი" „ნეა სალამინას" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. ლევანი 64-ე წუთზე შეცვალეს. **ლევან მაღრაძის** „აპოლონი" დედაქალაქის „ომონიას" ესტუმრა და დაუზავდა - 2:2. მაღრაძემ 90 წუთი ითამაშა. მატჩის შემდეგ აღშფოთებულმა მაყურებლებმა მსაჯზე მიიტანეს იერიში, თუმცა არბიტრმა პოლიციის წყალობით თავს გასახდელში უშველა. B ჯგუფის მატჩები 5 დეკემბერს გაიმართება - თემურ ქეცბაიას „ანორთოსისი" აპოელ-ს მასპინძლობს. ეს ჯგუფური ეტაპის პირველი ტურის მატჩებია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კარლო ანჩელოტისთან

# პატო რონალდინიოზე ძლიერია

## მილანელი მწვრთნელის აზრით, ბარსელონა ჩემპიონთა ლიგის ფავორიტია, სერია A-ში კი ჯერაც დიდი გზაა გასავლელი...



კარლო ანჩელოტი: მილანი კრიზისიდან ნელა, მაგრამ მაინც გამოდის

**სამშაბათს „მილანმა“ „ბენფიკასთან“ 1:1 ითამაშა. „როსონერიმ“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში თამაში გაინაღდა. ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გაეცნობით, „გაძეტა დელო სპორტმა“ ლისაბონის მატჩამდე ორი დღით ადრე მოამზადა. მილანელთ მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი იმ ანომალიებზე საუბრობს, რაც მისი გუნდის თამაშში შეინიშნება. ის „ბარსელონის“ მოსალოდნელ ევროპულ ტრიუმფს, „არსენალის“ გამოუცდელობას, პატოს უკიდეგანო ნიჭსა და რონალდოს გაჭიანურებულ კრიზისსაც აფასებს. ვფიქრობთ, მისი ნააზრევი ჩვენი მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს...**

**- ანჩელოტი, როგორ მდგომარეობაშია თქვენი გუნდი?**

- ჩვენ ნელ-ნელა, მაგრამ ფორმაში შევდივართ. მილანს ახლა ანომალიური პერიოდში იმყოფებოდა, მაგრამ რთული მდგომარეობიდან უკვე გამოვედით და ახლა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

**- რას ნიშნავს ანომალიური?**

- ჩვენ კარგად ვთამაშობდით სტუმრად და საშინლად ვმოქმედებდით საშინაო მატჩებში. როგორც წესი, როცა ესა თუ ის გუნდი კრიზისში ხოლმე, ეს უფრო გასვლით მატჩებზე აისახება და ნაკლებად საშინაოზე.

**- გეთანხმებით. აგვიხსენით, რა იყო ამ კრიზისის მიზეზი?**

- საქმე ისაა, რომ „მილანი“ სერია A-ს სხვა გუნდებზე მეტად იტანჯება მჭიდრო სათამაშო გრაფიკის გამო. ჩვენ გუნდში უამრავი ფეხბურთელი გვყავს, რომლებიც ალფრთოვანებული თამაშობენ მხოლოდ მაშინ, როდესაც თავისუფალი მოქმედების საშუალება აქვთ, მაგალითად კაკა. ხოლო ასეთ გრაფიკის პირობებში, ალფრთოვანებული თამაში ძალიან ძნელია.

**- სულ ცოტა ხნის წინათ, კაკამ განაცხადა, რომ „მილანს“ არ აწყენდა უკვე იანვრისთვის რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის მოწვევა, რათა ისეთ გამოცდილ ვეტერანებთან ერთად, როგორებიც მალდინი, კაფუ და სერჟინიო არიან მიიღონ გამოცდილება და გაიზარდონ როგორც ფეხბურთელები. ეთანხმებით მის პოზიციას?**

- ჩვენი კლუბი ამაზე მუდმივად მუშაობს, რისი დასტურიც გუნდში პატოს მიწვევაა. თუკი ინტეგრაცია ახალი ფეხბურთელისა გუნდში დროული და მიზანშეწონილია, ამ შემთხვევაში, „მილანი“ საქმეს არასოდეს გადადებს. ჩვენ მუდმივად ვაკვირდებით ნიჭიერ ბავშვებს, ისეთებს, რომლებიც მომავალში შეიძლება გამოგვადგნენ.

**- და იქნებ გვარები დაგვიკონკრეტოთ?**

- თუკი ამას ვიზამ, მაშინ მათი ფასები არანორმალურად გაიზრდება.

**- კაკა აცხადებს, რომ „მილანს“ ჯერ კიდევ შეუძლია სკუდეტოსთვის ბრძოლა...**

- კი ბატონო, მეც ასე ვფიქრობ, მე მას ვეთანხმები. მიმდინარე ჩემპიონატი ძალიან უცნაური და არაბალანსირებულია. ყველა ფავორიტი პრობლემებს აწყდება. „ფიორენტინა“ შინ „უდინეზესთან“ აგებს, „ რომა“ ემპოლისთან“ ფრეს თამაშობს. ხომ ხედავთ, ყველას უჭირს.

**- თუმცა „ინტერი“ უკვე ძალიან შორსაა.**

- ეს გუნდი ყველაზე სტაბილურად თამაშს ახერხებს, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ დიდი დისტანციაა გასავლელი.

**- ევროპაში „მილანის“ თავს მხოლოდ კარგი ამბებია. ასე რატომ ხდება?**

- ჩემპიონთა ლიგაში ჩვენ ისეთ გუნდებს ვეთამაშებით, რომლებიც თამაშობენ ბევრად უფრო გახსნილ ფეხბურთს და, შესაბამისად, მეტ საშუალებას გვიტოვებენ შემოქმედებითი ფეხბურთისთვის. ამიტომაც ვიგებთ, თანაც ძალიან დამაჯერებლადაც.

**- მიმდინარე ეტაპზე ვის თვლით ლიგაში ყველაზე ძლიერ გუნდად?**

- ულაპარაკოდ „ბარსელონას“. ამ წუთას მათზე მაღალი კლასის გუნდით ვერავინ დაიკვეხნის.

**- „არსენალი“?**

- „მეთოფეები“ თამაშობენ კარგად და სახეზეა მათი შესანიშნავი შედეგები. „არსენალს“ ძალიან ბევრი ახალგაზრდა, ენთუზიაზმით სავსე მოთამაშე ჰყავს, ჩემპიონთა ლიგის ბედი კი გაზაფხულზე წყდება ხოლმე, გაზაფხულზე კი მთავარია ხოლმე გამოცდილება. საჭიროა, გაუძლო დაძაბულობასა და ზეწოლას. არ ვიცი, ლონდონელი პატარა ბიჭები ამისთვის მზად თუ იქნებიან.

**- „მილანმა“ იცის ყოველივე ამას როგორ გაუძლოს.**

- „მილანი“ ამ გამოცდილებას ვისაც უნდა იმას გაუნაწილებს. ჩვენ ყველაზე უკეთ ვიცით, როგორ უნდა გადამწყვეტი თამაშების ჩატარება.

**- კაკა უბრალოდ ოცნებობს „მილანისა“ და „ბარსელონის“ ფინალზე.**

- ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მას ასეთი სიამოვნება არ მოვაკლოთ.

**- და ვინ მოიგებს ამ ფინალს?**

- რა თქმა უნდა, „მილანი“. ინძაგი შესანიშნავ ფორმაშია, ჯილარდინომ რეგულარულად გატანა დაიწყო. რონალდო უკვე თამაშობს, გვყავს პატოც.

**- „ბარსელონას“ ჰყავს ანრი, მესი, ეტოო და რონალდინიო. რისი თქმა გინდათ, რომ პატო რონალდინიოზე მაგარია?**

- დიახ, მე ამას ვამტკიცებ და მზად ვარ ამ განცხადებას ხელიც მოვაწერო. მის თამაშზე მსჯელობა ძალიან ადვილია. ის ძალიან მაგარია და მორჩა. ამაზე მეტის თქმა საჭირო არაა.

**- ის მაინც გვითხარით, როგორ აღმოაჩინეთ ის?**

- საკმარისი იყო ერთხელ მენახა მისი თამაში ტორონტოში 20 წლამდელთა ჩემპიონატზე. ის ფენომენია. შთამბეჭდავი სისწრაფე, კოორდინაცია, ჯადოსნური საგოლე ალღო, ძლიერი დარტყმა. მეტი რა უნდა თავდამსხმელს?

**- როცა თქვენს განკარგულებაში პატოც იქნება, სამუდამოდ დაუბრუნდებით ორი ფორვარდის ტაქტიკას?**

- ამაზე ვიფიქრებ. ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ერთი თავდამსხმელით თამაშიც. ხოლო ზოგიერთში - ორით. ფეხბურთი არაა ის სფერო სადაც აქსიომებით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

**- მართალია, რომ რონალდო ვარჯიშებზე რეგულარულად აგვიანებს?**

- დიახ, ეს რამდენჯერმე მოხდა და ჯარიმა გადაიხადა, როგორც ეს წესებით გვაქვს განსაზღვრული. ახლა მას ძალიან უნდა ძველი ფორმის აღდგენა.

**- ამ დროს ინძაგი აგრძელებს გოლების გატანას...**

- მან მუდამ კარგად იცის, როდის და სად უნდა იდგეს. იმის მიუხედავად, რომ რამდენჯერმე პიპო ძირითადში არ დავაყენე, ის მუშაობდა როგორ ჭკუიდანშეშლილი, რათა ფორმის პიკში ყოფილიყო მაშინ, როცა მას მოედანზე ისევ შევუშვებდი. ის დიდი ფეხბურთელია.

**- ვის დარჩება ოქროს ბურთი?**

- აუცილებლად რომელიმე მილანელს. მე ძალიან მოხარული ვიქნები თუ ეს ასე მოხდა.

**- კაკა თუ პირლო?**

- მათ ეს ჯილდო დაიმსახურეს. ვფიქრობ, კაკა ფავორიტია.

**- რას ფიქრობთ იმ ძალადობაზე რაც ამ ბოლო დროს გამეფდა ტრიბუნებზე, ასევე შეტაკებებზე პოლიციასა და ულტრასებს შორის?**

- ეს თემა აუცილებლად ფართოდ უნდა განვიხილოთ. დიალოგი საშუალებას მოგვცემს, რომ პრობლემის გადაწყვეტის გზები გამოვნახოთ. ის შემთხვევა, რაც არეცოში მოხდა, ტრაგიკული შემთხვევითობა იყო, რომელმაც, სამწუხაროდ, გრანდიოზული არეულობები გამოიწვია. კატანიაში მომხდარი ტრაგედია არ გვქონდა მოშუშებული, რომ იმავე მდგომარეობას დავუბრუნდით.

**- როგორ გამოვძვრეთ ამ სიტუაციიდან?**

- უნდა განვაგრძოთ ის გზა, რასაც კატანიის ტრაგედიის შემდეგ დავადექით. ნამდვილი საფეხბურთო გულშემატკივრების დიდი ნაწილი უკვე გაერთიანდა აგრესიული ულტრასების წინააღმდეგ. და ეს შესანიშნავი წინაპირობაა პრობლემის გადასაჭრელად. ყველა გადავილალეთ ამხელა აგრესიისგან. ულტრასების დიდი ნაწილი დღეს უკვე სამართალდამცველების კონტროლქვეშაა. არ მგონია, რომ ჩვენი ფეხბურთი ასეთი ცუდი ხალხის მსხვერპლი შეიქმნას. ფეხბურთი არ შეიძლება ომის წინაპირობა გახდეს, საფეხბურთო გულშემატკივრობა კარგი, ჯანმრთელი, ცივილიზებული მოვლენაა. ეს ადამიანთა შესანიშნავი გამაერთიანებელია. ხოლო ვინც ასე არ ფიქრობს, მაშინ მათი იზოლაციაა საჭირო.



ხუან რომანის გასაჭირს წერტილი დაესვა

ბოკა ხუნიორსი

# რიკელმე დაბრუნდა

მორჩა, რიკელმემ „ვილიარეალს“ თავი დააღწია. საყოველთაოდ ცნობილ ისტორიას აღარ შევეხებით. ყველამ იცის, რომ რომანს **მანუელ პელეგრინი** პრინციპულად არ ათამაშებდა. ამით გატანჯულმა არგენტინელმა ნახევარმცველმა ბევრი იბრძოლა და ესპანური კლუბიდან მშობლიურ „ბოკა ხუნიორსში“ დაბრუნდა. ჯერ-ჯერობით, დაუდასტურებელი ინფორმაციის თანახმად, „ლა ბომბონერაზე“ ის 2010 წლამდე დარჩება. ბუენოსაირესელებმა მსოფლიო დონის ვარსკვლავის სანაცვლოთ 10 მილიონი ევრო გადაიხადეს. კულუარებიდან გამოჟონილი ხმების თანახმად, „ბოკას“ პრეზიდენტმა, **მაურისიო მაკრიმ** ეს თანხმა კლუბის თავგადაკლული მილიონერი ფანებისგან მოიპოვა.

რიკელმემ პირველი პრესკონფერენცია გამართა. აი, რა განაცხადა მან: *„ვერავინ წარმოიდგენს, რამდენად ბედნიერი ვარ. ყოველი დღე ჯოჯოხეთს გავდა. ვიღვიძებდი და ვიცოდი, რომ არათუ თამაშის, არამედ თანაგუნდელებთან ერთად ვარჯიშის ღირსად არ გამხდიდნენ. პელეგრინი ჩემგან ყველაფერს იმსახურებს, მაგრამ ახლა მასზე საუბარი აღარ მსურს. უბრალოდ, გული მტკივა, რომ ასე დავიჩაგრე. 2010 წლამდე სათაყვანებელი „ბოკა ხუნიორსის“ საკუთრება ვიქნები. მთელი ამ დროის განმავლობაში ყველაფერს გავაკეთებ, რათა დიდ წარმატებებს მივაღწიოთ. აპერტურასა და კლაუსურაში უნდა გავიმარჯვოთ და, რა თქმა უნდა, კოპა ლიბერტადორესი მოვიპოვოთ. მომავალს უდიდესი ოპტიმიზმით ვუყურებ. მჯერა, „ბოკაში“ ძალიან ბედნიერი ვიქნები.*

ესპანიოლი vs ბარსელონა

# სანჩეს ლიბრე ლაპორტასთან პურს არ გატეხავს

## როცა მხარეებს არაფერი აქვთ საერთო, ერთმანეთს სადილზე არ პატიჟებენ

„ესპანიოლის“ პრეზიდენტმა, **დანიელ სანჩეს ლიბრემ** მოახლოებული კატალონიური დერბის წინ სკანდალური პრესკონფერენცია გამართა. მან „ბარსელონის“ პრეზიდენტ **ჟოან ლაპორტასთან** დაძაბული ურთიერთობის შესახებ ისაუბრა: *„ინსტიტუციური თვალსაზრისით, „ბარსასთან“ მიმართებაში არაფერი შეგვიცვლია. ამ გუნდთან ახლაც ისეთივე დამოკიდებულება გვაქვს, როგორც 10 ან 20 წლის წინ. როცა ჩვენი გზები იკვეთება, მატჩის ორგანიზებისთვის საჭირო ღონისძიებებს ვატარებთ. ვიმეორებ, ადრეც ასე იყო. სხვა კლუბების ურთიერთობის ტრადიცია პრეზიდენტების სადილს ითვალისწინებს, მაგრამ „ესპანიოლსა“ და „ბარსელონას“ ასეთი სიამტკბილური ცხოვრება არასოდეს ქონიათ. ჩვენს ისტორიას ვინც გაეცნობა, აღმოაჩენს, რომ „ესპანიოლის“ პრეზიდენტს „ბარსლონის“ არცერთი პრეზიდენტი სადილად არ მიუწვევია. მეგობრები არ ვართ და ერთადერთი მიზეზი ეს არის. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ფაქტია, ლაპორტა ძალიან გააქტიურდა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით სადილის აუცილებლობაზე საუბარი გაიწყო. ეს გამორიცხულია. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება, იმ კაცთან ერთად ვჭამო, რომელთანაც არავითარი საერთო არ გამაჩნია. სუფრასთან რაზე უნდა ვილაპარაკოთ, როცა ჩემთვის თეთრი თეთრია, ლაპორტასთვის კი - შავი? ბოლოსდაბოლოს პორნოფილმებზე ხომ არ ვილაპარაკებთ? მოკლედ, მასთან სადილობას მირჩევნია, სახლში დავრჩე და ოჯახის წევრებთან ერთად დავნაყრდე. ჩვენ სტადიონზე მოსვლას რაც შეეხება, ლაპორტას პრობლემა არ შეექმნება, რადგან მას ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის კანონმდებლობა იცავს.“*

სენიორ სანჩეს ლიბრემ ფაქტობრივად ის თქვა, კანონი რომ არა, მას „მონჟუიკზეც“ არ მოვუშვებდიო. „ესპანიოლის“ პრეზიდენტის ასეთი აგრესიული დამოკიდებულების მიზეზი ლაპორტას ის ცინიკური განცხადებები გახდა, რომლებიც წლების განმავლობაში თანაქალაქელთან მიმართებით გაისმოდა. „ბარსას“ პრეზიდენტი შესაძლებლობას არ უშვებდა ხელიდან, ეთქვა, რომ „ესპანიოლი“ „ბარსას“ სიმაღლეზე ვერასდროს ავა. გარდა ამისა, ბატონი ჟოანი კოლეგას კატალონიის ინტერესების უგულვებელყოფაში ადანაშაულებდა. მაშინ, როცა ლაპორტა კატალონიის უფლებებისთვის იბრძოდა, სანჩეს ლიბრე უნიტარულ ესპანეთს ხოტბას ასხამდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ამ ადამიანებს საერთო, მართლაც, არაფერი აქვთ და სჯობს, მატჩის დღეს ცალცალკე ისადილონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ერიკ აბიდალთან

# ესპანეთში ფეხბურთი უფრო ეფექტურია

## ფრანგ მცველს ბარსელონა საცხოვრებლად და ფეხბურთის სათამაშოდ იდეალურ ადგილად მიაჩნია...

**საფრანგეთის ნაკრების** მცველმა ერიკ აბიდალმა უკვე სრულად გაიარა ადაპტაცია „ბარსელონაში“ და ამ ხუთი თვის განმავლობაში, ესპანეთში საკმაოდ კარგი რეპუტაციაც მოიხვეჭა. ამ კვირას, აბიდალი ლიონში დაბრუნდა, სადაც „ჟერლანის“ სტადიონზე, ჩემპიონთა ლიგის მატჩში თავის ყოფილ კლუბს, „ლიონს“ დაუპირისპირდა. სწორედ ლიონში გატარებული სამი წლის გახსენებით იწყებს ფრანგი მცველი „ბარსას“ ოფიციალური ვებ-გვერდისთვის მიცემულ ინტერვიუს, რომელსაც აბიდალი რასიზმსა და მსოფლიოში დღეს არსებულ პრობლემებზე საუბრით ასრულებს.

**- საიდან დაიწყო ერიკ აბიდალის აღმასვლა?**

- ბოლო სამი წელი „ლიონში“ გავატარე, სადაც სამ სხვადასხვა მწვრთნელთან მომიწია მუშაობა. თითოეული მათგანისგან ბევრი რამ ვისწავლე. მათი ნდობის წყალობით, გამოცდილებაც შევიძინე, რამაც პროგრესის საშუალება მომცა.

**- როგორი რეაქცია გქონდათ, როცა გაიგეთ, რომ „ბარსელონა“ აპირებდა თქვენს შეძენას?**

- ეს რაღაც ჯადოსნური გრძნობაა, როცა იგებ, რომ შენით „ბარსელონაა“ დაინტერესებული, მით უმეტეს, რომ ძალიან რთულია მის დონეს შეესაბამებოდე. წინადადებაზე ბევრი ვიფიქრე და საბოლოოდ, თანხმობა განვაცხადე. შემდეგ „ლიონის“ პრეზიდენტმა დაიწყო ჩემი ტრანსფერის თანხაზე ვაჭრობა. რაც უფრო ჭიანურდება მოლაპარაკებები, მით უფრო მეტ დისკომფორტს გრძნობს ფეხბურთელი. მაგრამ, უკვე მიღებული მქონდა საბოლოო გადაწყვეტილება და ჩემთვის ყველაფერი დღესავით ნათელი იყო.

**- „ნოუ კამპზე“ მოსვლიდან ხუთი თვის თავზე, როგორია თქვენი შთაბეჭდილებები?**

- „ნოუ კამპი“ დიდი სტადიონია, საფრანგეთში გაცილებით პატარა არენებზე მიწევდა თამაში. აქ მატჩების წინ, აჟიოტაჟიც გაცილებით დიდია. მუდმივად სხვადასხვა ასაკის გულშემატკივართა გარემოცვაში ვექცევით. და რაც მთავარია, ესპანეთის ჩემპიონატში უფრო ეფექტურ ფეხბურთს თამაშობენ.

**- საკუთარ თამაშს როგორ შეაფასებდით?**

- უფრო ეფექტური უნდა ვიყო. აქ ძალიან ბევრნი ვართ და მუდმივად საკუთარი თავზე გვიწევს მუშაობა. ძალიან მნიშვნელოვანია სეზონის მსვლელობისას მუდმივი და სტაბილური პროგრესი.

**- ანუ, შეცდომის დაშვების უფლება გამორიცხულია...**

- „ბარსელონა“ ის გუნდია, რომლისგანაც ყოველთვის მაღალ შედეგებს ითხოვენ - უნდა მოვიგოთ ჩემპიონატი, წარმატებით უნდა გამოვიდეთ ევროპაში. მეორე ადგილი არავისთვის არ არის მისაღები. მეც ვეთანხმები ამ აზრს. ასეთი ფეხბურთელებით, ვალდებულნი ვართ ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდეთ.

**- საფრანგეთში პრესის მხრიდან ზეწოლა ნაკლებია?**

- იქ ეს კლუბის ხელმძღვანელთა პრობლემაა. ესპანეთში ფეხბურთელი ნებისმიერ მომენტში შეიძლება ჟურნალისტმა გამოიჭიროს. საფრანგეთში კი, მატჩის შემდეგ მისცემ ერთ ინტერვიუს და მთელი კვირა აღარავის გაახსენდები.

**- თქვენს შესახებ პრესას თუ ადევნებთ თვალს?**

- გაზეთებს არ ვკითხულობ, მირჩევნია სხვა რამეზე მოვახდინო კონცენტრაცია. ისე კი, თუ ყველაფერი წესრიგშია, კრიტიკის საფუძველი არ არსებობს.

**- ადაპტაციის პერიოდი კიდევ გრძელდება?**

- ესპანური ენა კარგად უნდა ვისწავლო, რათა უფრო აქტიურად ჩავება ყველაფერში, რაც გუნდში ხდება. აქ შესანიშნავი ატმოსფეროა და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იმისთვის, რომ კარგად იმუშაო, ყოველთვის კარგ განწყობაზე უნდა იყო.

**- თქვენ უკვე დაამტკიცეთ, რომ ფიზიკურად კარგად ხართ მომზადებული და შეტევაში თამაშიც შეგიძლიათ.**

- „ბარსელონაში“ მცველი ხშირად უნდა ერთვებოდეს შეტევაში, „ლიონში“ კი, მსგავსს არაფერს ვაკეთებდი. ვფიქრობ, ყველაფერი გამაჩნია იმისთვის, რომ ფლანგიდან ხშირად შევუტიო - სისწრაფე, ბურთის ფლობა... მთავარი მაინც ფიზიკური მომზადებაა. როცა მეტოქე ფლანგზე გიპირისპირდება, მან არ უნდა შეამჩნიოს, რომ დაიღალე ან კონცენტრაცია დაკარგე. მოწინააღმდეგემ შენი სისუსტე არ უნდა შეამჩნიოს.

**- ძირითადში ადგილის დამკვიდრება არ გაგჭირვებიათ...**

- ეს ჩემი ცხოვრებისეული პოზიციაა. როცა ახალ გუნდში მიდიხარ, ყოველთვის ცდილობ ძირითადის მოთამაშე გახდე. „ბარსელონასთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი მაქვს და ვეცდები აქ რაც შეიძლება დიდხანს დავრჩე. მე მგონი, ეს არ გამიჭირდება, რადგან ყოველთვის ვცდილობ მაქსიმალურად გამოვადგე იმ გუნდს, რომლის შემადგენლობაშიც ვთამაშობ.

**- კარიერაში რამდენიმე გოლი გაქვთ გატანილი?**

- ორჯერ გამოვიჩინე თავი საფრანგეთის თასზე, „ლილის“ წინააღმდეგ. მაგრამ ჩემს მთავარ ამოცანად დაცვაში კარგი თამაში მიმაჩნია. მწვრთნელები ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ უკან გუნდი უნდა დავაზღვიო, მაგრამ შეძლებისდაგვარად, კონტრშეტევებშიც ჩავერთო. „ბარსელონაში“ ამ მხრივ უფრო მეტი შესაძლებლობაა, მაგრამ მირჩევნია მეტოქეს არ გავატანინო, ვიდრე თავად ვეცადო გატანა.

**- ფეხბურთის გარდა, კიდევ რაზე ფიქრობთ?**

- ბევრ რამეზე, რაც მსოფლიოში ხდება. მაგალითად იმაზე, რომ ყველა მხოლოდ საკუთარი თავისთვის და მიზნებისთვის იბრძვის. ასეთები ძირითადა პოლიტიკოსები არიან, რომლებიც წინასაარჩევნოდ ბევრ დაპირებებს იძლევიან, მაგრამ იშვიათად ასრულებენ მათ. ეს ტყუილი ვნებს საზოგადოებას, ორი ნაწილად ჰყოფს მას, მაგრამ ხალხი მაინც აგრძელებს მათთვის ხმის მიცემას. ყველას მხოლოდ ერთი მიზანი უნდა ჰქონდეს, ყველაფერში სოლიდარულები უნდა ვიყოთ. არ აქვს მნიშვნელობა ვინ ხარ შენ - თეთრი თუ შავი, აზიელი თუ არაბი. ყველას გვაქვს დედამიწაზე არსებობის უფლება.

**- რასიზმს გულისხმობთ?**

- დიახ. დღეს ისეთი დროა, რომ ყველა კულტურას შეუძლია მშვიდი თანაარსებობა. მე ეს „ბარსელონაში“ მისვლისთანავე შევამჩნიე და ეს ძალიან მახარებს.

**- მოგწონთ ბარსელონა?**

- ზღაპრული ქალაქია. ჩემს მეუღლესა და ორი შვილს ძალიან მოსწონთ აქაურობა, ეს კი, ნებისმიერი ფეხბურთელისთვის მნიშვნელოვანია. ქალაქი ბრწყინვალეა, მაგრამ სახლის გარეთ იშვიათად გავდივარ, მირჩევნია უფრო მეტი დრო ოჯახთან გავატარო. ფეხბურთელი, რაც შეიძლება მეტს უნდა ისვენებდეს.

**- თქვენი მეორე გატაცება მუსიკაა...**

- ის განტვირთვაში მეხმარება. ვუსმენ რეპს, სალსას, შანსონს, ფანკს... მე და ტიერი ანრის ერთი გემოვნება გვაქვს - Kassav, Rohff, Booba, 50 Cent, Snoop Dogg, 2Pac. ფრანგული რეპი ფიქრის საშუალებას გაძლევს. ძირითადად, სწორედ ტექსტს ვუსმენ ხოლმე.

**- ფრანგული რეპი ამდენად ინფორმაციულია?**

- რეპი სწორედ ამისთვის არსებობს. როცა ასეთ მუსიკას ქმნი, ე.ი. გინდა ყველას მწვავედ დაანახო ესა თუ ის პრობლემა.

**გიორგი თვალია**




ერიკ აბიდალი ბარსელონური ყოფით კმაყოფილია




კაკას შეუძლია, წარმატება ახლავე იზეიმოს

გამოკითხვა

# კაკა და ათი საუკეთესო

## იტალიელმა მიმომხილველებმა ფრანს ფუტბოლის რედაქციაში შეი□ყიტეს, კაკას კი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ ბერად შედგომა განუზრახავს

„ფრანს ფუტბოლი“ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს 2 დეკემბერს დაასახელებს. მიმომხილველებისათვის ყველაფერი დიდი ხანია, ნათელია. გამარჯვებას ერთხმად უწინასწარმეტყველებენ **კაკას**. იტალიურმა სააგენტოებმა ათი საუკეთესო ფეხბურთელიც ვინაობაც კი შეიტყვეს. ათეულის ოთხი წევრი იტალიის სერია A-ში თამაშობს, სამ-სამი წარმომადგენელი ჰყავს ინგლისის პრემიერლიგასა და ესპანეთის პრიმერა დივიზიონს. სანამ მათ სიას შემოგთავაზებდეთ, ერთ ინფორმაციას მოგაწვდით, რომელიც ჟურნალმა GQ-მ გამოაქვეყნა. კარიერის დასრულების შემდეგ კაკა ბერად აღკვეცას აპირებსო, ვკითხულობთ პოპულარულ გამოცემაში. GQ-მ მილანელი ვარსკვლავის ინტერვიუ გამოაქვეყნა. ფეხბურთელი ამბობს: *„თეოლოგიის საფუძვლებისა და ბიბლიის ღრმად შესწავლა მინდა. ეს ადვილი არ იქნება. არც ისაა ადვილი, თანამედროვე საზოგადოების ყურადღება მივმართოთ იმ ფასეულობებისაკენ, რომელიც ორი ათასი წლის წინ დაინერგა. სასულიერო მოღვაწის როლს ამაში ვხედავ. მან თითოეულ მოქალაქეს უნდა ჩააგონოს ბიბლიის შესწავლის მნიშვნელობა.“*

ახლა კი ევროპის ათი საუკეთესო ფეხბურთელის სია. შეგახსენებთ, ეს არ გახლავთ „ფრანს ფუტბოლის“ ოფიციალური სია. ფრანგული ჟურნალი მას მხოლოდ 2 დეკემბრის შემდეგ გამოაქვეყნებს. იტალიელმა ჟურნალისტებმა კი საკუთარი არხებით აი, ასეთი სურათი დახატეს:

**1. კაკა**
(მილანი, ბრაზილია)
**2. კრისტიანო რონალდო**
(მანჩესტერ იუნ., პორტუგალია)
**3. ლიონელ მესი**
(ბარსელონა, არგენტინა)
**4. დიდიე დროგბა**
(ჩელსი, კოტ დივუარი)
**5. ანდრეა პირლო**
(მილანი, იტალია)
**6. რუუდ ვან ნისტელროი**
(რეალი, ჰოლანდია)
**7. ზლატან იბრაჰიმოვიჩი**
(ინტერი, შვედეთი)
**8. ფრანსესკ ფაბრეგასი**
(არსენალი, ესპანეთი)
**9. რობინიო**
(რეალი, ბრაზილია)
**10. ფრანჩესკო ტოტი**
(რომა, იტალია)

მუნდიალი

# ესპანეთი 2018? შეუძლებელია

## როგორც ჩანს, ბრაზილიის შემდეგ მსოფლიოს პირველობას ინგლისი უმასპინძლებს...

**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაცია უარყოფს ინფორმაციას იმის თაობაზე, თითქოს 2018 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისათვის აპირებდეს ბრძოლას. ევროპის წამყვანმა მედიასაშუალებებმა ეს ცნობა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, **ჟილბერტო მადაილის** განცხადების საფუძველზე გაავრცელეს. მან ესპანური გამოცემა ასისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, მუნდიალის ერთობლივად მასპინძლობის იდეა ესპანელ კოლეგებთან განვიხილე და მათ სრული მხარდაჭერა აღმითქვესო. ესპანეთის ფედერაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **ხორხე კარეტერომ** მიმომხილველებს მისი ორგანიზაციის პოზიცია გააცნო: *„უმცირესი შანსიც კი არ არსებობს იმისა, რომ ესპანეთმა 2018 წლის მუნდიალს უმასპინძლოს. არ ჩატარებულა კვლევა, არ შეგდენილა პროექტი და ამ მიმართულებით ერთი ნაბიჯიც კი არ გადადგმულა. ეს ერთი ადამიანის კერძო მოსაზრება გახლავთ. მუნდიალის საკითხი ოფიციალურ დონეზე არსად განხილულა.“*

მოგეხსენებათ, ფიფამ გადაწყვიტა, გააუქმოს მის მიერვე შემოღებული კონტინენტების როტაციის პოლიტიკა და მსოფლიოს ჩემპიონატი იმ ქვეყანაში ჩაატაროს, რომელიც ტურნირისათვის ყველაზე უკეთ იქნება მომზადებული. როტაცია რომ ძალაში დარჩენილიყო, 2018 წლის მუნდიალი აზიაში გაემგზავრებოდა. მიზეზი მარტივია: 2006 წლის ტურნირს გერმანიამ უმასპინძლა, 2010 წელს ის სამხრეთ აფრიკაში ჩატარდება, ხოლო 2014 წლის მასპინძელია ბრაზილია. ახლა 2018 წელს ფეხბურთს ევროპაში ითამაშებენ. ევროპაში კი ფავორიტად ინგლისი მიიჩნევა. ფეხბურთის სამშობლომ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატს მხოლოდ ერთხელ, შორეულ 1966 წელს უმასპინძლა. ამ ქვეყანაში უკანასკნელი დიდი საფეხბურთო ტურნირი 1996 წელს ჩატარდა. 11 წლის წინ ინგლისელებმა ევროპის პირველობას გაუკეთეს ორგანიზება.

### შოლი: საიდუმლო ქორწილი და სრული იდილია

**მეჰმეთ შოლი** „ბაიერნისა“ და გერმანული ფეხბურთის ქომაგებს 15 აგვისტოს გამოეთხოვა, კარიერა დაასრულა და ფეხბურთიდან გაუჩინარდა. რეკორდმაისტერის გულშემატკივართა ერთ-ერთმა უსაყვარლესმა ფეხბურთელმა მაშინ თქვა, ამიერიდან მშვიდად ცხოვრება მინდაო. თქვა და შეასრულა კიდეც: მას მერე შოლი არსად აღარ გამოჩენილა!

მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ ოფიციალურად არ განუცხადებია, „ბილდმა“ მაინც შეიტყო, რომ მეჰმეთმა მეორედ იქორწინა - 16 ოქტომბერს შოლი 37 წლის გახდა და იუბილედან რამდენიმე დღის შემდეგ დაქორწინდა. ქორწილი ძალიან ვიწრო წრეში, მხოლოდ ახლო მეგობრებისა და ოჯახის წევრების გარემოცვაში გადაიხადა. მისი მეუღლე კი 28 წლის **ჯესიკაა**, რომელიც მეჰმეთისგან სულ მალე ბავშვს ელოდება. ეს შოლისთვის მეორე შვილი იქნება. პირველი, 11 წლის **ლუკასი** პირველი ცოლისგან (სუზანე, 1993-1997) ჰყავს.

### სანიოლი: მანჩესტერი თუ მარსელი?

„მარსელი“ ვილი სანიოლს შეეხმიანა. „ბაიერნის“ მცველმა სამსახურის შეცვლა გადაწყვიტა. მიუნხენური კლუბის ხელმძღვანელობამ განაცადა, რომ თუ ფეხბურთელს წასვლა სურს, არ დააკავებს. „ბილდის“ ცნობით, სანიოლით „მანჩესტერ იუნაიტედიც“ დაინტერესდა. მოსალოდნელ გარიგებათა დეტალები უცნობია. „მარსელთან“ დაკავშირებით იმასაც გეტყვით, რომ ფრანგებმა „რეალის“ თავდამსხმელ **ხავიერ სავიოლას** დაადგეს თვალი. სავიოლა საფრანგეთის პირველობას კარგად იცნობს. მას ერთი სეზონი იჯარით „მონაკოში“ აქვს გატარებული. გასულ ზაფხულს სავიოლა „ბარსელონიდან“ „რეალში“ გადავიდა, მაგრამ დროის უმეტეს ნაწილს თადარიგში ატარებს. იანვრის ტარსფერებისას მისი იჯარით გაშვება სავსებით შესაძლებელია. გამორიცხული არაა გაყიდვაც. „რეალს“ მარსელელი სამირ ნასრის შეძენა სურს. სავიოლა შეიძლება ამ გარიგების ნაწილი გახდეს. მარსელელები ალტერნატიულ ვარიანტად „ბოკა ხუნიორსის“ ფორვარდ **როდრიგო პალასიოს** ტრანსფერს განიხილავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური

# გერმანია ამაყობს ვერდერით

## ნუთუ მაინცდამაინც რეალს უნდა ეთამაშებოდეს გერმანული კლუბი, ასეთი სრულყოფილი ფეხბურთი რომ ითამაშოს?

**A ჯგუფი**

| ლივერპული-პორტუ | 4:1 |
|---|---|

**ლივერპული:** რეინა, ფინენი, ჰიიპია, კარაგერი, არბელოა, ბენაიუნი (71. კრაუჩი), ჯერარდი, მასკერანო, ბაბელი (85. კუიტი), ვორონინი (63. კიუელი), ფერნანდო ტორესი.

**პორტუ:** ელტონი, ბოსინგვა, სტეპანოვი, ალვეში, ჩეხი, პაულო ასუნსაო (81. ელდერ პოშტიგა), მარიანო გონსალესი (77. სექთიუი), ლუჩო გონსალესი, კაზმიერჩაკი (65. მეირელეში), კვარეშმა, ლისანდრო.

**გოლები:** 1:0 ფერნანდო ტორესი (19), 1:1 ლისანდრო (33), 2:1 ფერნანდო ტორესი (78), 3:1 ჯერარდი (84-პენ), 4:1 კრაუჩი (87)

**მაყურებელი:** 42 255

**არბიტრი:** რობერტო როსეტი (იტალია)

**ფერნანდო ტორესმა** და კომპანიამ „ლივერპული" მკვდრეთით აღადგინეს. ამ გამარჯვების წყალობით, „წითელმა ეშმაკებმა" ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპზე გასვლის რეალური შანსი მოიპოვეს. შეხვედრის გმირად ფერნანდო ტორესი შეგვიძლია მივიჩნიოთ. ესპანელმა ფორვარდმა დუბლი შეასრულა. **ლისანდრო ლოპესმა** 33-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა და ინგლისელები სერიოზულად ანერვიულა. მასპინძლები მხოლოდ 78-ე წუთზე დაწინაურდნენ. გოლი ისევ და ისევ ტორესის ანგარიშზე ჩაიწერა. ამის შემდეგ კი „პორტუ" დაიქსაქსა და კაპიტულაცია გამოაცხადა. შედეგმაც არ დააყოვნა. 83-ე წუთზე **სტივენ ჯერარდმა** პენალტი გაიტანა. საფინალო სასტვენამდე 3 წუთით ადრე კი **პიტერ კრაუჩმა** გამოიჩინა თავი. შემთხვევით არ გვიხსენებია, რომ ინგლისელმა გულშემატკივრებმა ძალიან ბევრი ინერვიულეს. ლოპესის მიერ წონასწორობის აღდგენის შემდეგ „ლივერპული" ჯგუფში ჩარჩენის რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. საგულისხმოა, რომ შეხვედრის ბრიტანელმა კომენტატორებმა რეპორტაჟის მსვლელობისას **რაფა ბენიტესის** შესაძლო გათავისუფლებაზე დაიწყეს საუბარი. ისედაც ცნობილია, რომ „წითელი ეშმაკების" ესპანელ თავკაც **ტომ ჰიკსსა** და **ჯორჯ ჟილეტთან** აქამდეც დაძაბული ურთიერთობა ქონდა. ამის მიზეზად სატრანსფერო პოლიტიკასთან დაკავშირებული განსხვავებული მოსაზრებები სახელდება. ობიექტურად თუ მივსჯელებთ, „ენფილდზე" მორიგი ქულების დაკარგვა ბენიტესს, მართლაც, სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა, თუმცა მისმა ბიჭებმა უკანასკნელი ძალები მოიკრიბეს და პორტუგალიური გუნდი დიდი ანგარიშით დაამარცხეს.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე რაფა ბენიტესი თავდაპირველად სწორედ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას შეეხო: *„"ლივერპულის" მფლობელებთან არანაირი პირადული პრობლემა არ გამაჩნია. ჩვენ მხოლოდ პროფესიულ საკითხებზე ვკამათობთ. მათ პოლიტიკას არ ვეთანხმები, თუმცა საკუთარი დამოკიდებულება აგრესიულად არასოდეს გამომიხატავს. მიმაჩნია, რომ ნათელი მომავლის უზრუნველსაყოფად უფრო მეტი და გაბედული მუშაობაა საჭირო. კეთილი, ამ ამბავს შევეშვათ, და დღევანდელი მატჩის პერიპეტიებზე ვისაუბროთ. საბოლოოდ დიდი ანგარიშით გავიმარჯვეთ, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ შეხვედრა იოლი იყო. მეორე გოლი მხოლოდ 78-ე წუთზე გავიტანეთ. ამით ყველაფერია ნათქვამი. „პორტუმ" უდიდესი წინააღმდეგობა გაგვიწია. ბედნიერი ვარ, რომ ბიჭებმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოამჟღავნეს და შეხვედრის დასკვნითი 10-წუთიანი მონაკვეთი უმაღლეს დონეზე ჩაატარეს. გულშემატკივრებს უდიდეს მადლობას მოვახსენებ. დღეს ისინი შეუდარებლები იყვნენ. ჩემმა თანამემამულე ფერნანდო ტორესმა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი მეორე გოლი. „ელ ნინიო" საჯარიმოში ტანკივით შეიჭრა. ახლოსაც არავინ გაიკარა და მეკარეს შანსი არ დაუტოვა. სხვათაშორის, მას ჰარი კიუელმა დიდი დახმარება გაუწია. ვფიქრობ, გარდატეხა სწორედ ამ ეპიზოდის შემდეგ შევიტანეთ. ბიჭების მისამართით მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. სასიხარულოა, რომ ფლეი ოფში მოხვედრის შანსი გავიუმჯობესეთ, თუმცა განაღდებული ჯერ არაფერია. ყველაფერი ბოლო ტურის მატჩის შემდეგ გაირკვევა."*

ბენიტესი არ ტყუის. იმისათვის, რომ „ლივერპულმა" ფლეი ოფში თამაში შეძლოს, ჯგუფური ეტაპის დასკვნით ტურში „ველოდრომზე" „მარსელს" უნდა მოუგოს. დაგვეთანხმებით, „წითელი ეშმაკები" ურთულესი ამოცანის წინაშე დგანან.



ლივერპული-პორტუ. ფერნანდო ტორესმა ამ მატჩში დუბლი მიითვალა

| ბეშიქთაში-მარსელი | 2:1 |
|---|---|

**ბეშიქთაში:** რუშთუ, ალი, ბაქი, იბრაჰიმ თორამანი, იბრაჰიმ უზულმეზი, სერდარი (76. ნობრე), ე. სისე (20. ქორაი), რიკარდინიო (67. იბრაჰიმ აქინი), ტელო, დელგადო, ბობო.

**მარსელი:** მანდანდა, ზუბარი (46. ტაივო), ჟივე, როდრიგესი, ბონარი, ნასრი (26. ჯ. სისე), კანა, ვალბუენა, შეირუ, ზენდენი (54. აიევი), ნიანგი.

**გოლები:** 1:0 ტელო (27), 1:1 ტაივო (65), 2:1 ბობო (88)

**მაყურებელი:** 32 000

**არბიტრი:** ლუის მ. კანტალეხო (ესპანეთი)

A ჯგუფში ფრიად საინტერესო სიტუაციაა შექმნილი. შესარჩევი სტადიის დაძლევის შანსი ჯერ-ჯერობით არავის დაუკარგავს, მათ შორის „ბეშიქთაშსაც", რომელმაც მშობლიურ სტადიონზე დაუჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. თურქები მთელი თამაშის განმავლობაში აქტიურობდნენ, მაგრამ გულხელდაკრეფილი „მარსელიც" არ ყოფილა. ერთი სიტყვით, მატჩი ძალიან დაძაბული და სანახაობრივი გამოდგა. ანგარიში **ტელიომ** გახსნა. ჩილელმა ლეგიონერმა ეფექტური საჯარიმოთი იხეირა. ფრანგებმა წონასწორობა მხოლოდ მეორე ტაიმში აღადგინეს. 65-ე წუთზე **ტაივომ** შორიეული უძლიერესი დარტყმით შეაგდო. „ბეშიქთაში" გამოუვალ სიტუაციაში ჩავარდა, მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე სულ რაღაც 2 წუთით ადრე ბრაზილიელმა **ბობომ** თურქებს ჰაერივით საჭირო სამი ქულა მოუტანა.

მართლაც საამაყო გამარჯვების მიუხედავად, მასპინძელთა დამრიგებელი **ერთუგრულ საგლამი** ძალიან შეშფოთებული იყო: *„რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ, რომ მოვიგეთ და ფლეი ოფში მოხვედრის შანსი მოვიპოვეთ, მაგრამ ახლა პორტუგალიაში გასამართი ბოლო ტურის ორთაბრძოლა მაფიქრებს. წინ ურთულესი მატჩი გველის. სამწუხაროდ, გასულ ტურებში ბევრი ქულა დავკარგეთ და საქმე გავირთულეთ. „ენფილდზე" ჩატარებული შეხვედრის გახსენებაც კი აღარ მსურს. „ბეშიქთაშმა" „ლივერპულთან" კატასტროფული მარცხი იწვნია. წარსული უნდა დავივიწყოთ და მთელი ენერგია „პორტუსთან" მატჩს მოვახმაროთ. მრავალი სირთულის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ „პორტუს" მისსავე მოედანზე დამარცხების უნარი შეგვწევს. გულშემატკივრებს ვპირდები, მიზნის მისაღწევად ძალ-ღონეს არ დავზოგავთ".*

„ბეშიქთაშის" მწვრთნელის კარგად გვესმის. მართლაც, ძნელია „ენფილდზე" ჩატარებული იმ თამაშის გახსენება, რომელიც „ლივერპულმა" გამანადგურებელი ანგარიშით, 8:0 მოიგო. თურქებს ახლა ისღა დარჩენიათ, ალაჰის დახმარების იმედი იქონიონ და „პორტუს" დამარცხება შეძლონ, რაც უდიდესი სასწაული იქნება.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 5 | 2 | 2 | 1 | 6-7 | 8 |
| 2. ლივერპული | 5 | 2 | 1 | 2 | 14-5 | 7 |
| 3. მარსელი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-5 | 7 |
| 4. ბეშიქთაში | 5 | 2 | 0 | 3 | 4-13 | 6 |

**B ჯგუფი**

| ვალენსია-შალკე | 0:0 |
|---|---|

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი, ივან ელგერა, მარჩენა, კანეირა (43. ალბიოლი), ვისენტე (72. სილვა), ალბელდა, ედუ, ხოაკინი, ვილია, მორიენტესი (35. ფერნანდესი).

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ერნსტი, ჯოუნსი (71. ბაირამოვიჩი), რაკიტიჩი (66. გროსმიულერი), იოზილი, ჰალილ ალთინთოფი (80. ასამოა), კურანი.

**გაძევება:** ალბელდა (32. ვალენსია)

**მაყურებელი:** 48 000

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

„რუსენბორგთან" ორივე თამაშის წაგების შემდეგ ცხადი იყო, რომ „ვალენსია" წელს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალს მიღმა დარჩებოდა. „ღამურებმა" ფლეი ოფში თამაში ვერც გუშინწინდელი თამაშით დაიმსახურეს და საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ **რონალდ კუმანის** გუნდი ალბათ მეოთხე ადგილზე გავა და უეფას თასზეც კი ვერ გადაინაცვლებს. „ვალენსიამ" პირველ ტურში „შალკეს" გელზენკირხენში მოუგო (1:0) და მას მერე მოგების გარეშეა. ჯერ კიდევ იმ თამაშში გამოჩნდა, რომ "ღამურებს" პრობლემები ჰქონდათ - მართალია, მოიგეს, მაგრამ თამაშის მიხედვით გამარჯვებას მაშინაც „შალკე" უფრო იმსახურებდა, რადგან **მირკო სლომკას** ბიჭებმა მაშინაც, ისევე, როგორც გუშინწინ, ბევრი მომენტი შექმნეს, „ვალენსიამ" კი ერთხელ დაარტყა კარში და გაიტანა.

„შალკემ" თამაშით ამჯერადაც აჯობა მეტოქეს და აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 32-ე წუთიდან მასპინძლები კაცნაკლულები იყვნენ. და **ლევან კობიაშვილის** გუნდს თავისუფლად შეეძლო, „მესტალიიდან" სამი ქულა წაეღო და მერვედფინალისკენ უდიდესი ნაბიჯი გადაედგა, რადგან გამარჯვების შემთხვევაში, „შალკეს" ბოლო ტურში, „რუსენბორგთან" ფრეც დააკმაყოფილებდა, ახლა კი, სლომკას გუნდს ნორვეგიულ კლუბთან ფინალი ელოდება და მხოლოდ მოგება დასჭირდება იმისთვის, რომ პირველად გავიდეს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში. ის, რომ „შალკემ" მიუხედავად რამდენიმე რეალური მომენტისა, მაინც ვერ მოიგო, მეტწილად **კევინ კურანის** ბრალიცაა, რომელიც ერთობ დუნედ გამოიყურებოდა. არადა, კურანიმ ბუნდესლიგის ბოლო მატჩში „ჰანოვერს" დუბლი შეუსრულა და თითქოს კარგ ფორმაში იყო.

„ვალენსიამ" საშინაო მატჩის კვალობაზე ძალიან სუსტი გუნდის შთაბეჭდილება დატოვა და უნდა აღინიშნოს, რომ კუმანს დიდი სამუშაო აქვს. თავდასხმა უნიათო იყო, ნახევარდაცვა უიდეო, მაგრამ გერმანელებმა ეს ვერ გამოიყენეს. პირველი რეალური საგოლე მომენტი 29-ე წუთზე (!) შეიქმნა: **რაკიტიჩმა** კურანი მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი საჯარიმოში **ერნსტს** უპასა, რომლის დარტყმაც **კანისარესმა** მოიგერია. მერე კი იყო 32-ე წუთი და მატჩის ყველაზე ნეგატიური მომენტი: ესპანელთა კაპიტანმა **ალბელდამ** მოედნის ცენტრში **რაფინია** მოცელა და ბელგიელ მსაჯ **დე ბლეეკერსაც** ბევრი აღარ უყოყმანია, ალბელდას წითელი ბარათი აუფრიალა. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ვალენსიელებმა კაცნაკლულობის ჟამს შექმნეს ყველაზე სახიფათო მომენტი: პირველი ტაიმის მიწურულს **მარჩენას** დარტყმა გელზენკირხენელთა მეკარე **ნოიერმა** შესანიშნავ ნახტომში მოიგერია. მეორე ტაიმში „შალკე" უფრო აქტიურობდა. 52-ე წუთზე **ჰალილ ალთინთოფი** კანისარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მოქმედება დაუგვიანდა და მომენტის განიმუხტა. 70-ე წუთიდან „ვალენსიამ" ბოლო ძალები მოიკრიბა და მედგრად შეუტია, მაგრამ სანადელს მაინც ვერ მიაღწია.

**რონალდ კუმანი:** *„მიუხედავად იმისა, რომ კაცნაკლულები ვიყავით, მეორე ტაიმში თამაში გამოვასწორეთ და მოგებაც შეგვეძლო. სამწუხაროდ, გოლის გატანა ვერ შევძელით. ბევრი სამუშაო გვაქვს."*

**მირკო სლომკა:** *„მართალია, ქომაგებმა გოლი ვერ იხილეს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ძალიან თვალსასეირო და საინტერესო თამაში გამოვიდა. ცალი თვალი ტრონდჰეიმისკენ გვეჭირა და მიხარია, რომ „ჩელსიმ" ნორვეგიაში მოიგო. ჩვენი მიზანი სწორედ ის იყო, რომ ბოლო ტურში „რუსენბორგთან" ფინალი გვქონოდა. მიზანს მივაღწიეთ და ახლა ყველაფერი მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. ასეთი შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება."*



ვალენსია-შალკე. მიგელი იოზილის შეჩერებას ცდილობს

# ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური

## რუსენბორგი-ჩელსი 0:4

**რუსენბორგი:** ჰირშფელდტი, სტოორი, კვარმე, რიზეტი, დორსინი (86. ბასმა), ტეტეი, სკილბრედი, ტრაორე (56. სტრანდი), საპარა, ივერსენი, კონე (63. კონანი).

**ჩელსი:** კუდიჩინი, ბელეტი, ტერი, ალექსი, ე. კოული, ესიენი, მაკელელე, ლემპარდი (76. პისარო), რაიტ-ფილიპსი (69. კალუ), ჯ. კოული, დროგბა (68. შევჩენკო).

**გოლები:** 0:1 დროგბა (8), 0:2 დროგბა (20), 0:3 ალექსი (40), 0:4 ჯ. კოული (73)

**მაყურებელი:** 20 000

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენსა (პორტუგალია)

სანამ „რუსენბორგს“ ჩემპიონთა ლიგის მატჩებში აუტსაიდერის სტატუსი ჰქონდა, ამ გუნდმა ციდან ვარსკვლავები ნყვიტა და ჯერ ლონდონიდან წაიღო ქულა, მერე კი „ვალენსიას“ მოუგო ორივე თამაში. ახლა კი, როდესაც ნორვეგიელები უკვე ომახიანად ამბობდნენ, მერვედფინალში გასვლა შეგვიძლიაო, „ჩელსისგან“ ცივი შხაპი მიიღეს. მიუხედავად ამისა, ტრონდჰეიმული კლუბი ფლეი ოფში გასვლის შანსს ინარჩუნებს - „რუსენბორგს“ ამისათვის ბოლო ტურში, გელზენკირხენში მინიმუმ ფრის მიღწევა სჭირდება. „ჩელსი“ კი უკვე მერვედფინალშია, თანაც პირველი ადგილის განაღდებული აქვს.

„რუსენბორგის“ თავკაცმა **ტრონდ ჰენრიკსენმა** მოედანზე იგივე თერთმეტეული გამოიყვანა, რომლითაც წინა ტურში „ვალენსიას“ 2:0 მოუგო. ლონდონელთა დამრიგებელმა **ავრაამ გრანტმა** კი ძირითადი შემადგენლობა, „დერბისთან“ მოგებული მატჩისგან განსხვავებით ხუთ პოზიციაზე შეცვალა: **კალუს, შევჩენკოს, სიდუელის, ობი მიკელისა** და **ბენ ჰაიმის** ნაცვლად მინდორზე **ალექსი, მაკელელე, ესიენი, დროგბა** და **ჯო კოული** ვიხილეთ. ლონდონელებმა თამაში უდიდესი მობილზებით დაიწყეს და **დიდიე დროგბას** კლასის დამსახურებაა ის, რომ მე-20 წუთისთვის ანგარიში უკვე 2:0 იყო. მე-2 და მე-5 წუთებზე **ჰირშფელდმა** კოტ დ'ივუარელის ორი დარტყმა გააუვნებელყო, მერე კი **იესიენსაც** აულო (6), მაგრამ მე-7 წუთზე მაინც გაუშვა გოლი: **ჯო კოულის** ძლიერი დარტყმა პირდაპირ დროგბასკენ მოიგერია, რომელმაც 7 მეტრიდან ბურთი ხარიხის ქვეშ ჩააჭედა. მე-13 წუთზე **კუდიჩინის** მზადყოფნა **საპარამ** შეამოწმა, მერე კი ისევ „ჩელსიმ“ შეუტია: მე-16 წუთზე **ესიენს** შეეძლო ანგარიშის გაზრდა, რასაც დროგბას მორიგი უშედეგო დარტყმა მოჰყვა, მე-20 წუთზე კი, დროგბამ დუბლი მაინც გაახერხა: **რაიტ-ფილიპსისა** და ესიენის კომბინაცია კოტ დ'ივუარელმა ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. 29-ე წუთზე **ლემპარდი**, 35-ეზე ისევ დროგბა - „ჩელსი“ დაფრინავდა. მე-40 წუთზე კი ალექსმა მესამედ აილო ჰირშფელდის კარი.

ლონდონელებს უპირატესობა არც მეორე ტაიმში დაუთმიათ. მართალია, გრანტის სამწყსომ ოდნავ უკან დაიხია და შედარებით დამშვიდდა, მაგრამ “ჩელსი“ კვლავინდებურად გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე „რუსენბორგი“. 57-ე წუთზე ესიენს შეეძლო გატანა და 73-ე წუთზე, ჯო კოულის გოლიც სწორედ ესიენისა და ჰირშფელდის შეცდომის დამსახურება გახლდათ: მეკარემ ლონდონელის დარტყმა კვლავ უხეიროდ მოიგერია, კოულმა კი ხეირიანად დაამატა და ანგარიში 0:4 გახადა. ერთი შეცდომა კუდიჩინიმაც დაუშვა, მაგრამ ტრონდჰეიმელებმა ის ვერ გამოიყენეს. ამრიგად, „რუსენბორგს“ გელზენკირხენში ფინალი ელოდება, რომელიც გაარკვევს, არის თუ არა ნორვეგიული კლუბი მერვედფინალში გასვლის ღირსი.

**ტრონდ ჰენრიკსენი:** *„წავაგეთ, რადგან მეტოქე ჩვენზე გაცილებით ძლიერია. არა უშავს, ჩვენ ისევ მეორე ადგილზე ვართ და თუ მერვედფინალში გასვლა გვინდა და რაც მთავარია, თუ ამას ვიმსახურებთ, მაშინ გელზენკირხენში ფრეს უნდა მივაღწიოთ.“*

**ავრაამ გრანტი:** *„ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ მერვედფინალის საგზური ვადაზე ერთი თამაშით ადრე მოვიპოვეთ. „რუსენბორგს“ ბოლო მატჩში წარმატებებს ვუსურვებ.“*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-2 | 11 |
| 2. რუსენბორგი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-7 | 7 |
| 3. შალკე | 5 | 1 | 2 | 2 | 2-3 | 5 |
| 4. ვალენსია | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |

## C ჯგუფი

## ვერდერი-რეალი 3:2

**ვერდერი:** ვანდერი, ფრიტცი (6. ტოშიჩი), მერტეზაკერი, ნალდო, პასანენი, ვრანიეში, დ. იენსენი, ბაუმანი, ჰანტი (76. ჰარნიკი), როზენბერგი, სანოგო (87. კარლოს ალბერტო).

**რეალი:** კასილიასი, რამოსი, მეტცელდერი, პეპე, მარსელო, რობინიო (75. რობენი), დიარა, გაგო (61. იგუაინი), გუტი, რაული, ვან ნისტელროი.

**გოლები:** 1:0 როზენბერგი (5), 1:1 რობინიო (14), 2:1 სანოგო (40), 3:1 ჰანტი (58), 3:2 ვან ნისტელროი (71)

**მაყურებელი:** 36 350

**არბიტრი:** პიტერ ვინკი (ჰოლანდია)

ოთხშაბათის შემდეგ მთელი გერმანია ბრემენის „ვერდერით“ ამაყობს, გუნდით, რომელმაც მადრიდის „რეალი“ დაამარცხა და ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნა. რაც ყველაზე მთავარია, ბრემენელებს ექვსი წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ, მათ შორის **ფრინგსი, დიეგო, ბოროვსკი** და მეკარე **ტიმ ვიზე**. ესენი ხომ სწორედ ის მოთამაშეები არიან, ვინც „ვერდერში“ ამინდს ქმნის. ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ მატჩის მე-6 წუთზე დაშავდა კიდევ ერთი ლიდერი **კლემენს ფრიტცი** და თამამად შეიძლება ითქვას, რომ „მუსიკოსებმა“ ფაქტობრივად მეორე შემადგენლობით დაჯაბნეს მადრიდული გრანდი. **თომას შაafის** შეგირდებმა უბადლო ფეხბურთი წარმოადგინეს და ლოგიკურად ჩნდება კითხვა: ნუთუ მაინცა და მაინც „რეალს“ უნდა ეთამაშებოდეს გერმანული კლუბი, ასეთი სრულყოფილი ფეხბურთი რომ ითამაშოს? მაშინ რა დაემართა იმავე „ვერდერს“ შინ „ოლიმპიაკოსთან“? ბოლო ტურში ბრემენელები სწორედ „ოლიმპიაკოსს“ ესტუმრებიან და გამარჯვების შემთხვევაში ფლეი ოფში გავლენ, მაგრამ საბერძნეთში მოგება ძალიან ძნელია - იქ ვერც „რეალმა“ მოიპოვა სამი ქულა და ვერც „ლაციომ“.

თამამად შეგვიძლია ვიმეოროთ, რომ „რეალისთვის“ გერმანია სასაკლაოა - სამეფო გუნდმა გერმანიაში სულ 21 თამაში ჩაატარა, 14-ჯერ დამარცხდა, 6-ჯერ ფრეს მიაღია და მხოლოდ ერთხელ მოიგო (2000 წელს, ლევერკუზენში 3:2). ამრიგად, შაafმა **ბერნდ შუსტერს** პირველი ჩემპიონთალიგური მარცხი აგემა. უკვე მატჩის მე-4 წუთზე **მარკუს როზენბერგმა** „რეალი“ შოკში ჩააგდო: ფრიტცის ჩაწოდება, **სანოგომ** ბურთს მხრით როზენბერგისკენ შეუცვალა მიმართულება, შვედმა ბურთს მარცხენა ფეხი კარგად ვერ მოარტყა, მაგრამ როგორც მოარტყა, ეს საკმარისი იყო, რომ ანგარიში გახსნილიყო - 1:0.

ცოტა ხანში მადრიდელებმა ბრემენელებს გოლითვე უპასუხეს: **აარონ ჰანტმა** ბურთი უაზროდ დაკარგა, **რობინიო** კი ბრემენელთა კარისკენ დაიძრა. მისთვის ხელის შეშლას **მერტეზაკერი** ცდილობდა, მაგრამ აყლაყუდა მცველმა რეაქცია დააგვიანა, ამასობაში რობინიომ დაჰკრა და ანგარიში გაათანაბრა. მაგრამ „მუსიკოსები“ არ მოეშვნენ, შეტევებს უმატეს და საწადელს მე-40 წუთზე მიაღწიეს: როზენბერგმა 60 მეტრიანი მეგასპურტი წამოიწყო, **გახო** ახლოს არ გაიკარა და გზაში **მეტცელდერი** ბავშვივით გააცურა, რის შემდეგაც უზუსტესად ჩაუწოდა სანოგოს, რომელმაც ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი კასილიასის კარში - „სანოგოლს“ ულამაზესი გოლი გამოუვიდა! ეს მისი მესამე გოლი გახლდათ ჩემპიონთა ლიგაში.

58-ე წუთზე **დიეგოს** შემცვლელმა დანიელ იენსენმა ჰანტს შესანიშნავი პასი მისცა და ეს უკანასკნელი **კასილიასს** პირისპირ შეატოვა, ჰანტმა კი მოხდენილად, ძალიან რბილად შეახო ბურთს ფეხი და ის „რეალის“ კარის ბადეში გაახვია - 3:1. ბრემენელებს ეგონათ, რომ ყველაფერი დამთავრდა და დამშვიდნენ, მაგრამ მალე **რუუდ ვან ნისტელროიმ** “სამეფო გუნდი“ თამაშში დააბრუნა - 71-ე წუთზე მან კარიდან უაზროდ გამოვარდნილ **ფანდერს** ბურთი თავსზემოთ გადააცარა - 3:2. დარჩენილ დროში „მუსიკოსებმა“ ბევრი ინერვიულეს, მაგრამ „რეალს“ მეტი აღარაფერი გააბედინეს...

**თომას შაafი:** *„ჩვენ ყველას გვჯეროდა, რომ ამ თამაშს მოვიგებდით - ამიტომაც გავიმარჯვეთ! მართლაც შესანიშნავი საღამო გამოვიდა! ვფიქრობ, ყველამ დაინახა, რაც შეუძლია „ვერდერს!“*

**ბერნდ შუსტერი:** *„ვერდერმა“ გერმანულ სტილში და გერმანული მენტალიტეტით ითამაშა. სამწუხაროდ, ჩვენც ბევრი შეცდომა დავუშვით და მეტოქეს საქმე გავუადვილეთ.“*

ლაციო-ოლიმპიაკოსი 1:2

**ლაციო:** ბალოტა, ბეჰრამი (77. სკალონი), სტენდარდო, სივილია, კოლაროვი (63. დე სილვესტრი), მუდინგაი, კრისტიან ლედესმა, მუტარელი (71. მეგნი), მაური, პანდევი, როკი.

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, ტოროსიდისი, ანცასი, ჟევლაკოვი, პანტოსი, კ. რაულ ლედესმა, სტოლტიდისი, პაცაცოღლუ (75. მენდრინოსი), გალეტი, ჯორჯევიჩი (90. მიტროღლუ), ლუა ლუა (56. კოვაჩევიჩი).

**გოლები:** 1:0 პანდევი (30), 1:1 გალეტი (35), 1:2 კოვაჩევიჩი (64)

**მაყურებელი:** 50 000

**არბიტრი:** ჰოვარდ უები (ინგლისი)

„ოლიმპიაკოსმა“ „ვერდერს“ სტუმრად მოუგო, „რეალს“ მადრიდში კაცნაკლული ვაჟკაცურად ებრძოდა, შინიდან კი ოდენ ქულა გაატანა, ახლა კი, „ლაციოს“ რომში მოუგო და ამრიგად, ბერძნულ კლუბს მერვედფინალში გასვლის იდეალური შანსი აქვს. უნდა ითქვას, რომ ბერძნებს „ოლიმპიკოზე“ გაუმართლათ, რადგან რომაული კლუბი მეორე ტაიმში კონტრშეტევაზე გამოიჭირეს, მაგრამ ეს ამ გუნდის წარმატებას ვერ აკნინებს - „ოლიმპიაკოსს“ ახლა ერთი ნაბიჯიღა დარჩა: შინ „ვერდერთან“ ფრეც ეყოფა იმისთვის, რომ ფლეი ოფში ითამაშოს.

თამაში ორივე გუნდმა ძალიან ფრთხილად დაიწყო - ნახევარი საათის განმავლობაში ბრძოლა მეტწილად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა, რადგან ორივე გუნდის მცველები კარგად იდგნენ და თავდამსხმელებს არაფერს აბედინებდნენ. მეტ-ნაკლებად სახიფათო მომენტები კი მხოლოდ სტანდარტული მდგომარეობებიდან იქმნებოდა: მე-8 წუთზე **ნიკოპოლიდისმა კოლაროვის** ჯარიმა მოიგერია, მე-15-ეზე კი **პაცაცოგლუს** საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი **ჯორჯევიჩს** მოხვდა და მცირე მანძილით აცსდა **ბალოტას** კარს.

30-ე წუთზე „ლაციო“ დაწინაურდა: **მაურიმ როკი** იპოვა, რომელმაც ნიკოპოლიდისი გააცურა და **პანდევს** უპასა, ამ უკანასკნელს კი, ცარიელი კარის დალაშქვრა, რა თქმა უნდა, აღარ გასჭირვებია. მაგრამ რომაელები უპირატესობით ოდენ 5 წუთი დატკბნენ, რადგან 35-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდა: **სტოლტიდისის** ჩინებული პასი **გალეტიმ** გამოიყენა და 14 მეტრიდან გაუტანა ბალოტას. 41-ე წუთზე ნიკოპოლიდისმა ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა - გოლი რიკოშეტით გადიოდა.

მეორე ტაიმი „ლაციომ“ უკანმოუხედავი შეტევებით დაიწყო - რომაელებს სხვა გზა არც ჰქონდათ, რადგან ფრე არ აწყობდათ. ჯერ პანდევმა ვერ გამოიყენა კარგი მომენტი, მერე კი **ლედესმამაც** მიჰქარა. სამაგიეროდ, გაიტანეს ბერძნებმა: 65-ე წუთზე სტოლტიდისმა გენიალური პასით მთელი დაცვა გააცურა და **ჯორჯევიჩი** მონახა, რომელმაც თავის მხრივ **კოვაჩევიჩს** უპასა, ამ უკანასკნელმა კი ახლო მანძილიდან გაიტანა. „ლაციომ“ გაშვებულ გოლს გააფთრებული შეტევებით უპასუხა, მაგრამ იტალიელებს ბოლო მომენტში აღარ უმართლებდათ. ნიკპოლიდისმა და „ოლიმპიაკოსის“ მცველებმა იერიშებს გაუძლეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 10-8 | 8 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8-7 | 8 |
| 3. ვერდერი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-10 | 6 |
| 4. ლაციო | 5 | 1 | 2 | 2 | 7-8 | 5 |

## D ჯგუფი

## სელტიკი -შახტარი 2:1

**სელტიკი:** ბორუცი, კოლდუელი, კენედი (41. პრესლი), მაკმანუსი, ნეილორი (16. დონატი), მაკგიდი, ჰარტლი, ბრაუნი, იაროშიკი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (79. კილენი), მაკდონალდი.

**შახტარი:** პიატოვი, სრნა, კუჩერი, ჩიგრინსკი, რაცი, ილსინიო (84. იეზერსკი), ჰიუბშმანი, ლევანდოვსკი, ჟადსონი, ბრანდაუ, ლუკარელი (88. გლადკი).

**გოლები:** 0:1 ბრანდაუ (4), 1:1 იაროშიკი (45), 2:1 დონატი (90)

**მაყურებელი:** 52 156

**არბიტრი:** ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)

**მასიმო დონატი** გლაზგოელი გულშემატკივრების გმირად იქცა. იტალიელმა ლეგიონერმა „სელტიკისა“ და „შახტარის“ მატჩის ბოლო წამზე გამარჯვების ბურთი შეაგდო. დიახ, არაფერს ვაჭარბებთ. მსაჯმა დონატის გოლის შემდეგ უკრაინელებს მხოლოდ ბურთის ცენტრში მიტანა და მისი ერთი შეხება ადროვა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, შოტლანდიელი ფანები გამარჯვებას როგორი ემოციით შეხვდნენ. სტადიონი კინაღამ დაინგრა. ძნელია, მათ არ გაუგო. „სელტიკმა“ მე-4 წუთზე ძალიან მტკივნეული დარტყმა მიიღო. დონეცკელთა ბრაზილიელმა ვარსკვლავმა, **ბრანდაუმ** შოტლანდიელი მცველების შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გახსნა. წონასწორობის აღდგენა მასპინძლებმა მხოლოდ ტაიმის მიწურულს შეძლეს. წესით, **ქოლდველის** შორეულ პასს არანაირი ხიფათი არ უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ სტუმართა ცენტრალურმა მცველებმა, **დმიტრო ჩიგრინსკიმ** და **სრნამ** იმდენი მოახერხეს, რომ ჩეხ **იაროშეკს** გოლი გაატანინეს.

მეორე ტაიმში შოტლანდიელები, რა თქმა უნდა, ერთი ორად გააქტიურდნენ. იმავე იაროშეკს **ეიდენ მაკგიდის** ჩინებული პასის შემდეგ შეეძლო „სელტიკი“ დაეწინაურებინა, მაგრამ მის მიერ დარტყმული ბურთი მცირედით აცდა მიზანს. მაკგიდის დონატისთან თანამშრომლობა უფრო წარმატებული და იღბლიანი აღმოჩნდა. იტალიელს გოლის გატანაში სწორედ ის დაეხმარა. ამ გამარჯვების წყალობით, „სელტიკმა“ 9 ქულას მოუყარა თავი. იმ შემთხვევაში, თუ გლაზგოელები 4 დეკემბერს სრულიად უმოტივაციო „მილანთან“ თუნდაც ერთ ქულას მოიპოვებენ, ფლეი ოფში გაალწევენ. „შახტარს“ კი მხოლოდ „ბენფიკის“ დამარცხება არ ეყოფა. უკრაინელები სწორედ „მილანისა“ და „სელტიკის“ მატჩის ბედზე არიან დამოკიდებულები.



ბენფიკა-მილანი. პეტიტი კაკას წინააღმდეგ

## ბენფიკა-მილანი 1:1

**ბენფიკა:** კუიმი, ფელიპე, ლუიზაო (74. დი მარია), ლეო, მარინიო (88. ადუ), კაცურანისი, პეტიტი, პერეირა (75. კარდოსო), რუი კოშტა, როდრიგესი, ნუნუ გომეში.

**მილანი:** დიდა, ბონერა, კალაძე, ნესტა, სერჟინიო (46. მალდინი), გატუზო, პირლო, ბროკი (51. გურკუფი), ზეედორფი (73. ოდო), კაკა, ჯილარდინო.

**გოლები:** 0:1 პირლო (15), 1:1 პერეირა (20)

**მაყურებელი:** 35 000

**არბიტრი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

ლისაბონში „მილანმა“ არცთუ დამაჯერებლად იასპარეზა, მაგრამ ფლეი ოფის საგზურის მოსაპოვებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა. იტალიელებმა სარისკო გზით სიარული არ ისურვეს და პრაგმატული ტაქტიკა აირჩიეს. მათი ეს გადაწყვეტილება, ალბათ, არავის გააკვირვებდა. პირდაპირ უნდა ითქვას, „ბენფიკას“ საკმარისი პოტენციალი არ აღმოაჩნდა იმისთვის, რათა „სან სიროზე“ განცდილი მარცხისთვის (1:2) შური ეძია. ანგარიში **ანდრეა პირლომ** მორიგი ულამაზესი გოლით გახსნა. შეუძლებელია, აქვე მის მიერ იტალიის ჩემპიონატის წინა ტურში „კალიარისთან“ მატჩში შეგდებული არანაკლებ ლამაზი ბურთი არ გავიხსენოთ. სტუმართა სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. მე-20 წუთზე **პერეირამ** წონასწორობა აღადგინა. ამის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა.

**კარლო ანჩელოტი** ფლეი ოფის საგზურის მოპოვებით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი დარჩა: *„დღეს რთული მატჩი გვქონდა. წინასწარ ვამბობდით, რომ ლისაბონში გამრჯვებისთვის ვიბრძოლებდით. მართალია, 3 ქულა ვერ მოვიპოვეთ, მაგრამ მთავარია, რომ ჯგუფური სტადია დავძლიეთ. დარწმუნებული ვარ, პირველ ადგილს შევინარჩუნებთ და ფლეი ოფში, ეგრეთ წოდებული, საკუთარი მოედნის ფაქტორით ვისარგებლებთ. შესაძლოა, „სელტიკთან“ რამდენიმე შეგირდი არ ვათამაშო და მათ დასვენების საშუალება მივცე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ გლაზგოელებს სათადარიგო შემადგენლობით დავუხვდებით. ჩემპიონთა ლიგაში წელსაც ყველაზე ამბიციურ მიზნებს ვისახავთ“.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 5 | 3 | 1 | 1 | 11-5 | 10 |
| 2. სელტიკი | 5 | 3 | 0 | 2 | 5-5 | 9 |
| 3. შახტარი | 5 | 2 | 0 | 3 | 5-9 | 6 |
| 4. ბენფიკა | 5 | 1 | 1 | 3 | 3-5 | 4 |


ვერდერი-რეალი. სანოგო და როზენბერგი გატანილი გოლით ხარობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩელსი. ტრანსფერები

# ნაკრები, შევჩენკოს უკანასკნელი შვება

## დრენტე მადრიდიდან, შეიძლება, ლონდონში აღმოჩნდეს

**ანდრეი შევჩენკოს** ლონდონურ გასაჭირს ბოლო არ უჩანს. მდგომარეობა ოდნავადაც არ შეცვლილა მას შემდეგ, რაც „ჩელსიში" **ავრაამ გრანტი** დაინიშნა. ებრაელი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიოს** პოლიტიკას აგრძელებს. უკრაინელ ვარსკვლავს არც ის ენდობა და უმეტესად თადარიგში ამყოფებს. შევას პრემიერლიგის წლევანდელ გათამაშებაში ერთი გოლიც კი არ გაუტანია. „ჩელსიში" გატარებული წელიწადნახევრის განმავლობაში მის აქტივში მხოლოდ ხუთი გოლი ირიცხება (იგულისხმება გოლები, რომელიც ფეხბურთელმა ინგლისის პირველობაზე შეაგდო). *„ბედნიერი არ ვარ, მაგრამ რა შემიძლია, ვილონო? სამუშაოს მთელი პასუხისმგებლობით ვეკიდები. ვარჯიშებზე მუხლჩაუხრელად ვშრომობ და იმედი მაქვს, რომ მდგომარეობა შეიცვლება."* შევამ უკრაინის ნაკრებიც ახსენა: *„ამ ვითარებაში ჩემთვის ნამდვილი შვებაა ნაკრებში თამაში. ეროვნული გუნდი ძალას მმატებს, ის ძალას, რომელიც ლონდონში ყოფნისას მეცლება ხოლმე. ყველაზე უკეთ თავს სახლში ვგრძნობ. უკრაინის მომდევნო მატჩს უკვე მოუთმენლად ველოდები."*

„ჩელსიზე" საუბარს სატრანსფერო ამბებით გავაგრძელებთ. „ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, „არისტოკრატები" **როისტონ დრენტეთი** დაინტერესდნენ. „ფეიენოორდის" ყოფილი ნახევარმცველი „რეალში" თამაშობს. ის მადრიდში გასულ ზაფხულს ორ თანამემამულესთან, **ვესლი სნეიდერსა** და **არიენ რობენთან** ერთად გადავიდა. დრენტემ ძირითადში ფეხის მოკიდება ვერ მოახერხა. ის ნომინალურ სათადარიგო ფეხბურთელად იქცა. როისტონს უკეთესი პერსპექტივა არ უჩანს. **ბერნდ შუსტერი** მის მიმართ დამოკიდებულების შეცვლას არ აპირებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სარფიანი შეთავაზების შემთხვევაში, ფეხბურთელი სამსახურის გამოცვლაზე იფიქრებს. „ჩელსის" ვარიანტი ამისთვის სავსებით საკმარისია. „რეალი" საკადრო წმენდისათვის ემზადება. ზედმეტი ფეხბურთელების სიაში შეიძლება დრენტეც აღმოჩნდეს. ლონდონელთა ჰოლანდიელი სპორტული დირექტორი **ფრანკ არნესენი** მოვლენების განვითარება ელოდება. „მირორის" ცნობით, „არისტოკრატებმა" ვალენსიელ **მიგელსაც** დაადგეს თვალი. მიგელი 27 მცველია. ის პორტუგალიის ნაკრებში თამაშობს. „ჩელსი" მზადაა, „ღამურებს", რამდენიმე მილიონი გირვანქის გარდა, **პაულუ ფერეირაც** შესთავაზოს. ეს უკანასკნელი „ჩელსის" ძირითადში იშვიათად ხვდება.



ანდრეი შევჩენკო

### ვენგერის სასჯელი და ფაბრეგასის ტრავმა

**არსენ ვენგერს** ჩემპიონთა ლიგაში ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. მიზეზი „სევილიასთან" სამშაბათის შეხვედრისას მომხდარი ინციდენტია. ლონდონელებმა ის შეხვედრა 1:3 წააგეს. მეორე ნახევარში, როდესაც **ფრედერიკ კანუტეს** მესამე და გადამწყვეტი გოლი ჯერ კიდევ არ ჰქონდა გატანილი, ვენგერმა მთავარ მსაჯ **ერიკ ბრაამჰაარს** შენიშვნა მისცა. მწვრთნელის აზრით, სევილიელ ხესუს ნავასს ულმერთოდ გაჰყავდა დრო, არბიტრი კი მის საქციელზე თვალს ხუჭავდა. კამათი იმით დასრულდა, რომ მოსიე არსენს წითელი ბარათი აუფრიალეს. ის დაუყოვნებლივ ტრიბუნაზე უნდა ასულიყო, მაგრამ სარეკლამო ფარს გადალმა დადგა. სათადარიგო არბიტრმა მას რამდენჯერმე მისცა შენიშვნა. ვენგერი მასაც დიდხანს ეკამათა და მხოლოდ დიდი ხმაურის შემდეგ მიაშურა კუთვნილ ადგილს. სასჯელის გარდა, მწვრთნელს ფინანსური სანქციაც ემუქრება.

სევილიურ მატჩში ლონდონელებს სხვა უსიამოვნებაც შეემთხვათ. 56-ე წუთზე **ფრანსესკ ფაბრეგასმა** მძიმე ტრავმა მიიღო. ის მინდვრიდან საკაცით გაიყვანეს. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ფაბრეგასს ათი დღე გაუცდება. ამ ხნის განმავლობაში ის სამ მატჩს გამოტოვებს - „ასტონ ვილასთან", „ნიუკასლსა" და „მიდლსბროსთან".

### რიკარდო კარვალიო ლივერპულში?

„ლივერპულმა" „ჩელსის" ცენტრალურ მცველ **რიკარდო კარვალიოს** დაადგა თვალი. ამ ფეხბურთელზე „ინტერი" და „ფიორენტინაც" აცხადებენ პრეტენზიას. ინგლისელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ „ეშმაკების" შანსები მინიმალურია. „ლივერპულის" ამერიკელი ბოსები სატრანსფერო საკითხების განხილვას არ ჩქარობენ. ისინი ინგლისს დეკემბრის შუა რიცხვებში ეწვევიან. იმ დროისათვის იტალიურ კლუბებს და განსაკუთრებით „ინტერს", ფეხბურთელი, შეიძლება, უკვე დაბევებული ჰყავდეთ. მილანელებმა „არისტოკრატებს" კარვალიოს სანაცვლოდ არგენტინელი ვალტერ სამუელი და რამდენიმე მილიონი გირვანქა შესთავაზეს. ოფიციალური კომენტარები უცნობია.

### დინამოს ევროპული ანტირეკორდი

**კიევის „დინამომ"** ჩემპიონთა ლიგის რეკორდი დაამყარა, უფრო ზუსტად ანტირეკორდი. უკრაინულმა გრანდმა ტურნირის ისტორიაში ყველაზე მეტი მატჩი წააგო. სამშაბათს დინამოელები შინ „რომასთან" 1:4 შერცხვნენ. ეს მათ სალიგო ისტორიაში 39-ე მარცხი აღმოჩნდა. ანტირეკორდი „რომასთან" შეხვედრისას არ დამყარებულა. სტატისტიკის მოყვარულებმა კიეველთა მიღწევა ორი მატჩის დაგვიანებით აღმოაჩინეს. საქმე ისაა, რომ მეორე ადგილზე მყოფ „გალათასარაის" ლიგაში 36-ჯერ აქვს წაგებული. ასე რომ „დინამოს" ისტორიული მონაგარი მინიმუმ ორი მატჩით ადრე უნდა აღგვენიშნა. წაგებების ცხრილში მესამე ადგილი უკავია „პორტუს" - 35 მარცხი. „დინამოს" სხვა გასაჭირიც აქვს. გუნდი ზედიზედ ხუთი მატჩია, ერთ ქულასაც კი ვერ იხვეჭს, ჩემპიონთა ლიგაში უკანასკნელი გამარჯვება კი 12 თამაშის წინ იზეიმა. ეს 2004 წლის 23 ნოემბერს კიევში მოხდა. სხვათა შორის, ზუსტად სამი წლის წინ „დინამომ" „რომას" მოუგო, 2:0. მას შემდეგ იყო მარცხი ლევერკუზენთან (0:3), ექვსი მოუგებელი შეხვედრი ლიგის შარშანდელ გათამაშებაში და კიდევ ხუთი მოუგებელი მატჩი წლევანდელ ტურნირში.

### ოუენი შობის შემდეგ ითამაშებსო

**„ნიუკასლის"** თავდამსხმელი **მაიკლ ოუენი** მინდორს დეკემბრის მიწურულს დაუბრუნდება. ამ ინფორმაციას ჯორდების პრესსამსახური ავრცელებს. ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი ავსტრიასთან ამხანაგურ მატჩში დაშავდა. მან მუხლის მყესი დაიზიანა. ეს მაიკლის ქრონიკული პრობლემაა. თავდამსხმელი გერმანიაში იმყოფებოდა. ის შინ რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა და დამაიმედებელი ამბავი ჩაიტანა. ოუენის განკურნების პროცესი მოსალოდნელზე სწრაფად მიმდინარეობს. „ნიუკასლის" თავკაც **სემ ელერდაისს** იმედი აქვს, რომ ფეხბურთელს „ბოქსინგ დეიზე" (შობის მეორე დღეს) ათამაშებს.

### ოსიმს ოკადა შეცვლის

**იაპონიის** ნაკრების თავკაცი **ივიცა ოსიმი** კომიდან გამოვიდა. 66 წლის სპეციალისტი შინ იმყოფებოდა, როცა ერთი კვირის წინ წნევამ დაარტყა და საავადმყოფოში უმძიმეს მდგომარეობაში გადაიყვანეს. იაპონიის ფეხბურთის ფედერაცია იუწყება, რომ მწვრთნელის მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდება, თუმცა ის რეანიმაციულ განყოფილებაში რჩება და ექიმები კვლავ ინტენსიურად მკურნალობენ. ოსიმი სამუშაოზე დაბრუნებას ალბათ ველარ მოახერხებს. მიმომხილველთა ვარაუდით, იაპონიის ნაკრებს **ტაკეში ოკადას** ჩააბარებენ. ეს სპეციალისტი ამომავალი მზის ქვეყანას 1998 წლის მუნდიალზე ხელმძღვანელობდა.



ვერდერი თანახმაა,
დიეგო მადრიდში გაუშვას

რეალი. ტრანსფერები

# ვერდერი დიეგოს გაყიდვაზე თანახმაა

## სამეფო კლუბმა რომაელ ვუჩინიჩს და ვალენსიელ დავიდ სილვას დაადგა თვალი

**ოთხშაბათს** „ვერდერმა" „რეალს" 3:2 მოუგო. ტრავმებით შესუსტებული ბრემენელები საკუთარ თავს გადაახტნენ და მთელი გერმანია აღაფრთოვანეს. თამაშის მეორე დღეს „მუსიკოსებმა" განაცხადეს, რომ მზად არიან სამეფო კლუბთან მოლაპარაკებები გამართონ. მადრიდელებს ბრაზილიელი ფლეიმეიქერის, **დიეგოს** შეძენა უნდათ. „ვერდერი" გარიგებაზე თანახმაა. ბრემენელთა პრეზიდენტმა **იურგენ ბორნმა** განაცხადა: *„დიეგოსთან განშორება არ გვსურს, მაგრამ თუ ფეხბურთელს „რეალში" თამაში უნდა, ხელს არ შევუშლით. დიახ, ის უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელია. ის „ვერდერის" ერთ-ერთი გამოკვეთილი ლიდერია. ყველაფერს ვილონებთ, რათა დიეგო ბრემენში დარჩეს, თუმცა ყველაფერს ფეხბურთელი გადაწყვეტს."* ცოტა ხნის წინ დიეგომ განაცხადა, რომ „რეალს" დაუფიქრებლად მიაშურებდა.

აქვე გეტყვით, რომ „რეალს" რომაელთა თავდამსხმელის **მირკო ვუჩინიჩის** შეძენაც სურს. ჩერნოგორიელი ვარსკვლავი იტალიის ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგაში შედეგიანად ასპარეზობს. „გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, „რეალის" სპორტული დირექტორი **პედია მიატოვიჩი** „ლეჩეს" შეეხმიანა. ვუჩინის სატრანსფერო უფლებების 50 პროცენტი „ლეჩეს" ეკუთვნის. ფეხბურთელის ტრანსფერისათვის, რომაელთა გარდა, ამ გუნდის თანხმობაცაა საჭირო.

და კიდევ, მადრიდელებმა ვალენსიელ ნახევარმცველ **დავიდ სილვას** დაადგეს თვალი. 21 წლის სილვა ესპანური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა. ღამურები მისი საკითხის განხილვასაც კი არ აპირებენ. „ვალენსია" დავიდის კონტრაქტში მითითებულ თანხაზე უთითებს. თუ დაინტერესებულ კლუბს ფეხბურთელს იქით გზა არა აქვს, 55 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს. სწორედ ეს თანხაა მითითებული ხელშეკრულებაში. ასტრონომიული ფასი კონკურენტებისათვის მადის განელებას ისახავს მიზნად. „რეალის" ერთადერთი შანსია ის, რომ „ვალენსია" დავიდ სილვასთან თანამშრომლობის გაგრძელებას ვერ ახერხებს. თუ მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდება, კლუბს, შეიძლება, დათმობაზე მოუხდეს წასვლა. დათმობა ფასის საგრძნობ შემცირებას ითვალისწინებს.

ინტერვიუ ბუბაკარ სანოგოსთან

# ვერდერს უდიდესი პოტენციალი აქვს

## კოტ დ'ივუარელს სჯერა, რომ მუსიკოსები მერვედფინალში ითამაშებენ...

**ბუბაკარ სანოგოს** დიდხანს არ სჯეროდა, რომ „რეალს" გოლი გაუტანა – თანაც, ასეთი ეფექტური და რაც მთავარია, ძალიან მნიშვნელოვანია. ბუბაკარ სანოგო ის კაცია, ვინც „ვერდერმა" ზაფხულში „ჰამბურგიდან" მას მერე იყიდა, რაც მიროსლავ კლოზე დაკარგა. მიმომხილველებმა „ვერდერის" მენეჯერ კლაუს ალოფსს მაშინ მაგრად დასცინეს, რაში გადხყარე 6 მილიონი, სანოგომ ხომ ისიც კი არ იცის, საითაა მეტოქის კარიო. ბუბაკარმა ეს შესანიშნავად იცოდა, მაგრამ ფაქტია, რომ „ჰამბურგში" საშინელი სეზონი ჰქონდა. ახლა კი, ბუნდესლიგაში 6 გოლი აქვს, ჩემპიონთა ლიგაში კი 3. სანოგომ ალოფსის იმედები გაამართლა, გუშინწინ კი, „რეალის" კარში გატანილი ძალიან ეფექტური გოლით, ყოველგვარს მოლოდინს გადააჭარბა. „სამეფო გუნდთან" მოპოვებული გამარჯვების შემდეგ მას „ველტის" კორესპონდენტი გაესაუბრა.

**- ჰერ სანოგო, როგორი გრძნობაა მადრიდის „რეალის" კარში გოლის გატანა?**

- ენით აუწერელი! ძალიან გამიჭირდა იმის დაჯერება, რომ „რეალს" გოლი გავუტანე, თანაც ასეთი ლამაზი და ეფექტური. ეს ჩემი კარიერის უმნიშვნელოვანესი გოლია და ის არასდროს დამავიწყდება, თუმცა იმედი მაქვს, რომ მომავალში გაცილებით მნიშვნელოვან გოლებსაც გავიტან.

**- კარლოს ალბერტოს უკვე შეურიგდით?**

- დიახ, ჩვენ იმ დღესვე ვილაპარაკეთ და მაშინვე შევრიგდით. კარლოს ალბერტოსთან პრობლემები არც მანამდე მქონდა, თითქმის სულ ერთად ვიყავით და ერთმანეთს ხშირად ვეხუმრებოდით ხოლმე. ეს უბრალოდ ცუდი დღე იყო როგორც ჩემთვის, ასევე მისთვის. მოკლედ, ეს პრობლემა მოგვარებულია – ყველაფერი ძველებურადაა. ასეთი რამ კი აღარასოდეს განმეორდება.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ უსამართლოდ დაისაჯეთ? ამბობდით, ალბერტომ განგებ ჩამარტყა, ეგ ბიჭი სრულ ჭკუას არ ემსახურებაო...**

- უშეცდომო არავინაა, მთავარია, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. ცხადია, ძალიან გავბრაზდი და ამას არც ახლა ვმალავ, მაგრამ მე საერთოდ წყნარი და მშვიდობის მოყვარული ადამიანი ვარ. ძალადობას ვერ ვიტან და ვინც მიცნობს, შეგიძლიათ ჰკითხოთ, ყველა გეტყვით, რომ ჩემი გაბრაზება ძალიან ძნელია.

**- თამამად შეიძლება ითქვას, რომ შესანიშნავ სეზონს ატარებთ. არადა, ზაფხულში თქვენს ტრანსფერს ყველა სკეპტიკურად უყურებდა. ექსპერტები მიიჩნევდნენ, რომ რაკი „ჰამბურგში" არაფერი გამოგივიდათ, ფეხს ვერც „ვერდერში" მოიკიდებდით. თქვენი წარმატებებით კი ყველა გაკვირვებულია. თქვენც?**

- არა, მე ეს ყველაფერი ნამდვილად არ მიკვირს, რადგან კარგად ვიცი, რაც შემიძლია. აი, შარშან კი მართლაც გაკვირვებული ვიყავი, რადგან „ჰამბურგში" ძალიან ცუდი სეზონი მქონდა და სიმართლე გითხრათ, ასეთი ცუდი სეზონი მანამდე არ მქონია. აი, „ვერდერში" კი ყველაფერი სხვაგვარად აეწყო, პირველივე თამაშში გოლი გავიტანე და მას მერე უილბლობას აღარ ვუჩივი. ჩემთვის ყველაზე მთავარი ის არის, რომ მწვრთნელისგან ნდობა ვიგრძენი, შესაბამისად, უფრო თავდაჯერებულიც გავხდი. მეტიც: მე ვფიქრობ, ამაზე გაცილებით უკეთესადაც შემიძლია თამაში. ზრდა და განვითარება ჯერ არ დამიმთავრებია. ეს პერიოდი კი, ჩემს კარიერაში აშკარად საუკეთესოა.



ბუბაკარ სანოგო კრისტოფ მეტცელდერის წინაალმდეგ

**- „ვერდერმა" ისე მოუმატა, რომ იქნებ გერმანიის ჩემპიონობაც გელირსოთ...**

- ჩვენ ძალიან გვინდა გერმანიის ჩემპიონობა და იმედია, ყველა ხედავს, რომ „ვერცხლის სინის" მოგება შეგვიძლია. თუკი მეორე წრეში ყველა წამყვანი ფეხბურთელი ჯანმრთელად გვეყოლება, უფრო ძლიერები ვიქნებით. დღესდღეობით „ვერდერს" გაცილებით მეტი საკადრო პრობლემა აქვს, ვიდრე „ბაიერნს" და მიუხედავად ამისა, ბავარიულ გუნდს მაინც მხოლოდ 1 ქულით ჩამოვრჩებით. ეს იმის ნიშანია, რომ „ვერდერს" მართლაც უდიდესი პოტენციალი გააჩნია.

**- როგორ გგონიათ, ჩემპიონთა ლიგაში გამოიზამთრებთ?**

- თუკი „რეალს" მოვუგეთ, ნესით „ოლიმპიაკოსიც" უნდა დავამარცხოთ, მაგრამ ფაქტია, რომ საბერძნეთში ძალიან რთული მატჩი გველის. ჩემი აზრით, მძიმე ბრძოლა გვექნება, მაგრამ მაინც მოვიგებთ. ჩემთვის, ისევე, როგორც ჩვენი გულშემატკივრებისთვის, დღემდე გაუგებარია, რა დაგვემართა წინა შეხვედრებში, როგორ წავაგეთ შინ „ოლიმპიაკოსთან". მაგრამ ჩემპიონთა ლიგის ხიბლიც ზუსტაში იმაში მდგომარეობს, რომ ამ ტურნირზე სუსტი გუნდი არ არსებობს.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო





ირაკლი ცირეკიძეს ოლიმპიადაზე მოსახვედრად ზურაბ ზვიადაურის კონკურენციის დაძლევა მოუწევს

მომავალი სეზონის კონტურები

# მსოფლიო ჩემპიონი ოლიმპიურის წინააღმდეგ!

ქართველი ძიუდოისტებისთვის წლევანდელი სეზონი ძალზედ წარმატებული რომ აღმოჩნდა, უკვე ვწერდით. როცა გუნდმა სეზონში ევროპის ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა და მსოფლიოსიც, სხვანაირი შეფასება არც შეიძლება. ბოლოსდაბოლოს, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მთელი 18 წელიწადი ველოდით. სიტყვამ მოიტანა და კიდევ ერთხელ შეგახსენებთ სეზონის მონაგარს - 5 მედალი ევროპის პირველობაზე და 3 - მსოფლიოზე, ჯამში - 8 ჯილდო. ევროპული მედლებიდან თითო ოქრო-ბრინჯაოა, 3 - ვერცხლი, მსოფლიოზე კი სამივე სინჯის თითო მედალია.

პირადი პირველობების გარდა, ჩვენებმა ევროპის გუნდურ პირველობაზეც წარმატებით იჭიდავეს და ჩემპიონები გახდნენ. იქნებ ის არ იყო ძლიერი ტურნირი, მაგრამ ევროპული ძიუდოს ისტორიას ჩვენი გამარჯვება მესამე ჩემპიონობად კი შემორჩება. ბუნებრივია, სეზონის ასეთი მაჩვენებლები გასახარია და მისასალმებელი, მაგრამ ჩვენს ათლეტებს მთავარი შეჯიბრება მაინც გაისად ელოდებათ - პეკინის ოლიმპიადა. სწორედ მისთვის მზადებას ემსახურება მთელი ეს ოთხწლიანი ციკლი და კონკრეტულად - წლევანდელი სეზონიც. მართალია, შოთა ხაბარელის შეგირდებს წლევანდელი სეზონი ჯერ არ დაუმთავრებიათ - კვირის ბოლოს ნაკრების 5 წევრი ვარშავაში, ევროპის აბსოლუტურ ჩემპიონატში იჭიდავებს, მაგრამ საგაისო ბატალიებისთვის და, უპირველესად, ოლიმპიადისთვის მზადებას უკვე შეუდგნენ.

მწვრთნელთა საბჭომ საგაისო კალენდარი უკვე შეადგინა. მართალია, იგი ფედერაციას ჯერ არ დაუმტკიცებია, მაგრამ, სავარაუდოდ, უცვლელად დაამტკიცებს. ამის თქმის საფუძველს თავად ფედერაციის პოზიცია გვაძლევს, რომელიც არ ერევა მწვრთნელთა საბჭოს მუშაობაში - დიდი-დიდი, რეკომენდაციებით შემოიფარგლოს, მაგრამ აღებულ ვალდებულებათა შესრულებას მკაცრად ითხოვს. თავად ეს კალენდარი რამდენადმე სპეციფიკურია, რადგან გუნდმა ლიცენზიების უმეტესობა - 5 ამ სეზონშივე მოინაგრა, რაც გაისად ლავირებისა თუ ტაქტიკური გათვლების მეტ შანსს აძლევს. ცხადია, ლიცენზიამოპოვებულთა უმრავლესობა გაისად დაისვენებს და ოლიმპიადისთვის საგანგებო გრაფიკით მოემზადება. მწვრთნელთა გათვლა მარტივია - შეგირდები დასვენებულნი და ფორმის პიკში მყოფნი ჩაიყვანონ ჩინეთში, სადაც ისედაც უმძაფრესი ბრძოლები ელოდებათ. თან, ამ ლიცენზიაგანაღდებულ წონებში არც ისეთი კონკურენციაა, ლიდერებს ნაკრებში ადგილის დაკარგვის საფრთხე დაემუქროთ. ვფიქრობთ, იმ ხუთეულიდან ყველაზე მყარი მაინც **ნესტორ ხერგიანის** (60), **დავით ქევხიშვილის** (73) და **ლაშა გუჯეჯიანის** (მძიმე) პოზიციებია, **ირაკლი ცირეკიძეს** (90) და **ლომერ ჟორჟოლიანს** (100) კი ადგილის შესანარჩუნებლად მეტი გარჯა დასჭირდებათ.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, იმ სამეულს ამ ეტაპზე რეალური კონკურენტი არ უჩანს. მიმდინარე ოლიმპიურ ციკლში 60 კილოში რამდენიმე პერსპექტიული ფალავანი კი გამოჩნდა, მაგრამ ხერგიანის კონკურენცია ვერც ერთმა დასძლია. არადა, ხერგიანი ათენის მერეც მიდიოდა სპორტიდან, მაგრამ დიდი შუამდგომლობებით დარჩენაზე დაითანხმეს, რადგან ამ წონაში დასაყრდენი ფალავანი სხვა არ ჩანდა. ნესტორიც დარჩა და მონაგარი გვარიანადაც შეავსო - ევროპული ბრინჯაოთი და მსოფლიოს ვერცხლით, თუმცა ღირსეული შემცვლელის მოძებნას ვერც მისმა კონკურენციამ უშველა. არადა, პეკინის შემდეგ იგი, სავარაუდოდ, საბოლოოდ წავა ტატამიდან და ამ წონაში კიდევ უფრო დიდი სიცარიელე დაგვრჩება. თუმცა ვიქონიოთ იმედი, რომ იმ რამდენიმე პერსპექტიული ფალავანიდან, რომლებიც ნაკრებში ადგილს ეცილებოდნენ, რომელიმე საგრძნობლად მოუმატებს.

აი, 73-ში ქევხიშვილს ღირსეული კონკურენტი არც აქამდე ჰყავდა და არც ახლა უჩანს. იმედისმომცემი ფალავნები პერიოდულად აქაც ჩნდებოდნენ, მაგრამ საქმე ამის იქით არ მიდიოდა. თუმცა წლეულს ამ წონაში 66-დან რამდენჯერმე **მინდია ხომიზური** ამოანაცვლეს, რომელსაც თავი ნამდვილად არ შეურცხვენია. შესაძლოა, ის საბოლოოდ დამკვიდრდეს აქ, მაგრამ მისი წამოსვლა 66-ს დაასუსტებს, სადაც **ზაზა კედელაშვილს** სხვა სერიოზული კონკურენტი არც ჰყავდა. თუმცა ერთი ნათელი წერტილი იქაც გამოჩნდა - 60-დან **დავით ასუმბანმა** ამოინაცვლა. ერთ დროს სპეციალისტები მისგანაც ბევრს ელოდნენ... მაგრამ ფაქტია, რომ ის 60-ში ბევრს იკლებდა, 66-ში კი ბევრად უკეთესად გამოვიდა. თუმცა ახალ წონაში მან მხოლოდ ერთხელ იჭიდავა - 23-წლიანთა საქართველოს ჩემპიონატზე, მომავალში კი რას იზამს, ვნახოთ. ის მართლაც არაა ურიგო ფალავანი, მაგრამ ჯანმრთელობის მხრივაც აწუხებს პრობლემები.

**ზვიად ხანჯალიაშვილის** შემხედვარე, უტაქტობა იქნება იმის თქმა, რომ **ლაშა გუჯეჯიანს** წონაში სერიოზული კონკურენტი არ ჰყავს, მაგრამ ხანჯალიაშვილმა იმდენად სუსტად ჩაატარა მთელი სეზონი, ძნელია იფიქრო, გუჯეჯიანს ადგილს წაართმევს და პეკინში ის წავა. კაცმა არ იცის, ხანჯალიაშვილი რას იზამს გაისად და ღმერთმა ქნას, იმდენად მოუმატოს, ძველებურად ღირსეულ კონკურენტად ექცეს, მაგრამ ერთ ადგილზე არც გუჯეჯიანი გაჩერდება. ნამდვილად მისასალმებელია ის პროგრესი და დიდი ნახტომი, საქმისადმი მართლაც რომ პროფესიული მიდგომა, რაც წლეულს გუჯეჯიანმა გვაჩვენა. სეზონის დასაწყისში, როგორც კი ნაკრებში ადგილის დაკარგვის საშიშროება იგრძნო, წონაც დაიკლო, ვარჯიშებიც გააორმაგა, ფიზიკურადაც მოუმატა და მშვენიერი შედეგიც მიიღო - ვერცხლი ევროპაზე და ბრინჯაო მსოფლიოზე. თან, გუჯეჯიანს ოლიმპიადასთან დაკავშირებით საკუთარი მიზნებიც ამოძრავებს - ალბათ, არასოდეს დაავიწყდება ის მწარე მარცხი, რაც ათენის ოლიმპიადაზე განიცადა და შეეცდება, თავის მეორე თამაშებზე ღირსეული რევანში აიღოს. მით უფრო, სადღეისოდ ამ წონაში მართლაც ერთ-ერთი უძლიერესია.

ადრეც დაგვიწერია, რომ **ლომერ ჟორჟოლიანი** წონაში ერთ-ერთი საუკეთესო ფალავანია. ღირსეული კონკურენტებისგან იგი ფიზიკურად მართლაც რომ გამოირჩევა და არც სხვა კომპონენტებში ჩამოუვარდება წონის ლიდერებს, ამაში თავად დავრწმუნდი მსოფლიო ჩემპიონატზე ყოფნისას. მის შანსებს არც ახლა ვაკნინებ, მაგრამ ჟორჟოლიანს საკუთრივ ნაკრებში ჰყავს სერიოზული კონკურენტები. მთლიანობაში, ამ სეზონში მან რაღაც კომპონენტებით კი აჯობა სხვებს, მაგრამ ზოგიერთ ტურნირში ცოტათი იმათ აჯობეს. ყოველ შემთხვევაში, მასსა და მეტოქეებს შორის საგრძნობი სხვაობა არ იყო. თან, კონკურენტთა უმეტესობაც მასავით ახალგაზრდაა.

**ირაკლი ცირეკიძეს** წონაში ერთადერთი სერიოზული კონკურენტი ჰყავს, მაგრამ ათს უდრის - ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაური**. ჩანს, მას წარმატებების გემო ფრიად მოენატრა და ამიტომაც ირწმუნება, ნაკრებში ადგილის დასაბრუნებლად გაისად სერიოზულად ვიბრძოლებო. ვნახოთ, შეძლებს თუ არა ის უპირველესი მეტოქის - სიზარმაცის დამარცხებას. თუ ეს მოახერხა, მაშინ ცირეკიძეს ძილი სერიოზულად დაუფრთხება. როგორი საქმეა - ერთ წონაში ლიდერობისთვის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონები იბრძვიან.

და თავად საგაისო კალენდარს რაც შეეხება, უმთავრეს ტურნირთაგან ჩვენები თბილისის, პარიზის, ლეონდიგის, ჰამბურგის, პრაღისა და მადრიდის მსოფლიო თასებზე გამოვლენ. ამათგან მადრიდის გარდა, ყველა სალიცენზიოა. ცხადია, ამ რანგის ტურნირებში ძირითადად 66-ის და 81-ის ფალავნები გამოვლენ - იმ წონების წარმომადგენლები, რომლებშიც საგზურები ჯერ არ მოგვიპოვებია, ხოლო ლიცენზირებულები საშეჯიბრო პრაქტიკისთვის თბილისში, პარიზსა და პრაღაში იჭიდავებენ. ჩეხეთის ტურნირი ბოლო სალიცენზიო შეჯიბრებაა, რომელიც საბოლოოდ გამოავლენს ოლიმპიადის მონაწილეებს. ცხადია, ჩვენი ნაკრებიც საბოლოოდ მისი დასრულების შემდეგ დაკომპლექტდება და ივნისში სწორედ ეს ოლიმპიური გუნდი გაივლის ბოლო შემოწმებას მადრიდში. ამის შემდეგ ნაკრებში მზადების საშეკრებო ეტაპზე გადავა და ოლიმპიადამდე დარჩენილ დროში მადრიდსა თუ სხვა ტურნირებზე გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად იმუშავებს. დასკვნითი ტურნირი - ოლიმპიური თამაშები კი აგვისტოშია.

ჩამოთვლილ ტურნირთა გარდა, ნაკრების სათადარიგო შემადგენლობა რამდენიმე ნაკლებპრესტიჟულ ტურნირშიც გამოვა, მაგრამ უმთავრესი ანუ ოლიმპიადისთვის ძირითადი მოსამზადებელი შეჯიბრებები ზემოჩამოთვლილებია.

ეროვნულ გუნდზე საუბარი მათი უახლოესი - დეკემბრის გეგმებით დავასრულოთ. როგორც გითხარით, ამ შაბათს ნაკრების რამდენიმე წევრი - **გიორგი ყიზილაშვილი, ლევან რაზმაძე, ადამ ოქრუაშვილი, ზვიად ხანჯალიაშვილი** და **ვახტანგ ზოიძე** ვარშავაში, ევროპის აბსოლუტურ პირველობაში იჭიდავებენ. 7-8 დეკემბერს თბილისში, ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდება, რომელმაც თბილისის მსოფლიო თასის მონაწილენი უნდა გამოავლინოს. პრაქტიკულად, ის ბირთვი უნდა გამოავლინოს, რომელიც გაისად საერთაშორისო ტურნირებში უნდა გამოვიდეს. ეს ბირთვი 15 დეკემბრიდან ბაკურიანში საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებას გაივლის, 26-27 იანვარს კი თბილისის ტურნირია.

სულ ბოლოს, რუსეთიდან მოსული ორიოდ საინტერესო ინფორმაციაც. ახლახანს იქ ეროვნული პირველობა დამთავრდა, თუმცა ლიდერთა უმეტესობას არ უჭიდავია. სამაგიეროდ, იასპარეზა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა მძიმეწონოსანმა **ალექსანდრ მიხაილინმა**, რომელმაც წლევანდელი სეზონი პირწმინდად ჩააგდო. მან მძიმე წონაში გაიმარჯვა და რეპუტაცია ცოტათი აღიდგინა, მაგრამ ბევრისთვის მოულოდნელად, აბსოლუტურში მხოლოდ მესამეზე გავიდა. ჩემპიონატში ოლიმპიურმა პრიზიორმა **დმიტრი ნოსოვმაც** (81) იჭიდავა, თუმცა წარუმატებლად, რამაც სპორტიდან წასვლა აიძულა. ყოველ შემთხვევაში, ათენის ოლიმპიადის შემდეგ რუსეთში ლამის გმირად შერაცხულმა და ქვეყნის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის უსაყვარლეს ფალავნად ქცეულმა მოჭიდავემ ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა. შეგახსენებთ, რომ ათენში მან ბრინჯაოსთვის ტრავმირებული ხელით იჭიდავა, მაგრამ მაინც მოიგო და სამშობლოში გმირადაც ამან აქცია.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**რაგბი**



გიორგი ჩხაიძე

ლეგიონერები

# სამნი სათავეში

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალურ დივიზიონშებში ექვსი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილის სათავეში ქართველ მორაგბეთა სამი გუნდი მოექცა: „ბობინი“, „ორლეანი“ და „პერიგო“. პირველი წრის დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა და უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ ელიტარულ მეორე დივიზიონში გადასასვლელად სწორედ ეს გუნდები იბრძოლებენ.**

ფედერალ 1-ის A ჯგუფში ორივე ლიდერმა „ორლეანმა“ და „ბობინიმ“ გასვლით შეხვედრებში მარცხი იგემეს. **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანი“ ვანში დამარცხდა ადგილობრივ გუნდთან 6:18. აბუსერიძე თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო. **შალვა სუთიაშვილისა და დავით გასვიანის** „ბობინიმ“ სტუმრადვე წააგო **სოსო ნიკოლაენკოს** „რუანთან“ 12:19. ქართველებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

საკუთარ მოედანზე დაამარცხა აუტსაიდერი „პუატიე“ **სანდრო ესაკიას** „სენ ნაზერმა“ 42:7. ესაკია განაცხადში არ იყო. შინ დამარცხდა „ტურთან“ **დიმა ხოჭოლავას** „სერჟი პონტუაზი“ 6:16. ხოჭოლავას თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

ფედერალ 1. A ჯგუფი. **1. ბობინი - 19 ქულა, 2. ორლეანი - 18,** 3. ტური - 18, **4. რუანი -** 17, 5. ვანი - 15, **6. სენ ნაზერი** - 14, **7. სერჟი პონტუაზი** - 10, 8. პუატიე - 5.

B ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ხუთი გუნდიდან ხუთივე სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფება. ყველაზე უკეთესი შედეგი დღეისთვის **ელიზბარ ყუფარაძის** „ვილერბანს“ აქვს, რომელმაც მე-6 ტურში შინ წააგო ერთ-ერთ ლიდერ „შალონთან“ 11:21. ყუფარაძე თამაშში 58-ე წუთიდან ჩაერთო.

**ზურაბ მჭედლიშვილის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **გიორგი ნემსაძის** „დომონმა“ შინ ერთპიროვნული ლიდერის „ბურგ ან ბრესის“ დამარცხება შეძლო 33:13. მჭედლიშვილმა, რომელმაც თავიდან ბოლომდე ითამაშა, 62-ე წუთზე ლელო გაიტანა. თავიდან ბოლომდე ითამაშა ნემსაძემაც, მარგველაშვილი კი 33-ე წუთზე შეცვალეს.

**პალიკო ჯიმშელაძის** „შამბერიმ“ საკუთარ მოედანზე **რატი ურუშაძის** „ლონსს“ სძლია 23:12. ურუშაძე 49-ე წუთზე შეცვალეს. ჯიმშელაძეს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. სტუმრად დამარცხდა "დიჟონთან" **გიორგი ჩხაიძის, ვიქტორ დიდებულიძის** და **დავით დადუნაშვილის** „მასი“ 30:11. მასელებმა ყველასათვის მოულოდნელად ექვსი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგეს. დიდებულიძემ და ჩხაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშეს.

B ჯგუფი. 1. ბურგ ან ბრესი - 20 ქულა, 2. შალონი - 20, 3. დიჟონი - 19, **4. ვილერბანი - 13, 5. დომონი - 12, 6. ლონსი - 10, 7. შამბერი - 9, 8. მასი - 6.**

C ჯგუფში კვლავ ცხრილის ფსკერზეა **დიმა პავლოვის** „ნიცა“. ნიცელები ამჯერად სტუმრად დამარცხდნენ „ბედარიდესთან“ 10:14. „ნიცა“ ექვსი ქულით ბოლო, მე-8 ადგილზეა. პავლოვს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

D ჯგუფში ანალოგიურ მდგომარეობაშია **ირაკლი გუნდიშვილის** „მიიო“, რომელიც სტუმრად დამარცხდა „კასრთან“ 14:31. გუნდიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 63-ე წუთზე შეცვალეს.

F ჯგუფში მეექვსე ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი გახდა **თედო ზიმზიბაძის** „პერიგო“, რომელმაც შინ დაამარცხა „სენ ჟან დე ლუზი“ 34:12. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

ფედერალ 2-ში საგრძნობლად გაიუმჯობესეს მდგომარეობა ქართველ მორაგბეთა გუნდებმა „ლილმა“ და „მონლუსონმა“ A ჯგუფში **დავით ბოლაშვილის** „ლილმა“ სტუმრად მოუგო „კლამარს“ 25:10. „ლილი“ 15 ქულით ახლა მეორე ადგილზეა და ლიდერ „სერესნეს“ სამი ქულით ჩამორჩება.

B ჯგუფში 15 ქულა დააგროვა და მესამე ადგილზეა **ლევან დათუნაშვილისა** და **რეზო გიგაურის** „მონლუსონი“, რომელმაც შინ მშრალი ანგარიშით დაამარცხა „ვიენი“ 41:0. „მონლუსონი“ ლიდერ „მონმელიანს“ სამი ქულით ჩამორჩება.

H ჯგუფში მორიგი გამარჯვება მოიპოვა **ბადრი ხეხელაშვილის** „კონიაკმა“, რომელმაც შინ „სენ მედარი“ დაამარცხა 26:18. „კონიაკი“ 13 ქულით მე-5 ადგილზეა.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**ჭადრაკი**

# კატალონია, ბასკეთი, ოსეთი...



ანა მათნაძე

2007 წლის ზაფხულში სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელდასმით და მონდომებით შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ჭადრაკის რეგიონალური ფედერაცია, რომლის პრეზიდენტიც ქალბატონი **მაია ცაბოშვილი** გახდა. ვიცე-პრეზიდენტად ბატონი **მურად იზორია** აირჩიეს, გენერალურ მდივნად კი - **ლაშა ცაბოშვილი**. მიზნები და ამოცანები, ცხადია, გასაგებია, - რეგიონში ჭადრაკის განვითარება, პოპულარიზაცია და ნიჭიერი თაობების აღმოჩენა-დაფრთიანებაა. თუმცა, როგორც ნებისმიერი ახალდაწყებული საქმე თავიდან უამრავ სირთულეს ხვდება განვითარების გზაზე და შედეგებიც უმალ არ მოდის. ასევე იქნება ამ ფედერაციის შეთხვევაშიც, მაგრამ მთავარი კეთილი ნება და მონდომება, რომელიც ნამდვილად გააჩნიათ ფედერაციის ხელმძღვანელობას:

დაწყება რთული კია, მაგრამ რალაცით ხომ უნდა დაიწყო მაინც და ვფიქრობთ სამხრეთ ოსეთის ფედერაციამ მძლავრი ნაბიჯი უკვე გადადგა - საკმაოდ საინტერესო ტურნირში მოავლინა ოთხკაციანი გუნდი: 27-დან 29 ნოემბრის ჩათვლით, ესპანეთში, კერძოდ კატალონიის უმშვენიერეს დედაქალაქ ბარსელონაში, ტრადიციული ტურნირი - ოთხი ერის პირველობა იმართება, სადაც სხვადასხვა ქვეყნის რეგიონების წარმომადგენლები ეჯიბრებიან ერთმანეთს. ეს შეიძლება იყოს ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებიც. ბარსელონაში თამაშობდნენ ესპანური პროვინციები - კატალონია, ბასკეთი, ვალენსიის მხარე, აგრეთვე შოტლანდიური და პორტუგალიური გუნდები.

ვინაიდან სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე დღეისთვის არ მოიძებნება რამდენიმე ძლიერი მოჭადრაკე, ამიტომ გუნდის შემადგენლობა დანარჩენი საქართველოს მოჭადრაკეებისგან შედგა. გუნდში მხოლოდ ქალბატონები არიან: **მაკა ფურცელაძე, თამარ ხმიადაშვილი, ნინო ანაკიძე და დეა გოგიშვილი.** შემადგენლობიდან ჩანს, რომ წევრთა ასაკი შეზღუდული არ იყო.

ვიდრე შედეგებზე მოგახსენებდეთ, აუცილებელია აღინიშნოს, რომ ამ ტურნირში მონაწილეობა ვერ მოხერხდებოდა, რომ არა ბარსელონაში მცხოვრები ქართველი დიდოსტატის **ანა მათნაძის** ძალისხმევა და ადგილობრივ საჭადრაკო ჩინოვნიკთა ანასადმი კეთილგანწყობა. მოგეხსენებათ ანა ყოველწლიურად ახერხებს და შეღავათიანი პირობებით ქართველ მოჭადრაკეებს ესპანურ ტურნირებში თამაშის საშუალებას აძლევს. როგორც ჩანს ეს ურთიერთობები უფრ ღრმავდება და ფართოვდება. თავის მხრივ, კატალონიელებიც კმაყოფილნი არიან თანამშრომლობით და ქართველებთან ურთიერთობაზე უარს არ ამბობენ. ცხადია, ანას მადლობა ეთქმის, თუმცა ანაც მადლიერი უნდა იყოს, თანამემამულეები რომ უმართლებენ არჩევანს...

შედეგები კი ისეთი იყო, როგორც ჩვენ ველოდით: ქართველმა ერთობამ იოლად დაამარცხა მეტოქეები და პირველ ადგილზე დაასრულა ტურნირი. ეჭვი არ არის, მომავალ წელსაც მიიწვევდნენ ჩვენებურებს და ვინ იცის, ეგ სხვა მრავალ ტურნირშიც კი მიალებინონ მონაწილეობა. ამის შესახებ ქართველთა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შევიტყობთ, თუმცა რამდენიმე კვირა მოცდა მაინც მოგვიწევს: ჩვენებურები ხვალვე ქალაქ ბანიოლესში მიემგზავრებიან საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ. ალბათ მიხვდით, რომ ესეც ერთიანი გეგმის ნაწილია, რომელსაც ანა მათნაძე უწევს კოორდინაციას.

**ზვიად შათირიშვილი**

**ჩოგბურთი**

## პირველი წრე გადალახეს

ესპანეთის ქალაქ კასტელონში ვალ დე უხოს კორტებზე ქალ ჩოგბურთელთა ტურნირის (10 ათასი დოლარი) პირველმა წრემ ერთი დღით დაიგვიანა, ამის მიზეზი უამინდობაა. თუმცა პირველი რაუნდის მატჩები უკვე გაიმართა, ორივე ქართველმა მონაწილემ შეძლო მერვედფინალში გასვლა. მერვე ნომრად განთესილმა **მანანა შაფაქიძემ** „უაილდ ქარდით“ მიწვეულ **ლაურა მირედევილიას** მოუგო - 6:3, 6:2. **სოფიო ქვაცაბაიას** მატჩი ფრანგ **ოლივია კრუშესთან** უფრო ცოტა ხანს გაგრძელდა, 6:2-ის შემდეგ ფრანგმა ბრძოლა აღარ გააგრძელა. მერვდფინალში შაფაქიძეს კვლავ უცნობი სუსტი მეტოქე ელის, მსოფლიოს 1001-ე ჩოგანი სლოვენიელი **ტაია მოჰორჩიჩი**. ქვაცაბაიას მეტოქე 15 წლის რუსი **ანა მარენკოა.**

## ბასილაშვილი მერვედფინალშია

ამერიკაში ედი ჰერის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც პირველი კატეგორიისაა 16-წლამდელთა შორის ქართველი **ნიკოლოზ ბასილაშვილი** ყოჩაღობს, მე-14 ნომრად განთესილმა მეორე წრეშიც იმარჯვა, ბასილაშვილმა ამჯერად ავსტრიელ **პეტერ ტაუხნერს** მოუგო - 6:3, 6:0. ბასილაშვილი მერვედფინალშია, სადაც საკვალიფიკაციო ტურნირიდან გამოსულ **ფრედერიკო გაიოს** ხვდება.

**უშუ**



ლევან ბექაური და კახა ბასილია

# საქართველოს თასი ლოტოსს

საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაცია (პრეზიდენტი **კახა ბასილია**) წლის შედეგებს აჯამებს და საგაისო პრიორიტეტებს განსაზღრავს.

ჯერ ტურნირზე ვთქვათ. ამ დღეებში თელავში, უშუში საქართველოს თასი გათამაშდა თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ახმეტის და თელავის სპორტსმეთა მონაწილეობით. მთავარ პრიზს რუსთავის „ლოტოსი" დაეუფლა. პირად პირველობაში წარმატებით იასპარეზეს ქუთაისელებმა, რომლებმაც საბოლოო ჯამში ჯილდო დაისაკუთრეს. აღსანიშნავია, რომ ტურნირში ტაეკვონდოს და კარატე-დოს გუნდებიც გამოდიოდნენ.

გუშინ, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე კახა ბასილიამ და უშუს ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ბექაურმა** ვრცლად ილაპარაკეს, როგორც თელავის ტურნირზე, ისე წლის მიღწევებსა და მომავლის გეგმებზე. ითქვა, რომ 2008 წლიდან კონფედერეცია იმუშავებს ძირითადად 4 სტრატეგიული მიმდინარეობის განვითარებაზე. ესაა ტაეკვონდო, კარატე, უშუ და კიკბოქსინგი. უშუ-კუნფუ გაერთიანდა უშუასთან და ერთ ფედერაციად ჩამოყალიბდა. სპორტის დეპარტამენტში განიხილება საკითხი მსოფლიო, ევროპის და „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირებში წარმატებები ხსენებულ 4 სახეობაში გათანაბრდეს სპორტის ოლიმპიურ სახეობებში მიღწევებთან და სპორტსმენებს დაენიშნოთ სტიპენდია.

კახა ბასილია: „მნიშვნელოვანია, რომ საქართველო საბრძოლო ხელოვნებაში სულ უფრო უახლოვდება საერთაშორისო სტანდერტებს. სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრა, ამ მიმართულებით ჩვენს საქმიანობაში შემდგომ წინსვლას ემსახურება. თელვის ტურნირი მაღალ დონეზე ჩატარდა, მისდამი ინტერესი კი საბრძოლო ხელოვნების რჩეულ ოსტატთა მონაწილეობამაც განაპირობა.“

ლევან ბექაური: „ჩვენი წარმატება, ვფიქრობ, ორი ფედერაციის გაერთიანებამ განაპირობა. თელავში ასპარეზობის ჩატარება კი, უდავოა, ხელს შეუწყობს ამ რეგიონში უშუს პოპულარობის გაზრდას. მივესალმებით ტურნირში ტაეკვონდოს და კარატე-დოს ოსტატთა მონაწილეობას. ეს ტენდენცია მომავალშიც უნდა გაგრძელდეს. საერთაშორისო სპორტული სარბიელისკენ გზა ყველა რჩეულისთვის ხსნილია“.

**გიორგი [illegible]ანიშვილი,**
*სპორტის დეპარტამენტის პრესცენტრი*

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

| სტატისტიკა | | |
|---|---|---|
| აზოტი-ვითა | | 82:61 |
| თსუ-დინამო | | 89:95 |
| ავიამშენი-მაკაბი | | 93:94 |
| **ქულა** | **თ** | **ქ** |
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 5 | 27.8 |
| 2. ბელტონ რივერსი (აზოტი) | 3 | 25.6 |
| 3. გიორგი ნიკოლაძე (ავიამშენი) | 5 | 20.8 |
| 4. შიო ხეცურიანი (თსუ) | 5 | 19.4 |
| 5. არჩილ ჟღენტი (დინამო) | 5 | 18.0 |
| 6. ვლადიმერ ბეჟანიშვილი (ვითა) | 5 | 17.0 |
| 7. იოვან სტეფანოვი (აზოტი) | 5 | 16.8 |
| 8. კოტე ტულუში (ავიამშენი) | 5 | 15.8 |
| 9. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) | 5 | 15.6 |
| 10. მიხეილ ფანჩულიძე (თსუ) | 5 | 14.8 |
| **მოხსნა** | **თ** | **მ** |
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 5 | 16.0 |
| 2. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) | 5 | 14.2 |
| 3. იოვან სტეფანოვი (აზოტი) | 5 | 10.2 |
| 4. რევაზ ათანელიშვილი (დინამო) | 5 | 7.8 |
| 5. ზვიად ბაბიაშვილი (აზოტი) | 5 | 7.4 |
| 6. პლასიდე როდუმტა (ავიამშენი) | 4 | 7.2 |
| 7. სოსო შერმადინი (მაკაბი) | 5 | 7.0 |
| 8. ლექსო ლაფანაშვილი (დინამო) | 5 | 6.6 |
| 9. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 5 | 6.4 |
| 10. დავით ბერძენიშვილი (ვითა) | 5 | 6.2 |
| **პასი** | **თ** | **პ** |
| 1. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 5 | 5.6 |
| 2. ბელტონ რივერსი (აზოტი) | 3 | 5.6 |
| 3. კოტე ტულუში (ავიამშენი) | 5 | 5.2 |
| 4. ლაშა გამყრელიძე (აზოტი) | 5 | 5.0 |
| 5. შიო ხეცურიანი (თსუ) | 5 | 4.2 |
| 6. გიორგი მარხვაშვილი (თსუ) | 5 | 3.4 |
| 7. ირაკლი ხოშტარია (ავიამშენი) | 5 | 3.2 |
| 8. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 5 | 2.2 |
| 9. გიორგი ნიკოლაძე (ავიამშენი) | 5 | 2.2 |
| 10. გიორგი გულისაბედაშვილი (დინამო) | 5 | 1.7 |
| **ჩაჭრა** | **თ** | **ჩ** |
| 1. ლაშა გამყრელიძე (აზოტი) | 5 | 3.4 |
| 2. მიხეილ ჩიტაშვილი (თსუ) | 5 | 3.4 |
| 3. დავით ბერიშვილი (მაკაბი) | 5 | 52.3 |
| 4. ირაკლი ბერიშვილი (მაკაბი) | 5 | 2.2 |
| 5. ირაკლი ხოშტარია (ავიამშენი) | 5 | 2.0 |
| 6. ბელტონ რივერსი (აზოტი) | 3 | 2.0 |
| 7. მიხეილ ბერიშვილი (ვითა) | 5 | 1.8 |
| 8. პლასიდე როდუმტა (ავიამშენი) | 5 | 1.75 |
| 9. ნიკოლოზ ნოზაძე (ვითა) | 5 | 1.6 |
| 10. არჩილ ჟღენტი (დინამო) | 5 | 1.6 |
| **დაფარება** | **თ** | **დ** |
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 5 | 4.6 |
| 2. ანვარ ფერგიუსონი (აზოტი) | 2 | 3.0 |
| 3. რიჩარდ მათიაშვილი (თსუ) | 5 | 1.6 |
| 4. პლასიდე როდუმტა (ავიამშენი) | 5 | 1.2 |
| **შეცდომა** | **თ** | **შ** |
| 1. გიორგი შერმადინი (მაკაბი) | 5 | 7.8 |
| 2. რევაზ ათანელიშვილი (დინამო) | 5 | 4.2 |
| 3. გულივერ ახალკაცი (დინამო) | 5 | 4.0 |
| 4. ვლადიმერ ბეჟანიშვილი (ვითა) | 5 | 4.0 |
| 5. დავით ბერძენიშვილი (ვითა) | 5 | 3.6 |

საქართველოს ჩემპიონატი. VI ტური. საუკეთესო მოთამაშე. არჩილ ჟღენტი

## ნაგებული როგორ ამირჩიეს?



არჩილ ჟღენტი (მარცხნივ)

საქართველოს ჩემპიონატის მეექვსე ტურში უპრეცედენტო რამ მოხდა - ორ მატჩში გამარჯვებულის გამოსავლენად დამატებითი დროის დანიშვნა გახდა საჭირო. „მაკაბიმ" სეზონში მეორე მოგებას ოვერტაიმში „ავიამშენთან" მიაღწია. ამ გამარჯვებაში თავისი წვლილი მაკაბელთა უკანახაზელებმა შეიტანეს, ხოლო საუკეთესო 216 სმ. სიმაღლის ცენტრი **გიორგი შერმადინი** იყო. მან 29 ქულა, 11 მოხსნა და 8 დაფარება მიითვალა.

მეორე შეხვედრაში „დინამომ" ასევე დამატებით დროში თსუ-ს სძლია. გამარჯვებულთა რიგებში **ლექსო ლაფანაშვილი** და **ირაკლი გულისაბედაშვილი** გამოირჩნენ. ტურის საუკეთესო კალათბურთელად კი მათი თანაგუნდელი **არჩილ ჟღენტი** დასახელდა. აჩიკომ 29 ქულა, 6 ჩაჭრა, 2 მოხსნა და 2 შედეგიანი გადაცემა მოაგროვა. შეგახსენებთ, რომ ჟღენტს კარიერა დასრულებული ჰქონდა, „დინამოს" სკოლაში ბავშვებს ავარჯიშებდა, მაგრამ საზონის დასაწყისში მოედანზე დაბრუნების გადაწყვეტილება მიიღო და ფორმა იმდენად სწრაფად აკრიფა, რომ მე-6 ტურში MVP-ს ჯილდო მოიპოვა.

- ალიარებისთვის ყველას მადლობას მოვახსენებ, მაგრამ ნამდვილად არ მეგონა რომ საუკეთესოდ მე დამასახელებდნენ.

**- რატომ?**

- წინა ტურში გაცილებით უკეთესად გავისარჯე, თან მატჩიც მოვიგეთ და მაშინ „დინამოდან" არავინ დაუსახელებიათ. საუკეთესო ნაგებული თსუ-დან აირჩიეს... მე-5 ტურის MVP-ს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, უბრალოდ შერჩევის პრინციპს არ ვეთანხმები.

**- „დინამო"-თსუ-ს მატჩზე რას იტყვი?**

- გუნდი ახალგაზრდულია და მაღალ მიზნებთან შესაჭიდებლად დიდი შრომა გვჭირდება. საზონის დასაწყისში სათანადო ფორმაში არ ვიყავით, შემდეგ ნელ-ნელა შევთამაშდით და ამიტომაცაა, ზედიზედ ორი მატჩი რომ მოვიგეთ. თსუ-სთან გამარჯვებაც ლოგიკური იყო.

**- შენც სათანადო ფორმაში ხარ...**

- ადრეც დავწერე, რომ რუსთავის გუნდიდან დათხოვის გამო გულგატეხილი ვიყავი. კარიერის დასრულებაც გადავწყვიტე და ორწლიანი დასვენების შემდეგ მწვრთნელობას მივყავი ხელი. ამ სეზონის წინ „დინამოს" მწვრთნელ ზაზა ცაგარეიშვილს ვთხოვე, ვივარჯიშებ და თუ სათანადო კონდიციებს მივაღწევ, ჩემპიონატში მათამაშე-მეთქი. მისი პროგრამით ვემზადებოდი და, როგორც ბოლო ტურების მატჩებმა გვიჩვენა, ფორმაშიც შევედი. ვეცდები ჩემი გამოცდილება „დინამოს" ბოლომდე მოვახმარო და თანაგუნდელებთან ერთად თამაში კიდევ უფრო გავაუმჯობესო.

**- ბავშვებს კვლავაც წვრთნი?**

- „დინამოში" ორ ასაკობრივ გუნდს ვავარჯიშებ, 15-16 წლის და 10-11 წლის პატარებს. 1991 წელს დაბადებულებს საქართველოს ჩემპიონატში ვათამაშებ. უმცროსებისთვის კი პირველობები არ იმართება.

ვაჟა სიმონიშვილი



ბელტონ რივერსი

## რივერსი საფრანგეთში მოეწყო

ამერიკელმა **ბელტონ რივერსმა** რუსთავის „აზოტი" 7 ნოემბერს დატოვა. მას შემდეგ იგი დასავლეთ ევროპაში ეძებდა შესაფერის კლუბს. რუსთაველთა მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** გვითხრა, რომ ბელტონი ესპანეთში აპირებდა კარიერის გაგრძელებას, მაგრამ ფრანგული წყაროებიდან ახლახან მიღებული ინფორმაციით რივერსი „ნანტერში" ჩაირიცხა.

ამ გუნდის ოფიციალურ საიტზე ნათქვამია, რომ 23 წლის ამერიკელმა გუნდში ერთკვირიანი სინჯები წარმატებით გაიარა და „ნანტერთან" ერთწლიანი ხელშეკრულებაც გააფორმა. ვინაიდან საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე ლიგაში ლეგიონერებზე მკაცრი ლიმიტია, ბელტონის განაცხადში შესაყვანად ფრანგებს მისი თანაამპლუელი რალფი ჰოლმსის დათხოვა მოუწიათ.

რივერსმა „ნანტერის" მაისურით სადებიუტო მატჩი მაღალ დონეზე ვერ ჩაატარა - 25 წუთში 6 ქულა ჩააგდო(6 ორქულიანიდან, 5 სამიანიდან და 2 საჯარიმოდან მხოლოდ თითო გამოიყენა).

„ნანტერმა" „ბურგთან" შინ 65:73 წააგო და მეორე ლიგის სატურნირო ცხრილში მეხუთედან მეცხრე ადგილზე გადაინაცვლა.



ქართველები NBA-ში

## ისტორია მეორდება: ზაზა საუკეთესო მატჩს მილუოკისთან ატარებს

„ატლანტას" ქართველმა ფორვარდმა **ზაზა ფაჩულიამ** მიმდინარე სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა: 27 წუთში სარეკორდო 14 ქულა და 8 მოხსნა მიითვალა. მისი შემწეობით „ჰოქსმა" ზაზას ყოფილი კლუბი „მილუოკი ბაქსი" დაამარცხა - 96:80.

*„ჩემს დაბადების დღეს ლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერის წინააღმდეგ ვთამაშობდით და იმედი მქონდა, რომ იუბილეზე „ბაქსიც" გამახარებდა, მაგრამ მეტოქის რიგებში ცენტრი ზაზა ფაჩულია ვერ შევაჩერეთ, უშეცდომოდ ისროლა და ის მატჩი წავაგეთ."* - გგონიათ „მილუოკის" გენერალურმა მენეჯერმა ლარი ჰარისმა ეს გუშინ თქვა? მისი სიტყვები გუშინდელ შეხვედრასაც მიესადაგება, „ატლანტამ" „ბაქსი" სწორედ ქართველის დახმარებით დაამარცხა, მაგრამ ლარი ჰარისმა ეს ფრაზა 2003 წელს წარმოთქვა, მაშინ როცა ფაჩულია „ორლანდოდან" „მილუოკიში" გადაჰყავდა. მას მერე 4 წელი გავიდა, ზაზამ „ბაქსიდან" „ატლანტას" მიაშურა და ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ახლაც სწორედ ისე ითამაშა, როგორც 2003 წელს.

„ორლანდოს" მაისურით ჩატარებული ზემოთნახსენები მატჩი ქართველი ცენტრისთვის შემობრუნების წერტილად იქცა. იმედი დავიტოვოთ, რომ ამჯერადაც ასე იქნება. შეიძლება იკითხოთ, რა სჭირს ზაზას შემოსაბრუნებელი? გიპასუხებთ: სეზონის წინ მიღებული ტრავმისა და გუნდში ელ ჰორფორდის გამოჩენის შემდეგ ზაზას სათამაშო დრო 18-20 წუთამდე შეეზღუდა, ამასთან მწვრთნელი **მაიკ ვუდსონი** მას ბოლო მეოთხედში არ ენდობოდა. „მილუოკისთან" გუშინდელ მატჩში კი ყველაფერი პირიქით მოხდა - „ატლანტას" 27-მა ნომერმა 27 წუთი ითამაშა და გადამწყვეტ მეოთხედში (რომელიც „ჰოქსმა" 23:14 მოიგო) 8 ქულა ისე ჩააგდო, რომ ერთი ტყორცნაც არ აუცილებია. შეხვედრის საფინალო ანგარიშიც ფაჩულიას ზუსტი საჯარიმოს შემდეგ დაფიქსირდა - 96:80.

მეოთხე პერიოდზე განსაკუთრებულად ისაუბრა „ატლანტას" მთავარმა მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა: *„მატჩის ბოლოს ხარისხიანი კალათბურთი ვითამაშეთ. მწყობრი გარჯით მეტოქეს ფარისკენ სავალი გზაც გადავუკეტეთ და პერიმეტრზეც შევზღუდეთ. კარგი იქნება თუ ყოველ მატჩში ასეთ დაცვას დავაყენებთ. „მილუოკისთან" გამარჯვება „მაიამისთან" და „მინესოტასთან" გასვლითი მოგებების შემდეგ ჩემს ბიჭებს მეტ თავდაჯერებას შესძენს."*

საინტერესო იყო გაზეთ „ატლანტა კონსტიტუშენში" გამოქვეყნებული მიმოხილვის ართი აბზაცი: *„ზაზა ფაჩულიამ „მილუოკის" კიდევ ერთხელ შეახსენა თავი. 2 წლის წინ იგი „ბაქსის" ხელმძღვანელებმა თავისუფალ აგენტთა ბაზარზე გაუშვეს და სპეციალისტთა ალიარებით დიდი შეცდომაც მოუვიცა, რომ NBA-ში ერთ-ერთი ყველაზე ღირებულ ცენტრთაგანია. როცა მას თამაში მისდის „ატლანტას" ჯოკერადაც იქცევა-ხოლმე. ათამაშებული ფაჩულია ფარქვეშ ბურთს თუ მოიგდებს, ერთი მეტოქის ჩამოცილება არ უჭირს და 2 ქულაც მზადაა. ერთადერთი, ვინც ფორმაში მყოფ ფაჩულიას სჯობს, კაპიტანი ჯო ჯონსონია."*

„ბაქსთან" საშინაო წარმატებამ სამხრეთ-ალმოსავლეთის დივიზიონის სატურნირო ცხრილზეც იმოქმედა - „ატლანტა ჰოქსი" მეოთხედან მესამე ადგილზე გადავიდა.

ჯორჯიელები მორიგ მატჩს ატლანტას „პეპსი არენაზე" 30 ნოემბერს გამართავენ. მათი მეტოქე „ნიუ ორლეანი" იქნება.

ვაჟა სიმონიშვილი

**ატლანტა-მილუოკი 96:80**

28:28, 24:14, 21:24, 23:14

ატლანტა: ე. ჯონსონი (6ქ, 6პ), ჯ. ჯონსონი (21ქ), ჯ. სმიტი (10ქ, 8მ, 7პ, 5დ), უესტი (4ქ), ჰორფორდი (12ქ, 6მ), ზაზა ფაჩულია (27 წუთი, 14 ქულა, 8 მოხსნა, 1 შეცდომა, 2 ფოლი), ჩილდრესი (12ქ, 6მ), ლიუ (11ქ), შ. უილიამსი (6ქ)

მილუოკი: მ. უილიამსი (23ქ, 9პ), რედი (24ქ), აიი (6ქ), მეისონი (2ქ), ბოგუტი (18ქ, 11მ), სიმონსი (5ქ), ვილიანოვა, ბელი, გაძურიჩი (2ქ), აივი, ვასკული

| ფაჩულიას მონაგარი | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 1:22 | ფაჩულიამ ჰარფორდი შეცვალა |
| 1:00 | მოხსნა: 1 (შეტ:0, დაც:1) |
| 0:44 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| **II პერიოდი** | |
| 10:45 | მოხსნა: 2 (შეტ:0, დაც:2) |
| 10:31 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 9:24 | ორქულიანი ტყორცნა: 2ქ (34:28) |
| 4:28 | ფოლი: 1 |
| 3:43 | მოხსნა: 3 (შეტ:0, დაც:3) |
| 3:25 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 3:25 | მოხსნა: 4 (შეტ:1, დაც:3) |
| 2:58 | შეცდომა: 1 (ბურთი დაკარგა) |
| 2:20 | ორქულიანი ტყორცნა: 4ქ (50:34) |
| 0:05 | ფაჩულია სმიტმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 2:14 | ფაჩულიმ ჰორფორდი შეცვალა |
| 1:36 | ორქულიანი ტყორცნა: 6ქ (71:63) |
| 1:19 | ფოლი: 2 |
| 0:00 | მოხსნა: 5 (შეტ:1, დაც:4) |
| 0:00 | სამქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| **IV პერიოდი** | |
| 8:17 | მოხსნა: 6 (შეტ:2, დაც:4) |
| 8:04 | საჯარიმოები: 2\2, 8ქ (82:74) |
| 7:17 | ორქულიანი ტყორცნა: 10ქ (84:74) |
| 5:08 | ორქულიანი ტყორცნა: არაზუსტი |
| 4:02 | მოხსნა: 7 (შეტ:3, დაც:4) |
| 2:11 | საჯარიმოები: 2\2, 12ქ (92:76) |
| 0:56 | მოხსნა: 8 (შეტ:3, დაც:5) |
| 0:11 | საჯარიმოები: 2\2, 14ქ (96:80) |

ატლანტა: 6 მოგება, 8 წაგება. მე-3 ადგილი სამხრეთ-ალმოსავლეთ დივიზიონში

ეროვნული ბიბლიოთეკა

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ოქროს დრაფტის მოგონებები



შეტევაზე იაო მინი

2002-ში ერთ-ერთი მდიდარი, ნიჭიერი ხალხით დახუნძლული დრაფტი ჰქონდა, რომლის შედეგად "დენვერმა" **ნიკოლოზ ცქიტიშვილი** აირჩია (ამ არჩევანს კოლორადოელთა თანაბოსის, **კიკი ვანდევეგეს** გუნდიდან გაშვება მოჰყვა), "ჰიუსტონმა" არჩევანი **იაო მინზე** შეაჩერა, ხოლო "ფინიქსმა" კი **ამარე სტაუდმაიერი** აიყვანა. მას მერე, "როკეტსისა" და "სანზის" ჯახები ყოველთვის განსაკუთრებულია და ეს ორი ბუმბერაზიც მატჩებს განსაკუთრებულ ხიბლს სძენს. ასე იყო ამჯერადაც, როდესაც მორიგი დღის ცენტრალურ შეხვედრაში არიზონელებმა ტეხასელებს უმასპინძლეს.

მორბენალი "ფინიქსი" დღესაც მაგრად უტევს და "გოლდენ სტეიტთან" ერთად ყველაზე უხვქულიანიცაა, ხოლო "ჰიუსტონი" კი გუნდში **რიკ ადელმანის** მისვლის მერე, უსახურ, ნელ გუნდად აღარ ითვლება და პირველივე შესატევ შანსს იყენებს.

ზედიზედ ექვსი წაგების მერე, "როკეტსი" ნელ-ნელა აუმჯობესებს თამაშის ხარისხს და მორიგი გამარჯვებით წარმატებული სერია სამამდე გაზარდა, იაომ კი ამაში უდიდესი როლი ითამაშა.

ჩინელმა გიგანტმა თამაშიდან ბედი 19-ჯერ სცადა და მხოლოდ 7 სროლა ვერ გამოიყენა, მაგრამ იმდენად აგრესიული და მონდომებული იყო, რომ მის წინააღმდეგ **მაიკ დენტონის** გუნდის ვერცერთმა დაცვითმა სქემამ ვერ გაჭრა.

იაოს დენტონიმ თავიდან ამარე ამოუყენა გვერდით, მაგრამ ეს სვლა თავიდანვე განწირული იყო, რადგან სტაუდმაიერი შეტევაში თავისი მრავალფეროვანი არსენალის პარალელურად, დაცვაში ძალიან სუსტია. ჰოდა, მინმა ქულა-ქულაზე რომ აკრიფა, ამარეს ადგილი გაცილებით კარგმა დამცველმა, **შონ მერიონმა** დაიკავა და მინიც ოდნავ მაინც დაამუხრუჭეს.

ცხადია, ჩინელი ცენტრის ფეერიულ გამოსვლას ხელი **ტრეისი მაკგრეიდიმაც** შეუწყო, რომელიც მასპინძელთა დაცვის დიდ ყურადღებას იპყრობდა და იაოს მომენტებში დიდი სივრცე უთავისუფლდებოდა.

*"ჩემი მიზანი მეტოქის დაცვის დეზორგანიზებაა, რადგან რაც არ უნდა მაგრად იდგეს ჩვენი ოპონენტი დაცვაში, ერთდროულად, ჩემი და იაოს განეიტრალება მაინც ძალიან რთული, ალბათ, შეუძლებელია"*, - ამბობდა ნამატჩევს ტრეისი, რომელმაც თამაშიდან 19-დან 12, ხოლო საჯარიმოს ხაზიდან კი სულაც 8-დან 5 სროლა გააფუჭა.

მაკგრეიდი მართალია, რის დასტურადაც ამ გუნდების წინა შეხვედრის მოყვანა შეგვიძლია. 17 ნოემბერს ტრეისიმ "ფინიქსთან" დაპირისპირება ტრავმის გამო გამოტოვა და იაომ 17-ში 13 ტყორცნა გააფუჭა, ხოლო "ფინიქსმა" კი მოიგო შეხვედრა 115:105.

ადელმანი სეზონის სტარტზე სრულ იგნორირებას უკეთებდა **სტივ ფრენსისს**, რომელიც გუნდში იაოსა და ტრეისის ყოფნის მიუხედავადაც, დღესაც "როკეტსის" ყველაზე პოპულარული მოთამაშეა. გამოცდილმა სპეციალისტმა სტივი ნელ-ნელა გაუშინაურა გუნდს და "ფინიქსთან", ერთ დროს "ყველა ვარსკვლავის" მატჩის უცვლელმა მონაწილე ფრენსისმა, წელს ყველაზე მეტი, 25 წუთი დაჰყო მოედანზე და ამ დროში 9 ქულა, 7 პასი და 3 მოხსნაც გააკეთა.

*"მწვრთნელი უკვე მენდობა და არანაირი პრობლემა არ მაქვს იმასთან, რომ სათამაშო დრო შემეკვეცა. მთავარია, გუნდმა მოიგოს და მე კი რაც შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ საბოლოო წარმატებისთვის"*, - ამბობდა ფრენსისი.

**სან ანტონიო-ვაშინგტონი 109:94**

24:23, 25:23, 30:24, 30:24

**სან ანტონიო:** ტ. პარკერი (29 ქ. 11 პ. 8 მ), ჯინობილი (19 ქ. 2 ჩ), დანკანი (16 ქ. 7 მ), ბ. ბოუენი (12 ქ. 2 ჩ), ელსონი (10 ქ. 7 მ), ფინლი (10 ქ).

**ვაშინგტონი:** ჰეივუდი (19 ქ. 5 მ. 2 დ), კ. ბატლერი (16 ქ. 5 პ), ჯეიმისონი (12 ქ. 13 მ), ა. დენიელსი (11 ქ. 6 პ), სტივენსონი (10 ქ).

**ფილადელფია-იუტა 95:106**

27:25, 17:24, 24:28, 27:29

**ფილადელფია:** იგუოდალა (20 ქ. 6 მ. 4 პ), ა. მილერი (16 ქ), ლ. უილიამსი (13 ქ. 6 მ. 6 პ), დალემბერი (11 ქ. 6 მ), უ. გრინი (11 ქ).

**იუტა:** ბუზერი (26 ქ. 7 მ. 4 პ), რ. ბრიუერი (19 ქ. 3 ჩ), ოქური (16 ქ), დ. უილიამსი (15 ქ. 15 პ), მილსეპი (10 ქ).

**ტორონტო-მემფისი 103:91**

27:29, 30:10, 25:21, 21:31

**ტორონტო:** ე. პარკერი (19 ქ. 8 მ. 6 პ), დელფინო (14 ქ. 7 მ), კაპონო (14 ქ. 4 პ), კალდერონი (13 ქ. 10 პ. 5 მ), ბარნიანი (11 ქ. 7 მ), ნესტეროვიჩი (10 ქ), ბოში (10 ქ).

**მემფისი:** ნავარო (15 ქ), გასოლი (13 ქ. 7 მ), ლოური (12 ქ. 4 ჩ), ს. სვიფტი (12 ქ. 2 დ), კინსი (11 ქ).

**ატლანტა-მილუოკი 96:80**

28:28, 24:14, 21:24, 23:14

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (21 ქ), **ზაზა ფაჩულია** (14 ქ. 8 მ), ჰორფორდი (12 ქ. 6 მ. 2 ჩ), ჩილდრესი (12 ქ. 6 მ), ლიუ (11 ქ), ჯოშ სმიტი (10 ქ. 8 მ. 7 პ. 5 დ. 3 ჩ).

**მილუოკი:** რედი (24 ქ. 5 მ. 2 ჩ), მო უილიამსი (23 ქ. 9 პ), ბოგუტი (18 ქ. 11 მ. 4 დ).

**დეტროიტი-კლივლენდი 109:74**

23:22, 25:21, 29:16, 32:15

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (18 ქ. 6 პ), პრინსი (16 ქ. 4 პ), მაკდაიესი (14 ქ. 8 მ. 2 დ), მაქსიელი (9 ქ. 10 მ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (15 ქ. 3 პ), პავლოვიჩი (13 ქ), გუდენი (9 ქ. 9 მ).

**სიეტლი-ორლანდო 94:110**

24:30, 21:27, 23:26, 26:27

**სიეტლი:** დიურანი (22 ქ. 6 მ. 4 პ), შჩერბიაკი (20 ქ. 2 ჩ), უილკინსი (14 ქ. 2 დ), უილკოქსი (10 ქ. 10 მ), კურტ ტომასი (6 ქ. 14 მ. 2 ჩ).

**ორლანდო:** დ. ჰოვარდი (39 ქ. 16 მ. 5 დ), თურქოღლუ (15 ქ. 10 მ), ბოგანსი (14 ქ), რედიკი (11 ქ), რ. ლიუისი (9 ქ. 10 მ. 2 ჩ).

**პორტლენდი-ინდიანა 89:95**

22:17, 24:25, 13:25, 30:28

**პორტლენდი:** ტ. აუთლო (26 ქ. 7 მ. 2 ჩ), ოლდრიჯი (22 ქ. 9 მ), ჯეკი (12 ქ. 6 პ. 5 მ. 2 ჩ), როი (10 ქ. 10 მ. 8 პ. 3 ჩ), უებსტერი (10 ქ. 8 მ).

**ინდიანა:** გრეინჯერი (23 ქ. 3 დ), მ. დანლივი-უმცროსი (20 ქ. 11 მ. 3 ჩ), ტინსლი (15 ქ. 10 პ. 6 მ. 5 ჩ), ფოსტერი (11 ქ. 17 მ. 3 პ).

**საკრამენტო-გ. სტეიტი 96:113**

25:29, 30:24, 27:28, 14:22

**საკრამენტო:** კევინ მარტინი (28 ქ. 7 მ), არტესტი (21 ქ. 9 მ. 2 ჩ), უდრიხი (16 ქ), ბ. მილერი (10 ქ. 18 მ. 3 დ), მური (10 ქ. 8 მ).

**გოლდენ სტეიტი:** მ. ელისი (22 ქ. 2 ჩ), ს. ჯექსონი (21 ქ. 5 ჩ. 4 პ), ბ. დევისი (19 ქ. 6 პ. 2 ჩ), ბიედრინსი (13 ქ. 13 მ. 4 დ. 3 პ), ე. ჰარინგტონი (12 ქ. 6 მ. 2 ჩ).

**ფინიქსი-ჰიუსტონი 94:100**

28:27, 24:29, 21:21, 21:23

**ფინიქსი:** ნეში (29 ქ. 6 პ), ა. სტაუდმაიერი (25 ქ. 9 მ), მერიონი (18 ქ. 9 მ. 5 ჩ. 4 დ. 4 პ).

**ჰიუსტონი:** მინი (31 ქ. 11 მ. 2 დ), მაკგრეიდი (18 ქ. 8 მ. 6 პ), ალსტონი (15 ქ. 4 პ. 2 ჩ), სკოლა (8 ქ. 7 მ).

**დალასი-მინესოტა 109:103**

30:22, 28:23, 25:32, 26:26

**დალასი:** ნოვიცკი (27 ქ. 11 მ), დ. ჰარისი (22 ქ. 6 პ), ბასი (15 ქ), ჯოშ ჰოვარდი (12 ქ), ტერი (12 ქ), სტექჰაუზი (10 ქ. 8 მ).

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (31 ქ. 14 მ), მაკკენტსი (21 ქ), კ. სმიტი (17 ქ. 7 მ), ა. უოკერი (13 ქ), იარიჩი (12 ქ. 7 მ. 7 პ. 2 ჩ).

ოლიმპიზმი

ვანკუვერი 2010

# ვანკუვერის ოლიმპიადას სამი თილისმა ჰყავს

ვანკუვერის 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა, თამაშების ოფიციალურ თილისმებად კანადის წყნარი ოკეანის სანაპირო არეში გავრცელებული ცხოველების მიხედვით შექმნილი ორიგინალური თოჯინები აირჩია.

ვანკუვერის ოლიმპიადას ერთბაშად სამი თილისმა ეყოლება, რომელთა სახელებია მიგა, კაჩი და სუმი. როგორც წესი, ოლიმპიადის ორგანიზატორები თილისმებს სუვენირების დასამზადებლად იყენებენ, რომელთა გაყიდვის შედეგად, სოლიდურ შემოსავალს ღებულობენ. ამ მხრივ, გამონაკლისი არც ვანკუვერის ოლიმპიადა იქნება, რომლის ორგანიზატორებიც იმედოვნებენ, რომ თილისმების თემაზე დამზადებული სუვენირების გაყიდვით, 46 მილიონ დოლარს მოუყრიან თავს.

რაც შეეხებათ ცხოველებს, რომლებსაც თილისმების მეშვეობით მალე მთელი მსოფლიო გაიცნობს, ესენი არიან მკვლელი ვეშაპი, სანაპიროს დათვი და ინდიელთა ერთ-ერთი ცნობილი ლეგენდის ჩიტი ქარიშხალა.

*"თილისმის შესაქმნელად რომ ვმუშაობდით, სხვა ოლიმპიადების თილისმებზე და მათს მიბაძვაზე არც გვიფიქრია. ჩვენ ისეთი რამ ავირჩიეთ, რაც ყველაზე უკეთ წარადგენდა კანადას. ვფიქრობ, ეს გამოგვივიდა კიდეც"*, - განაცხადა თილისმების ერთ-ერთმა დიზაინერმა **ვიკი ვონმა**.

ცნობისათვის, პირველი ოლიმპიადა, რომელსაც თილისმა ჰყავდა, მიუნხენის 1972 წლის თამაშებია. მას შემდეგ თილისმის არჩევა ტრადიციად იქცა, ოღონდ პეკინის ოლიმპიადამდე, ყველა სხვა ოლიმპიადას მხოლოდ ერთი, მაქსიმუმ ორი თილისმა ჰყავდა. პეკინის ოლიმპიადის სტუმრებს კი ერთბაშად ხუთი თილისმა გაუწევს მასპინძლობას.

ვანკუვერის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა სამი თილისმა მას შემდეგ აირჩიეს, რაც კარგად შეისწავლეს სუვენირების ბაზარზე მათი გამოყენების პერსპექტივა და იმაშიც დარწმუნდნენ, რომ თილისმების სახელები მსოფლიოს ყველა ხალხის ენაზე იოლად გამოითქმის.

მიგა მკვლელი ვეშაპისა (იგივე ორკას) და სანაპიროს დათვის ერთგვარი კომბინაციაა. ეს ყავისფერი დათვი კანადის წყნარი ოკეანის სანაპირო ზოლის ტყეებში ბინადრობს. კაჩი სასკაჩევანის მხარეში ცნობილი მითიური ცხოველია, რომელიც, ლეგენდის მიხედვით, ასევე წყნარი ოკეანის სანაპირო ზოლის ტყეებში ბუდობს. ორგანიზატორების თქმით, კაჩის განსაკუთრებით ჰოკეი – კანადის ეროვნული სპორტი უნდა უყვარდეს. სუმი კი ორი არსების, იმავე მკვლელი ვეშაპისა და ქორის მსგავსი ქარიშხალას ნარევია. ესეც მითიური არსებაა, რომლებსაც თურმე ხშირად "შეხვდებით" კანადის დასავლეთ სანაპიროს არეში. სუმი უპირატესად პარალიმპიური თამაშების თილისმა იქნება.



ოლიმპიადის სამი თილისმა

სხვადასხვა

ფორმულა 1

## ალონსო 18 მილიონს უნდა დასჯერდეს

ფრანგული საჯინიბო „რენო" **ფერნანდო ალონსოს** წელიწადში მხოლოდ 18 მილიონ დოლარს სთავაზობს - ასეთი ინფორმაციას ავრცელებს F1-world.

როგორც ვარაუდობენ, „რენოს" შეფი ფლავიო ბრიატორე სარგებლობს იმით, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, 2008 წლისთვის აღარ დარჩა რომელიმე ამბიციურ გუნდში გადასვლის შანსი. ესპანელ პილოტს რამდენიმე გუნდმა უთხრა უარი დასაქმებაზე.

შედარებისთვის გაგახსენებთ, რომ „მაკლარენში" ალონსოს ხელფასი იმაზე სამჯერ მეტი იყო, რასაც ახლა მას ფრანგული საჯინიბო სთავაზობს.

ადრე სააგენტოები იტყობინებოდნენ, რომ ფლავიო ბრიატორემ შეძლო 90-მილიონიანი სასპონსორო პაკეტის შეგროვება, რომლითაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის მომავალი სამწლიანი კონტრაქტი უნდა დაეფინანსებინა.

## მაკლარენს ქულებს დააკლებენ?

ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის, **ბერნი ექსლტოუნის** სიტყვებით, არსებობს ალბათობა იმისა, რომ „მაკლარენმა" 2008 წლის სეზონი საჯარიმო ქულებით დაიწყოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ბრიტანული საჯინიბოს ახალი მანქანა „ფერარისგან" მოპარული ნახაზების მიხედვით იქნება დაპროექტებული.

როგორც იცით, 2007 წლის ჩემპიონატში, „მაკლარენს" ჩამოართვეს გუნდურ ჩათვლაში მოპოვებული ყველა ქულა და 100 მილიონი დოლარით დააჯარიმეს იმის გამო, რომ „ფერარის" ტექნიკური ინფორმაცია მიითვისა.

*„არ მჯერა, რომ „მაკლარენი" ასეთ ნაბიჯს გადადგამს, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ჩვენ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ"*, - ამბობს ექსლტოუნი.

## კიმის და შუმის დაპირისპირება არ იქნება

შარშანდელი სეზონის ტრიუმფატორი „ფერარი" ცდილობს თავიდან აიცილოს ფინელი **კიმი რაიკონენისა** და მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის **მიხაელ შუმახერის** შედარება და ამის გამო, ხერესის ტესტებზე ეს პილოტები ერთდროულად არ გავლენ ტრასაზე. გერმანული გაზეთი „ბილდი" იტყობინება, რომ რაიკონენი „ფერარის" ბოლიდს 4 და 5 დეკემბერს გამოცდის, მომდევნო ორი დღეს კი, მანქანის საჭეს ლეგენდარული გერმანელი მიუჯდება.

რაც შეეხება „ფერარის" მთავარ კონკურენტს „მაკლარენს", ამ გუნდის შემადგენლობიდან ტესტებში მხოლოდ ერთი პილოტი მიიღებს მონაწილეობას. ბრიტანელი **ლუის ჰემილტონი** 6 დეკემბერს გავა ტრასაზე და მიხაელ შუმახერის მხარდამხარ მოუწევს ვარჯიში.

## ფორს ინდიაზე ტაციაობაა

ერთბაშად შვიდი პილოტი იბრძოლებს ფორმულა 1-ის ახალი გუნდის, „ფორს ინდიას" საპრიზო პილოტის ვაკანტური ადგილისთვის. მათ შორისაა ორი ისეთი ცნობილი ავტომრბოლი, როგორებ.ც არიან **ჯანკარლო ფიზიკელა** და **რალფ შუმახერი**.

ყველაფერი იმ ტესტებზე გაირკვევა, რომელიც 4-7 დეკემბერს ესპანურ ხერესში გაიმართება. შვიდი პრეტენდენტიდან, ხუთს ფორმულაში გამოსვლის გამოცდილება გააჩნია. გარდა უმცროსი შუმახერისა და ფიზიკელასი, ესენი არიან **ვიტანტონიო ლიუცი, კრისტიან კლინი** და **ფრანკ მონტანი**. კიდევ ორ ავტომრბოლს - ჰოლანდიელ **გვიდო ვან დერ გარდეს** და ესპანელ **როლდან როდრიგესს** ფორმულაში არასოდეს უასპარეზიათ.

შეგახსენებთ, რომ „ფორს ინდია" ჰოლანდიური გუნდის, „სპაიკერის" მემკვიდრე გახდა და მისი მეპატრონე გახლავთ ინდოელი მილიარდერი **ვიჯაი მალია**. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ ამ გუნდის ერთი საპრიზო პილოტი გერმანელი **ადრიან სუტილი** იქნება. ამიტომაც ის ხერესში დაგეგმილ ტესტებში მონაწილეობას არ მიიღებს.

ჰოკეი

## სუნდინის 400 შაიბა

„ტორონტო მეიპლ ლივზის" შვედ ფორვარდ **მატს სუნდინისთვის** ამ რეგულარულ ჩემპიონატში კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მომენტი დადგა. კერძოდ, „მონრეალ კანადიენსთან" შეხვედრაში, ვეტერანმა თავდამსხმელმა კანადური კლუბის შემადგენლობაში მე-400 შაიბა გაიტანა. ეს „ტორონტოს" საკლუბო რეკორდი გახლავთ.

სუნდინმა ჰოკეის ეროვნული ლიგაში კარიერა 1990 წელს დაიწყო და იქედან მოყოლებული, მის ანგარიშზე 535 შაიბა მოდის. „ტორონტომდე" ეს ჰოკეისტი „კვებეკ ნორდიქსში" თამაშობდა.

## კოლამბუსმა ნოვოტნი დაკარგა

„კოლამბუს ბლუ ჯეკეტს" კარგა ხნით გამოაკლდა წამყვანი ფორვარდი **ირჟი ნოვოტნი**. ჩეხმა ცენტრფორვარდმა „მინესოტასთან" მატჩის დროს, **აარონ ვოროსთან** შეტაკების შემდეგ ტვინის შერყევა მიიღო და ჯერჯერობით უცნობია, როდის შეძლებს ყინულზე დაბრუნებას.

ამ სეზონში ნოვოტნის ანგარიშზე 4 გოლი და 6 შედეგიანი პასი მოდის.

## ფილადელფიამ ქობურნი დაიტოვა

„ფილადელფია ფლაიერზმა" მრავალწლიანი კონტრაქტი გააფორმა მცველ **ბრეიდონ ქობურნთან**. ხელშეკრულების დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა. 22 წლის ჰოკეისტმა წლევანდელ რეგულარულში ყველა, 23 მატჩში მიიღო მონაწილეობა, რვა შედეგიანი პასი შეასრულა და 28 საჯარიმო წუთი მიიღო.

ფილადელფიელთა გენერალური მენეჯერი **პოლ ჰოლმგრენი** თვლის, რომ 2003 წლის დრაფტის მეცხრე ნომერს შეუძლია თამაშის მომატება. ქობურნი „ფლაიერზში" ამ წლის თებერვალში გამოჩნდა, როცა ის „ატლანტადან" **ალექსეი ჟიტნიკის** სანაცვლოდ აიყვანეს. ქობურნს კარიერაში 81 მატჩი, სამი გოლი და 17 შედეგიანი პასი დაუგროვდა.

რაგბი

## ჰენრის ამბიციები არ ასვენებს

მსოფლიო თასზე განცდილი ფიასკოს შემდეგ, ახალი ზელანდიის ნაკრები ახალ მწვრთნელს ეძებს. ქვეყნის რაგბის კავშირში განსახილველად სამმა კანდიდატმა შეიტანა საკუთარი განაცხადი და ერთ-ერთი მათგანი გახლავთ 61 წლის **გრემ ჰენრი**. სწორედ ეს სპეციალისტი ავარჯიშებდა „ოლ ბლექსს" წლევანდელ მსოფლიო თასზე.

ზელანდიის რაგბის კავშირმა ჰენრი საფრანგეთთან მეოთხედფინალში წაგების შემდეგ დაითხოვა ნაკრებიდან და ახალი მწვრთნელის პოსტზე კონკურსი გამოაცხადა. ჰენრის იმედი აქვს, რომ მას მეორედაც ანდობენ „ოლ ბლექსის" ბედს.

ახალი ზელანდიის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობა დეკემბრის ბოლოს გაირკვევა.

სოჭი 2014

# ბეტმენს სოჭი არ სჭირდება



გარი ბეტმენი

ჰოკეის ეროვნული ლიგის კომისარი **გერი ბეტმენი** არ გამორიცხავს, რომ 2014 წელს, სოჭის ზამთრის თამაშების ჰოკეის ტურნირი, შესაძლოა NHL-ის ვარსკვლავების გარეშე ჩატარდეს.

ბეტმენმა ჟურნალისტებს განუმარტა, რომ ამ მომენტისთვის მსოფლიოს მთავარ ლიგას გარკვეული ვალდებულებები აქვს ვანკუვერის ოლიმპიადის (2010 წელი) საორგანიზაციო კომიტეტთან, რის გამოც, 2009-10 წლების სეზონში, რეგულარული ჩემპიონატის კალენდარში ნავარაუდებია შესვენება, რათა NHL-ის ჰოკეისტებს ოლიმპიადაზე გამოსვლის საშუალება მიეცეთ. მაგრამ, რაც შეეხება სოჭს, იმ დროისთვის NHL გადახედავს ამ საკითხში თავის პოლიტიკას და შესაძლოა, რეგულარული ჩემპიონატის კალენდარში მსგავსი პაუზები აღარ გაითვალისწინოს.

ეს მოსალოდნელი ნაბიჯი ბეტმენმა იმით ახსნა, რომ ოლიმპიადაში მონაწილეობა დამატებით დატვირთვებს მატებს ჰოკეისტებს, ირევა კალენდარი და რაც მთავარია, ამით ჩრდილოამერიკელი გულშემატკივრები ზარალდებიან.

გარდა ამისა, ბეტმენმა ფინანსურ მხარეზეც გააკეთა აქცენტი და განაცხადა, რომ, როცა ოლიმპიადები ამერიკის კონტინენტიდან შორს ტარდება, მისგან მოგება ნაკლებია, რადგან დროის დიდი სხვაობის გამო, ოლიმპიადის ჰოკეის ტურნირი ნაკლებ ყურადღებას იმსახურებს.

შეგახსენებთ, რომ პირველად NHL-მ თავის ჰოკეისტებს ოლიმპიადაზე თამაშის ნება 1998 წელს, ნაგანოში (იაპონია) დართო. შემდეგ იყო სოლტ-ლეიკ-სიტის (აშშ) თამაშები, ბოლოს კი, ტურინის (იტალია) თეთრი ოლიმპიადა. ამ მხრივ, ჰოკეის ეროვნული ლიგა 2010 წელს კანადურ ვანკუვერთანაც ითანამშრომლებს, რადგან *„საქმე ეხება თამაშების ჰოკეის სამშობლოში გამართვას“*. რაც შეეხება იაპონურ და იტალიურ გამოცდილებას, NHL-ის შეფმა შემდეგი განაცხადა: *„ამან ვერ მოგვიტანა ისეთი სათანადო ეფექტი, რასაც რეგულარულ ჩემპიონატში გამოცხადებული 17-დღიანი შესვენების სანაცვლოდ ველოდით“*.

სოჭში ოკეანისგაღმელი ჰოკეისტების გამგზავრების შესახებ გადაწყვეტილებას 2010 წლის თამაშების შემდეგ მიიღებენ. ბეტმენი ამბობს, რომ ყველა გარემოებას დაწვრილებით განიხილავენ. NHL-ის კომისარს მიაჩნია, რომ ჰოკეისტები არ გაწყვეტენ კონტრაქტებს კლუბებთან იმის გამო, რომ ოლიმპიადაში მიიღონ მონაწილეობა. *„ჰოკეი ოლიმპიადაზე - ეს არის 2-კვირიანი ტურნირი ოთხ წელიწადში ერთხელ. არა მგონია, ნიჭიერმა ჰოკეისტებმა ამის გამო NHL-ის კარიერა დათმონ“*, - ამ სიტყვებით დაასრულა ჟურნალისტებთან საუბარი ბეტმენმა.

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-სენტ ლუისი 3:4**

1:0, 1:1, 1:3

**გოლები:** 1:0 პომინვილი-7 (მაკარტური-, ლიდმანი-4), 2:0 კოტალიკი-5 (შპაჩეკი-7, ტ. კონოლი-13), 2:1 რუჩინსკი-3 (ტკაჩუკი-12, მ. ჯონსონი-2), 2:2 კარია-7 (ტკაჩუკი-13, ბოიესი-6), 2:3 მ. ჯონსონი-1 (სალვადორი-3), 3:3 სეკერა-1 (ტ. კონოლი-14, შეხტი-7), 3:4 ბოიესი-14 (კარია-17, სალვადორი-4).

**ნიუ ჯერსი-დალასი 4:2**

0:2, 2:0, 2:0

**გოლები:** 0:1 ბარნსი-1 (ბუშე-8), 0:2 ი. იოკინენი-9, 1:2 კლარკსონი-3 (მადენი-8, ზუბრუსი-10), 2:2 ჯონტა-8 (ელიაში-8, პარიზე-15), 3:2 ზუბრუსი-5 (ლანგენბრუნერი-7), 4:2 პარიზე-9 (ჯონტა-9, მადენი-9).

**აილენდერსი-ოტავა 3:2 (ბ)**

1:0, 0:0, 1:2, 0:0

**გოლები:** 1:0 ვაშიჩეკი-9 (შატანი-8, ფედოტენკო-8), 1:1 მეზაროში-3 (კორვო-7, სპეცა-19), 2:1 სილინჯერი-4 (ჰანტერი-5, ჰილბერტი-1), 2:2 მეზაროში-4 (ჰიტლი-17).

**ბულიტები გაიტანეს:** ალფრედსონი (ოტავა), გერენი (აილენდერსი), სილინჯერი (აილენდერსი).

**ვაშინგტონი-ფლორიდა 1:2 (ბ)**

0:1, 1:0, 0:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ზედნიკი-8 (შტუმპელი-10, სალეი-7), 1:1 კ. კლარკი-5.

**ბულიტები გაიტანეს:** ო. იოკინენი (ფლორიდა), ვიქ. კოზლოვი (ვაშინგტონი), ჰორტონი (ფლორიდა), ბექსტრიომი (ვაშინგტონი), კრეპკი (ფლორიდა), გორდონი (ვაშინგტონი), უეისი (ფლორიდა).

**კაროლინა-ფილადელფია 1:3**

0:0, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 დ. ჰეტჩერი-1 (ნუბლი-7, უმბერგერი-11), 0:2 კ. ტიმონენი-3 (ნუბლი-8, მ. რიჩარდსი-15), 0:3 ნუბლი-8 (მ. რიჩარდსი-16, ბრიერი-18), 1:3 სტილმანი-12 (ბრინდამორი-18, რეი უიტნი-14).

**ს. ხოსე-ლ. ანჯელესი 2:3 (ბ)**

1:0, 0:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 1:0 ჯ. ტორნტონი-9 (ვლასიჩი-4), 1:1 კოპიტარი-10 (დ. ბრაუნი-7), 1:2 ო'სალივანი-5 (სტიუარტი-5, პრისინგი-5), 2:2 რივე-1 (ოზოლინში-3, მარლო-8).

**ბულიტები გაიტანეს:** რიონიკი (სან ხოსე), ო'სალივანი (ლოს ანჯელესი), კოპიტარი (ლოს ანჯელესი), პაველსკი (სან ხოსე), დ. ბრაუნი (ლოს ანჯელესი).

**მინესოტა-ფინიქსი 3:1**

0:0, 2:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ვეილო-4 (ვოროსი-1, ჯ. შეპარდი-7), 2:0 გაბორიკი-9, 2:1 ვრბატა-9 (დ. მორისი-3, ბალარდი-5), 3:1 ჯ. შეპარდი-2 (ვოროსი-2, პერიში-5).

**ჩიკაგო-ტამპა ბეი 5:1**

2:0, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ჰავლატი-1 (ჯეისონ უილიამსი-12), 2:0 ბიფიგლენი-3 (კეინი-16, შარპი-7), 3:0 ჰავლატი-2 (ლანგი-14), 4:0 შარპი-12 (კეინი-17, ხაბიბულინი-1), 4:1 ტარნავსკი-1 (რეინჯერი-12, კუბა-9), 5:1 ტოევზი-9 (კეინი-18, ხაბიბულინი-2).

**კოლორადო-ედმონტონი 4:2**

2:0, 2:0, 0:2

**გოლები:** 1:0 ჰეიდუკი-7 (ჰლინკა-3, ზაუერი-5), 2:0 ბ. კლარკი-2 (ჰეიდუკი-7, შჩასტნი-17), 3:0 საკიკი-7 (შჩასტნი-18, ჰეიდუკი-8), 4:0 ვოლსკი-8 (საკიკი-14, კამისკი-3), 4:1 ტორესი-4 (სტოლი-5, სტორტინი-1), 4:2 ჰორკოფი-10 (გრებეშკოვი-4, სემ განიე-8).

## ჩოგბურთი



რაფაელ ნადალი

ვარსკვლავი

# ნადალის კარიერას საფრთხე არ ემუქრება

**მსოფლიოს** მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** უარყო მისი ბიძისა და იმავდროულად მწვრთნელის, **ტონი ნადალის** ვარაუდი იმის შესახებ, რომ ფეხის ტრავმა, რომელიც მას აწუხებს, შესაძლოა, კარიერის დასრულების მიზეზიც კი გახდეს.

*"ამ ტრავმის მიუხედავად, ბოლო ორი სეზონი უმაღლეს დონეზე ვითამაშე. ჩემი კარიერის ნაადრევი დასრულების მიზეზი ის ვერ გახდება, მთელი ეს ისტორია უბრალო ტყუილია"*, - ესპანეთის სახელმწიფო ტელევიზიასთან საუბრისას განაცხადა ჩოგბურთელმა.

მალიორკულ გაზეთთან საუბრისას, ნადალის ბიძამ განაცხადა, რომ ეს ტრავმა რაფაელმა ორი წლის წინ მიიღო და მართალია, ამ ეტაპზე ის საშიში არაა, მაგრამ თუ არ გავფრთხილდით, შეიძლება სერიოზული გართულება გამოიწვიოსო.

ტრავმა არც ისე სერიოზულად მიაჩნია რაფაელის მედია მენეჯერ **ბენიტო პერეს-ბარბადილოსაც**. როიტერთან საუბრისას, მან შემდეგი განაცხადა: *"რაფაელის კარიერას საფრთხე სულაც არ ემუქრება. ამაზე თუნდაც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ გასული სეზონი მისთვის საუკეთესო იყო. ეს ტრავმა კი ორი წლის წინ მიიღ და მიუხედავად იმისა, რომ სრულყოფილად იმკურნალა, დროგამოშვებით ტკივილი მაინც ახსენებს თავს. მსგავსი პრობლემები თითქმის ყველა ჩოგბურთელს აწუხებს. გასულ სეზონში, მასზე მეტი შეხვედრა მხოლოდ ერთმა ჩოგბურთელმა ჩაატარა და რაც მთავარია, რაფაელს ახლა იმდენი სარეიტინგო ქულა აქვს, რამდენიც აქამდე არასოდეს ჰქონია. დასკვნები თავად გამოიტანეთ"*.

საგაზეთო ინტერვიუში კი ტონი ნადალმა შემდეგი განაცხადა: *"ორი წელია, რაც რაფაელს ეს ტრავმა აწუხებს. ჯერჯერობით, ტკივილებს უმკლავდება, მაგრამ ასე როდემდე გაგრძელდება, ძნელი სათქმელია. ტრავმა კი საკმაოდ სერიოზულია. არ ვიცი, იქნებ მის კარიერასაც ემუქრება. ყოველ შემთხვევაში, თამაშის დროს, მუდმივად მართებს მასზე ფიქრი. ჯერჯერობით კი ყველაფერი რიგზეა. სეზონით კმაყოფილები ვართ, ტრავმაც სერიოზულად არ გამიზეზებია. ის აშკარად უკეთ თამაშობს და აქედან გამომდინარე, თამაშებსაც შედარებით იოლად იგებს. მაგრამ იმისათვის, რომ მუდმივად კარგ ფორმაში იყოს, სულ უნდა თამაშობდეს, ეს კი ტრავმის გაღვიძების საშიშროებას შეიცავს"*.

შეგახსენებთ, რომ გასულ სეზონში ნადალმა 6 ტურნირი მოიგო, მათ შორის, ზედიზედ მესამედ გახდა საფრანგეთის ღია პირველობის ჩემპიონი.

## TV სპორტი

**30 ნოემბერი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:25 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
14:55 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლაციო-ოლიმპიაკოსი.
16:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:05 ტოქ-შოუ - 2:1.
17:50 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ლივერპული-პორტუ.
19:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:10 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
20:40 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
23:00 საფეხბურთო კლუბი.
23:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
00:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
00:40 არგენტინის ჩემპიონატი. ტიგრე-ბოკა ხუნიორსი.
02:25 საფეხბურთო კლუბი.
03:20 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბეშიქთაში-მარსელი.
08:45 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
10:55 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ტამპა ბეი.
12:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ფენერბაჰჩე-პანათინაიკოსი.
14:25 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ზენიტი-ნიურნბერგი.
16:10 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მალაიზია.
17:10 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ტაუგრესი-ცსკა.
18:50 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჰამბურგი-რენი.
20:40 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
21:10 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.
21:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-ნეშვილი.
23:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
00:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
00:25 კრივი. რინგ-საიდი.
01:30 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:45 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჰამბურგი-რენი.
04:00 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მალაიზია.
05:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
06:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-ანაჰაიმი (LIVE).

**EUROSPORT**

11:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბრაგა (პორტუგალია)-ბაიერნი (გერმანია).
12:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. ტრამპლინი HS142. კუუსამო. ფინეთი (LIVE).
14:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
15:30 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასი. რბოლა 15 კმ. კუუსამო. ფინეთი (LIVE).
16:15 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. კომბინაცია (სწრაფდაშვება). ბივერ კრიკი. აშშ.
16:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. კონტიოლაჰტი. ფინეთი (LIVE).
18:15 ბოულინგი. შოტლანდიის ღია პირველობა (LIVE).
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. გუნდური. კუუსამო. ფინეთი (LIVE).
20:45 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. გუნდური. კუუსამო. ფინეთი (LIVE).
21:45 მთის თხილამურები. მსოფლიო თასი. მამაკაცები. სწრაფდაშვება. ბივერ კრიკი. აშშ (LIVE).
23:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. სპრინტი. კონტიოლაჰტი. ფინეთი.
00:30 ტიმბერსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანია.
01:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. აშშ-ის გრან-პრი.
02:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
03:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრიტანეთი.
03:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS142. გუნდური. კუუსამო. ფინეთი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 სუპერკროსი. იტალია.
14:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბრაგა (პორტუგალია)-ბაიერნი (გერმანია).
14:45 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჰელსინგბორგი (შვედეთი)-აუსტრია (ავსტრია).
17:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ელფსბორგი (შვედეთი)-ბოლესლავი (ჩეხეთი).
18:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ატლეტიკო (ესპანეთი)-აბერდინი (შოტლანდია).
19:00 სუპერკროსი. იტალია.
20:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჰელსინგბორგი (შვედეთი)-აუსტრია (ავსტრია).
20:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბრაგა (პორტუგალია)-ბაიერნი (გერმანია).
21:15 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:00 მულტისპორტი.
22:30 ახალი ამბები.
22:45 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
23:15 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. პარიზი-დაქსი (LIVE).
01:15 სუპერკროსი. შვეიცარია (LIVE).
03:00 ახალი ამბები.

ჩოგბურთი

## მირნის ახალი მეწყვილე ჰყავს

**წყვილთა** თანრიგში თამაშის ერთ-ერთი საუკეთესო ოსტატი, ბელარუსი **მაქს მირნი** მომავალი სეზონისთვის პარტნიორს შეიცვლის. გაისად მირნი ბრიტანელ **ჯეიმი მარეისთან** ერთად ითამაშებს ATP-ის ტურნირებზე.

2007 წლის სეზონში, 21 წლის შოტლანდიელის მეწყვილე ამერიკელი **ერიკ ბუტორაცი** იყო. მათ ერთად ოთხი ტიტული მოიგეს, მაგრამ სექტემბერში ურთიერთობის განყვეტა გადაწყვიტეს.

რაც შეეხება მირნის, მას კარიერაში წყვილთა თანრიგის 33 ტიტული აქვს მოპოვებული, მათ შორის ორ-ორჯერ გაიმარჯვა როლან გაროსზე და აშშ-ის ღია პირველობაზე. ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ბელარუსი ჩოგბურთელის პარტნიორი გამოცდილი შვედი **იონას ბიორკმანი** იყო.

ველოსპორტი

## ოქროს ველოსიპედი კონტადორს

„**ტურ დე ფრანსის**“ წლევანდელი ტრიუმფატორი, ესპანელი **ალბერტო კონტადორი** ფრანგული ჟურნალის, Velo-ს ტრადიციული პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი გახდა - კონტადორს „ოქროს ველოსიპედი“ გადაეცემა.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ჟურანლისტთა გამოკითხვაში, ესპანელმა უკან ჩამოიტოვა დროზე ინდივიდუალურ რბოლაში მსოფლიო ჩემპიონი, შვეიცარიელი **ფაბიო კანჩელარა** და „ოქროს ველოსიპედის“ შარშანდელი მფლობელი, იტალიელი **პაოლო ბეტინი**.

გაზეთ „მარკას“ ცნობით, კონტადორი **მიგელ ინდურაინის** შემდეგ პირველი ესპანელია, ვინც ეს პრესტიჟული ჯილდო მიიღო.

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ინგლისი** | |
| **კონფერენსი** | |
| უოკინგი-ებსფლიტი | 1:0 |
| **დანია** | |
| ორჰუსი-ნორდსილანდი | 3:3 |
| **უნგრეთი** | |
| სოპრონი-მტკ | 1:5 |
| **ჰოკეი** | |
| **რუსეთი** | |
| ს. იულაევი-ლოკომოტივი | 3:2 |
| ლადა-სევერსტალი | 2:1 |
| სკა-აკ ბარსი | 2:2 |
| ტორპედო-მეტალურგი (ნ) | 2:2 |
| ხიმიკი-ნეფტეხიმიკი | 3:5 |
| ცსკა-სიბირი | 8:1 |
| **ფინეთი** | |
| პელიკანსი-ჰიფკ | 1:5 |
| ტაპარა-ესეტი | 6:2 |
| ჰპკ-კაიპა | 3:2 |
| იუვიასკიულა-ილვესი | 4:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ქლინი-ლიბერეცი | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| მორა-ჰვ 71 | 4:3 |
| სიოდერტალე-სკელეფტე | 0:1 |
| ტიმრე-ლინჩოპინგი | 3:1 |
| ფერიესტადი-ბრიუნასი | 8:3 |
| ფრიოლუნდა-ლულეა | 0:6 |
| იურგორდენი-მოდო | 4:2 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ფენერბაჩე-პანათინაიკოსი | 64:83 |
| ოლიმპიაკოსი-ჟალგირისი | 90:74 |
| ტაუგრესი-ცსკა | 76:85 |
| ვირტუსი-ოლიმპია | 101:91 |
| მილანი-მაკაბი | 81:82 |
| რეალი-რუანი | 104:73 |

# უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური

## A ჯგუფი

### ზენიტი–ნიურნბერგი 2:2

**ზენიტი:** ჩონტოფალსკი, ანიუკოვი, კიმი, ლომბერტსი (72. იონოვი), შკრტელი, დომინგესი (80. რადიმოვი), შირლი, ტიმოშჩუკი, ზურიანოვი, არშავინი, პოგრებნიაკი.

**ნიურნბერგი:** ბლაჟეკი, ბოშამი, რაინჰარდტი, ვოლფი, ენგელჰარდტი (74. ბენკო), გალაშეკი, კლუგე, მინტალი (74. კრისტიანსენი), ადლერი (46. საენკო), ხარისტეასი, მისიმოვიჩი.

**გოლები:** 0:1 ხარისტეასი (25), 1:1 პოგრებნიაკი (76), 2:1 იონოვი (79), 2:2 ბენკო (84)

**მაყურებელი:** 21 500

### ალკმაარი–ლარისა 1:0

**ალკმაარი:** ვატერმანი (32. რომერო), იალიენსი, ოპდამი, პოკონიოლი, სტეინსონი, აგუსტიენი, კზიომერი (74. იენერი), დე ზეეუვი, მედუნიანინი (65. პელე), მენდესი, დემბელე.

**ლარისა:** კოცოლისი, დაბიზასი, გალიციოსი, კაციაროსი, კლეიტონი, ფოტაკისი, კირიაკიდისი (82. კოზლეი), კოციოსი, სარმიენტო, ალექსანდრუ (82. ბახრამისი), კალანცისი (69. პარა).

**გოლი:** 1:0 დემბელე (77)

**გაძევება:** კოციოსი (84. ლარისა)

**მაყურებელი:** 16 800

*მატჩს სჯიდა ქართული ბრიგადა,* ***ლევან ფანიაშვილის*** *(არბიტრი),* ***ზაზა მენთეშაშვილისა*** *და* ***ლევან მიქელაძის*** *შემადგენლობით.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ევერტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ზენიტი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-5 | 5 |
| 3. ალკმაარი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 4. ნიურნბერგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 5. ლარისა | 3 | 0 | 0 | 3 | 3-7 | 0 |

## B ჯგუფი

### ლოკომოტივი–კოპენჰაგენი 0:1

**ლოკომოტივი:** პელიცოლი, ასათიანი, გურენკო, ივანოვიჩი, როდოლფო, სპაჰიჩი, ბილიალეტდინოვი, მამინოვი, ოდემვინგი (46. სამედოვი), სიჩოვი (80. კოჩიში), ტრაორე.

**კოპენჰაგენი:** კრისტიანსენი, ანტონსონი, გრავგაარდი, ჰანგელანდი, ვენდტი, ჰატჩინსონი, კვისტი, ნორეგაარდი, ვიურტცი (32. ზიონკო), ოლბაკი, ნორდსტრანდი (79. ალმეიდა).

**გოლი:** 0:1 ნორდსტრანდი (62-პენ)

**გაძევება:** სპაჰიჩი (88. ლოკომოტივი)

**მაყურებელი:** 11 000

### ატლეტიკო–აბერდინი 2:0

**ატლეტიკო:** აბიატი, ლოპესი, ელერი, პაბლო, პერნია, კლებერ სანტანა, ლუის გარსია, მოტა, მაქსი როდრიგესი (71. მანიშე), აგუერო (46. სიმაო საბროსა), ფორლანი (70. მისტა).

**აბერდინი:** ლანგფილდი, ბირნი, დაიამონდი, ფოსტერი, ჰარტი, მაკნამარა (34. კლერკი), სევერინი (76. მაკუირი), სმიტი (44. დე ვიშერი), ტუზანი, მილერი, იანგი.

**გოლები:** 1:0 ფორლანი (45-პენ), 2:0 ლანგფილდი (61-საკ. კარში)

**მაყურებელი:** 30 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ატლეტიკო | 2 | 1 | 1 | 0 | 5-3 | 4 |
| 3. კოპენჰაგენი | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| 4. ლოკომოტივი | 3 | 0 | 2 | 1 | 4-5 | 2 |
| 5. აბერდინი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-6 | 1 |

## C ჯგუფი

### ელფსბორგი–მლადა 1:3

**ელფსბორგი:** ვილანდი, მ. ანდერსონი, აუგუსტსონი, ბიორკი (84. ბახრამი), კარლსონი, მობეკი, ილოლა (70. ავდიჩი), იშიზაკი, ა. სვენსონი, კინი (74. ბერგლუნდი), მ. სვენსონი.

**მლადა:** პიზანოვსკი, კოპიჩი, პროჰაზკა, ჰრდლიჩკა, მატეიოვსკი, რაინოხი, ვანეჩეკი (46. კალინა), ვორიშეკი, კისელა (90. პოლაჩეკი), მენდი, რეზნიჩეკი (48. ტაბორსკი).

**გოლები:** 1:0 მ. სვენსონი (31), 1:1 ტაბორსკი (67), 1:2 მენდი (79), 1:3 ვორიშეკი (90)

**მაყურებელი:** 3 631

### აეკ–ფიორენტინა 1:1

**აეკ:** მორეტო, არუაბარენა, დელასი, პაპაცოპულოსი, რამოსი, კონე (55. მანდუკა), ნსალივა (71. კაფესი), ტოშერი, ბლანკო, ჟულიო სეზარი (82. პაპასი), მანუ.

**ფიორენტინა:** ფრეი, ბალცარეტი, დაინელი, კროლდრუპი, პასკუალი, იორგენსენი, კუზმანოვიჩი (82. გობი), ლივერანი, მონტოლივო, ოსვალდო, ვიერი (86. პაცინი).

**გოლები:** 0:1 ოსვალდო (30), 1:1 ბალცარეტი (35-საკ. კარში)

**მაყურებელი:** 26 386

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფიორენტინა | 3 | 1 | 2 | 0 | 8-3 | 5 |
| 2. ვილიარეალი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 3. მლადა | 2 | 1 | 0 | 1 | 4-3 | 3 |
| 4. აეკ | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 5. ელფსბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 3-10 | 1 |

## D ჯგუფი

### ჰამბურგი–რენი 3:0

**ჰამბურგი:** როსტი, ბოატენგი, კომპანი, მატიისენი, რაინჰარდტი, ბენჯამინი, დე იონგი (68. დემელი), ტროხოვსკი, ვან დერ ვაარტი (85. ზიდანი), კასტელენი, ოლიჩი (79. ჩუპო-მოტინგი).

**რენი:** პუპლენი, ბორნი, შეირუ, ედმანი (46. ტომერი), ფანი (80. ბადენი), ჰანსონი, ლერუა, მარვო, სორლენი, ბრაიანდი, ვილტორი (57. ემერსონი).

**გოლები:** 1:0 ვან დერ ვაარტი (30), 2:0 ჩუპო-მოტინგი (84), 3:0 ზიდანი (90-პენ)

**მაყურებელი:** 36 472

### ბრანი–დინამო (ზ) 2:1

**ბრანი:** ოპდალი, ბიარნასონი, დალი, ჰანსტვეიტი, ბაკე, კორალესი, ჰუსეკლეპი (90. ბიორნსონი), მუნი, სოლი, ჰელსტადი, კარადაში (85. გუნტვეიტი).

**დინამო:** კოხი, კალე, დრპიჩი, ეტო, სამირი (46. კარლოსი), მოდრიჩი, პოკრივაცი, შილდენფელდი, ვუკოიევიჩი (79. გუელა), ბალაბანი (60. ტადიჩი), მანძუკიჩი.

**გოლები:** 1:0 ბიარნასონი (45-პენ), 1:1 ვუკოიევიჩი (48), 2:1 ბაკე (72)

**გაძევება:** შილდენფელდი (44. დინამო)

**მაყურებელი:** 9 962

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰამბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-0 | 6 |
| 2. ბაზელი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. ბრანი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 4. დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 5. რენი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-5 | 1 |

## E ჯგუფი

### სპარტა–სპარტაკი 0:0

**სპარტა:** გრიგარი, კადლეცი, კლადრუბსკი, რუეპკა, ზაბავნიკი, ჰორვატი, კისელი, პოსპეში, დოშეკი, რეჟეკი (80. ლიმბერსკი), სლეპიჩკა.

**სპარტაკი:** პლეტიკოშა, დედურა, გედერი, ივანოვი, შტრანცლი, კოვალჩუკი, სოავა, ტიტოვი, ტორბინსკი, ძიუბა (78. პრუდნიკოვი), ველიტონი (87. ბაჟენოვი).

**მაყურებელი:** 6 307

### ციურიხი–ტულუზა 2:0

**ციურიხი:** ლეონი, ლამპი, როშა, შნაიდერი, ტიჰინენი, აბდი, შიკაუი (90. შტაჰელი), კონდე, ოკონკვო, ალფონსი (62. ეუდისი), რაფაელი (89. შონბახლერი).

**ტულუზა:** დუშე, არიბაჟი, ებონდო, ფოფანა, ილუნგა, დიეზი, ემანა, ფაბინიო (56. სისოკო), ელმანდერი (69. სანტუში), ჟინიაკი, მანსარი (77. ბერგუნიო).

**გოლები:** 1:0 ტიჰინენი (42), 2:0 რაფაელი (69-პენ)

**მაყურებელი:** 10 600



ბოლტონი-არისი. ბერძნებს თანამემამულე იანაკოპულოსმა გაუთანაბრა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ციურიხი | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 2. სპარტაკი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 3. სპარტა | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 4. ლევერკუზენი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 5. ტულუზა | 3 | 0 | 0 | 3 | 2-6 | 0 |

## F ჯგუფი

### ბოლტონი–არისი 1:1

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, სიდი, ჰანტი, მეიტე, ო'ბრაიენი, იანაკოპულოსი, გუტრი, მაკკანი (13. ალონსო), ნოლანი, ვილჰელმსონი (65. დიუფი), დეივისი (65. ანელკა).

**არისი:** ჩალკიასი, კარაბელასი, დოლჩე, პაპადოპულოსი, გუაირო, არანი (61. ხავიტო), გარსია (83. გოგოლოსი), ნებეგლერასი, პრიტასი, სისტოი, კოკე (87. კირიაკოსი).

**გოლები:** 0:1 არანი (44), 1:1 იანაკოპულოსი (90)

**მაყურებელი:** 10 229

### ბრაგა–ბაიერნი 1:1

**ბრაგა:** პაულო სანტოსი, ვალდელომარი, ფრეშო, ჟოაო პერეირა, პაულო ჟორჟე, ჟორჟინიო, ბრუმი, კრუზი (58. ჟაილსონი), ვალდინიო (52. ჟოაო პინტუ), ლინცი, ვენდერი (69. მადრიდი).

**ბაიერნი:** კანი, ჰამით ალთინთოფი (81. სოსა), ლამი, ლელი, ლუსიო, დემიკელისი, რიბერი (90. სანიოლი), ვან ბომელი, ზე რობერტო, კლოზე (67. შლაუდრაფი), ტონი.

**გოლები:** 0:1 კლოზე (47), 1:1 ლინცი (67)

**მაყურებელი:** 12 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაიერნი | 3 | 1 | 2 | 0 | 6-5 | 5 |
| 2. არისი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 3. ბოლტონი | 3 | 0 | 3 | 0 | 4-4 | 3 |
| 4. ბრაგა | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| 5. ცრვენა ზვეზდა | 2 | 0 | 0 | 2 | 2-6 | 0 |

## G ჯგუფი

### ხეტაფე–ჰაპოელი 1:2

**ხეტაფე:** უსტარი, ბელენგერი (67. სოუზა), კონტრა, დიასი, სინიორინო, ალბინი, კასკერო (46. მანუ), გრანერო, დე ლა რედი, კეპა (46. ბრაულიო), პაბლო.

**ჰაპოელი:** ენიეამა, ანტები, ბონდარი, დოანი, გაბრიელი, აბედი (75. ნაჩო), აბუტბული, ბადირი, დაგო (86. ასულინი), შრური (82. ოვედი), ფაბიო ჟუნიორი.

**გოლები:** 0:1 ბადირი (5), 0:2 დაგო (31), 1:2 პაბლო (90-პენ)

**მაყურებელი:** 5 000

### ტოტენჰემი–ოლბორგი 3:2

**ტოტენჰემი:** რობინსონი, ბეილი, შიმბონდა, დოუსონი, ლი (46. ბენტი), ჯენასი (46. ჰადლსტოუნი), ლენონი, მალბრანკი, სოკორა, ბერბატოვი (74. ბოატენგი), კინი.

**ოლბორგი:** ქარიმ ზაზა, ხალიფი, იაკობსენი, ოლესენი, აუგუსტინსენი, ენევოლდსენი (74. კურტი), იოჰანსონი, პედერსენი, რისგაარდი, ნომვეტე (61. ლინდსტრიომი), პრიცა.

**გოლები:** 0:1 ენევოლდსენი (6), 0:2 რისგაარდი (38), 1:2 ბერბატოვი (47), 2:2 მალბრანკი (51), 3:2 ბენტი (66)

**მაყურებელი:** 29 758

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 2. ანდერლეხტი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 3. ხეტაფე | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. ჰაპოელი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-5 | 3 |
| 5. ოლბორგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |

## H ჯგუფი

### პანიონიოსი–გალათასარაი 0:3

**პანიონიოსი:** ტამბასისი, მანიატისი, პლეტჩი, სპიროპულოსი, ფერნანდესი, გუნდულაკისი (80. კონდი), კუმორძი (65. სკუფალისი), მაისტროვიჩი, მაკოსი, არავიდისი (66. კუცოპულოსი), ჯებური.

**გალათასარაი:** ორქუნი, სერვეთი, სონგი, ვოლქანი, ლინკოლნი, ლინდეროტი (46. ჰაქან შუქური), მეჰმეთ თოფალი, არდა (80. მეჰმეთ გუვენი), უგური, სერქანი (86. საბრი), ჰასან შაში.

**გოლები:** 0:1 სერქანი (50), 0:2 სონგი (63-პენ), 0:3 ჰაქან შუქური (82)

**გაძევება:** მაკოსი (64. პანიონიოსი)

**მაყურებელი:** 7 500

### ჰელსინგბორგი–აუსტრია 3:0

**ჰელსინგბორგი:** დ. ანდერსონი, კ. ანდერსონი, იაკობსონი, რონინგბერგი, ტამბურა, ვალსტედტი, დალი (72. ლანტცი), სკულასონი (85. ჩანსა), ლარსონი, მაკონდელე, ომოტოიოსი (89. კარეკეზი).

**აუსტრია:** ფორნეცი, ბაკი, გერკალიუ, მეტცი (84. სულიმანი), შიმერი, ტროიანსკი (82. ერტლი), აჩიმოვიჩი, სტანდფესტი, აიგნერი, ლაფატა, ოკოტი (72. მაირი).

**გოლები:** 1:0 სკულასონი (47), 2:0 ომოტოიოსი (66), 3:0 ომოტოიოსი (70)

**მაყურებელი:** 8 243

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰელსინგბორგი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-3 | 7 |
| 2. ბორდო | 2 | 2 | 0 | 0 | 4-2 | 6 |
| 3. გალათასარაი | 3 | 1 | 0 | 2 | 6-5 | 3 |
| 4. პანიონიოსი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-4 | 1 |
| 5. აუსტრია | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |



ჰამბურგი-რენი. გერმანელთა გამარჯვებას საფუძველი ვან დერ ვაარტმა ჩაუყარა

ეროვნული ბიბლიოთეკა
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძოლიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიმკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი ზ6435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა